ერთ დღეს ვახტანგოვის თეატრში სამჯერ უჩვენეს რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „ოილიპოს მეფე“. 12 საათზე ეროსი მანჯგალაძე თამაშობდა. დაბაზში მეტწილად ახალგაზრდები იყვნენ. სუნთქვას გაიგონებდი, ისეთი სიჩუმე იდგა. სამ საათზე ს. ზაქარიაძეს უნდა ეთამაშა, საღამოს კი აკ. ხორავას. მოსკოვის ინტელიგენციამ მოითხოვა დამატებითი სპექტაკლები. „ოილიპოსის“ ტრიუმფალურმა წარმატებამ მთელი ქალაქი აალაპარაკა. დეკადას ზურგი გაუმაგრდა. ვ. ჰაბუციანის „ოტელიო“ და დ. ალექსიძის „ოილიპოს მეფე“ დეკადის ტონის მიმცემი სპექტაკლები იყო. ოილიპოსით დაიწყო ს. ზაქარიაძის გაცვლა საკავშირო ასპარეზზე (ხორავას ისედაც კარგად

წელი გავიდა და აი, ახლა მინდა იგი გამოვაქვეყნო, მხოლოდ ოდნავი შემცირებით.

„ინსტიტუტი დავამთავრე 1947 წელს. — წერს ეროსი, — სადილომო როლი — ბრეტი (ქ. ვოლსა და ა. დიუსო, „ღრმა ფესვები“). დაღმა დ. ალექსიძისა, ყველაზე უფრო მიყვარდა ტეტერევი („მდაბიონი“, დაღმა გ. ტოვსტონოვოვისა), აგრეთვე, მამილო ჟანი (ფ. პიას „პარიზელი მექონძე“ დაღმა — დ. ალექსიძისა). ამბობენ, ყველაზე ძლიერი ტეტერევი იყო. სტალინში (ცხინვალში — ვ. კ.) ოტა ხანს ვიყავი (1947-48 წ. წ.), ვითამაშე ორი როლი: ლევან ჩადუნელი (ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი“ დაღმა გ. ლაღიძისა) და ბრეტი („ღრმა ფესვები“ — გადაიტანეს ინსტიტუტიდან), რუსთაველის თეატრში მოვედი 1948 წელს, ვიშუშევე ერთი წელი, შემდეგ წავიდი (რადიოში) და დაებრუნდი 1951 წლის



ღივი („კინკრაჟა“).

სექტემბერში. „ე. მანჯგალაძის პასუხები კითხვების მიხედვით, თანმიმდევრულია“. დავიბადე 1924 წლის 21 ოქტომბერს... რაზე ვოცნებობ? — უმოთვარესად იზენზე... ისევ ტეტერევეზე, შექსპირზე... ყველაზე სასიხარულო თეატრალური შემთხვევა მქონდა „მდაბიონის“ რეპეტიციებზე გ. ტოვსტონოვოვთან. მაშინ პირველად (და ყველაზე ძლიერად) ვიგრძენი ეროსი როგორ ხდებოდა ტეტერევი... ამ წუთებს თავისი სიღაღით არანაირი სიხარული არ შეედრება. ეს ალბათ, დაახლოებით იგივეა, რაც დედისათვის მრავალი წლის უნახავი შვილის მოულოდნელი გამოჩენა: დაბრუნდა! იქაც იგივეა: დიხანს ელოდი და დაბრუნდა. უფრო სწორად, დაგიბრუნდა! მსგავსი გრძნობები, მქონდა ფუნჯის „რეპორტაჟის“, „ესპანელი მღვდლის“, „პუკოს“, „ოიდიპოსის“ (ბოლო ნაწილი) რეპეტიციებზე, შესაძლებელია „ის“ განსაკუთრებით იმიტომ დამამახსოვრდა, რომ პირველი იყო...“

მასურებელზე გამოგანებულ შთაბეჭდილებას ახდენდა შეილებთან ოიდიპოსის გამოთხოვების წუთები. თანაუგრძნობდა ჰაბუკი მეფის ტრაგედიას, ბედისგან განწირული ადამიანის ხავერდოვანი ხმა სულს ძრავდა. ერ. მანჯგალაძის განმარტებით, „ოიდიპოსი, უპირველეს ყოვლისა, არის მეფე, რომელიც მზადაა მოიხადოს ვილი ხალხის წინაშე, შეეწიროს მის კეთილდღეობას. ამდენად, პოესისეული ბედისწერის საკითხი ჩემთვის მეორე პლანზე დგას და პირველ რიგში ვნებად ბედთან ჭიდილში დღაღებურს, მაგრამ სულთ მტკიცე ადამიანს“. ეს თქვა მან 1958 წლის 27 მარტის „ახალგაზრდა კომუნისტში“. თითქოს ერთობ ზოგადია ვანცხადება და არც თუ დიდ სიახლეს შეიცავს, მაგრამ სცენაზე ნადილი შე-

მოქმედებით აქტი ხდებოდა. ვლინდებოდა სახის დაბადების რთული პროცესი. მიმდინარეობდა ეროსი მანჯგალაძის ოიდიპოსად გარდაქმნის ევოლუცია. ეროსი მანჯგალაძის როლის თავისებურებამ ისევ ვ. ბრუნერის აზრი გამახსენა „სიახლე სულაც არაა საკმარისი იმისათვის, რომ გადაწყვეტილება შემოქმედებითი იყოს. რაიმე მოვლენა შეიძლება იყოს ახალი, მაგრამ არ იყოს შემოქმედებითი. ამდენად, შემოქმედებითი პროცესი არ მოითხოვს აუცილებელ სიახლეს, ისევე, როგორც ყოველი სიახლე არაა საჭირო იყოს შემოქმედებითი“, არის აქ რაღაც პარადოქსული, მაგრამ ანგარიშგასაწევიც. ერ. მანჯგალაძის ოიდიპოსის არც სტილისტიკაში და არც საშემსრულებლო ლექსიკაში არ იყო სიახლე. აქ მთავარი მიიღწეოდა მხატვრული სახის მთლიანობით, ფსიქოლოგიურისა და მონუმენტურის სინთეზით, შემოქმედებითი პროცესის შინაგანი უწყვეტობით, რომელიც თავის კულმინაციას სექტაკლის ფინალში აღწევდა. ახალგაზრდა მსახიობმა მთავარს მიაღწია: თანამონაწილე ვაკეხადა სცენური ქმედებისა, ღრმა შემოქმედებითი პროცესისა. ძველი კლასიკური თეატრის პრინციპებს მიანდო და მის ნიადაგზე აღმოაცენა თავისი ოიდიპოსის სახე. მსახიობმა ისიც ცხადყო, რომ მას შეეძლო წარმატებით გადაეჭრა ურთულესი მხატვრული ამოცანა, ჩვენამდე მოდიოდა ერ. მანჯგალაძის გმირის მტანჯველი აზრი, ვგრძნობდით მისი სულის მღელვარებას, მაგრამ ამაოდ დავშვებოდით ზუსტად ამოგვეხსნა ყველა ნიუანსი, ინტუიციის სტიქია რომ ქმნიდა...

რუსთაველის თეატრის „ოიდიპოს მეფე“ თითქოს თავისებური პასუხი იყო იმათ მიმართ, ვინც მონუმენტური ფორმების დაშლას მოითხოვდა. სექტაკლის დიდმა წარ-

მატებამ საეკლესიო გამომხილი ჰყო. ა. ხორავას, ა. ვასაძეს და ერ. მანგალაძეს უყვე ნათამაშები ჰქონდათ ოილიპოსის როლი, ს. ზაქარაძე რომ მოვიდა თეატრში. დ. ალექსიძე დიხანას ამზადებდა მეოთხე ოილიპოსს (თუმცა შერეოთიხი კი არა, სამი დარჩა, ა. ვასაძემ უარი თქვა თამაშის ვაგრძელებაზე, რაც მიწოდდა, ის არ გამომივიდა!). სპექტაკლი ლენინურ პრემიაზეც წარადგინეს, მოსკოვიდან ჩამოვიდნენ კომიტეტის წევრები ნ. ტიხონოვი, დ. მოსტაკოვიჩი და სხვები. სპექტაკლის შემდეგ სტუმრებმა დირექტორის ოთახში მოიყარეს თავი. აქ იყვნენ: გ. ლეონიძე, ბ. ელენტი, ს. ჩიჭოვანი, ს. შანშიაშვილი, ი. აბაშიძე, ნ. ტიხონოვა ქართულ მწერლებს უთხრა: ბედნიერები ხართ, რომ შეგიძლიათ სპექტაკლი რამდენჯერმე ნახოთო. ბ. ელენტი მართლაც ჰქონდა რამდენჯერმე ნახაბი, ზოგიერთი კი პირველად იყო. ბესონი თქვა, დღევანდელ საქართველოს ძალიან სჭირდება გამხენევაო. ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის იმეამინდელ პირობებში ბუნებრივად იყო კრიტიკოსის სიტყვა. შემდეგ ნ. ტიხონოვა მკლავში მოკიდა ხელი ბესონს და გაიმარტოვა, არ ვიცე, რაზე საუბრობდნენ. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მართო სპექტაკლზე არ ჰქონდათ საუბარი, საუბარი ვაგრძელდა. ა. ხორავაც შეუერთდა მათ, შეაქვს აკაკი. ა. ხორავამ ერ. მანგალაძეზე თქვა: დიდი მსახიობი გვეზრდებაო.

\* \* \*

ერ. მანგალაძეს აქვს ნათელი სცენური იუმორი. უარყოფით ტიპებს იუმორით უყურებს, მის მიერ შექმნილი სახეები სიძულველს არ იწვევენ, ერთობ საცნაურია მსახიობის რბილი ინტონაციები. მისთვის მანც ხელშეუხებელია ადამიანური საწყისის უკვდავების იდეა. სჯერა, რომ უარყოფითი ტიპის განაკცებაც შეიძლება. ნაკვს კი დასცინის, მათზე იღიბება, აქ დიდ როლს ასრულებს მსახიობის მომიზბველობა, იგი ზემოქმედებას ახდენს


მხატვრული ხახის შექმნის მთელ პროცესზე. ამ „გველენით“ არის წარმოსახული მისი ზომიზომოვი, სპირტული ფანტიაშვილი და სხვა სახეები. პარადოქსიაკური მხატვრული მავრამ ეს როლები რალაც საოცარი შუქით არის განათებული. თავისებურ კონტრასტს ქმნის იგი როლსა და მსახიობის შორის და აქ მიწწვეულია მხატვრული ეფექტრომელიც სცენური სუარზის ტოლფასოვანია. როლებს თან სდევს მსახიობის შინაგანი სირბილე და კეთილშობილება, თუმცა, იგი ამხელს გვირის უარყოფით მხარეს, მაყურებელი იცინის, თავად კი იღიბება სულის სიღრმიდან. ეს ხაზი გრძელდება მთელს მის შემოქმედებაში. მისი საუცეთესო გამოვლენაა ლოპესი, ფანტიაშვილი, ზომიზომოვი, თითქოს ტკბებოა მსახიობი, ისე ეფერება თავის გვირებს. მავრამ ამ უცნაურ კონტრასტში ვლინდება გვირის უარყოფითი მხარე და საერთოდ თვით არსი მისი ხასიათისა. ფანტიაშვილის დამახინჯებელი ქართული სიცილს იწვევს, მაყურებელი დასცინის მას, მავრამ ემოციურად არ განიცდის. მსახიობის მიზანი მიღწეულია. ძალადაუტანებლად, მსუბუქად, თითქოს უზარალოდ შესძლო დიდი ბოროტების, — შობლიური ენის არცოდნის მხილება.

ერ. მანგალაძემ ამხილა ზომიზომოვის ვაჭრული ბუნება, სიხარბე და თვალთმაქცობა. მსახიობი წინ აღუდგა სოციალურ ბოროტებას, ზომიზომოვის საშუალებით დაინახა ძალადობაზე დამყარებული სინამდვილე. სოციალური გარემოს ფართო ხედვა თავისებურ მასშტაბურობას ანიჭებს შესრულებას, ქმნის სოციალურ წახანკებას. ზომიზომოვისთვის ფული „აბსოლუტური ენებაა“. მავრამ მსახიობი აქ არ ჩერდება, მისი მხატვრული ჩანაფიქრი სხვა პლანებსა და ფერებსაც მოიცავს. ცდილობს ასცდეს ერთხაზოვან წარმოსახვას, იძლევა სცენურ პერიპეტებს, რომელთა ერთობლიობაც ქმნის მრავალფეროვნებას. პეპოსა და ზომიზომოვის კონფლიქტის ძირითად



სცენა სპექტაკლიდან „შე. ბებია, ილიკო და ილარიონი“ ილარიონი — ვ. მანგალაძე, ილიკო — კ. კახაბაძე, ბებია — ზ. ლებანიძე, ავტორი — ვ. ნინიძე.





გადი („გადი ჰიგა“)

ზომზომოვი („პეპო“).



ხაზს შენაკადივით ერთვის ერ. მანჭვალადის ზომზომოვი და მ. ჩახავას ფეფენას დამჭარული ურთიერთობები თობ შეუსაბამო მათი ასაკისთვის!

სცენაზე იქმნება „ოჯახური იდილია“. ზომზომოვი და ფეფენა ტყებშიან თავიანი ქონებით, ჭანი მრთელი აქვთ და განწყობილება მზიარული. ერ. მანჭვალადის გმირი წელეებზე ფეხს იდგამს, რომ ცოლს ახალგაზრდულად მოაჩვენოს თავი. „ვენებიანობას“ გაითამაშებს კიდევც, მაყურებელი კი იცინის. ხედავს, რომ ყველაფერი ეს მოჩვენებითია, მზიარულ ატმოსფეროს სხვა მზიარის უღვევს გადატანით მნიშვნელობას იძენს. „ყოფილი ვარდო...“ მღერის ერისი მანჭვალაძე, მერე ეშხში შესული იწყებს ცეკვას. მეუღლესაც აიყოლოებს და ასე გრძელდება, ვიდრე კარს არ მოადგვიან მის სამხილებლად. ერთი სიტუაციიდან მეორეში გადასვლა ხდება ეფექტურად, უცებ იცვლება მსახიობის ნიღაბი. პლასტიკურ ნახაზთა მონაცვლეობა გამართლებულია შიგნიდან. მოვლენის შინაარსის ცვლა ბუნებრივად მოითხოვს პარამიულ შეთანხმებას ფორმასთან. მსახიობი ოსტატურად პოულობს საშუალებებს ამგვარი სინთეზისთვის. ერ. მანჭვალაძე არ არის ცრუმომარაობების მხატვარი. იგი ყველა ვითარებაში ბუნებრივ საწყისებს ეძებს და ცდილობს პირველქმნილი უშუალობა მიანიჭოს სახეს.

ორსახეობაა ერ. მანჭვალადის ყველაზე ბუნებრივი მდგომარეობა. ცალი მზერა კომედუორი სახეებისკენაა მიპყრობილი, მეორე—დრამატულისკენ. იყო ცდები მხოლოდ ენარულ პლასტიკში, კომიკურის მასშტაბებში მოექცაით ერ. მანჭვალადის შემოქმედების არსი. თითქოს მსახიობს მხოლოდ ამ პლანში შეეძლო წარმატების მიღწევა. დანარჩენი შემთხვევითობას მიეწერებოდა. თეატრალური კულტურების ნახაზმა ე. მანჭვალაძეც კი შეაფიქრანა, კინალამ გაკყვა ცდუნებას, მაგრამ ვერ გაეჭკო თავის გულისხმას. ძალით ვერ ჩააკლავ შენში იმას, რასაც ღრმად უღდავს ფესვები, ნამდვილი ადამიანური სიცოცხლით ცხოვრობენ მისი მამილო, ივანე მრისხანე, მეფე ოილიპოსი, ბოცი, ხომტარია და სხვები. მათ გვერდით საოცრად ბუნებრივად თავსდებიან ლოპესი, ზომზომოვი, გვადი ჰიგა, ფანტაშვილი... რატომაც არა? — ისინი ხომ ერთ მთლიანობას ქმნიან; ასე უფრო საინტერესოა სამყაროს ქვრება, უფრო ფართოა შემოქმედის თვალსაწიერი.

\* \* \*

გ. ხუხაშვილმა „ზღვის შეილები“ პირველი ვარიანტი წამიყთხა. ეტყობოდა, არც მთლად პირველი იყო, იმდენად ნაფიქრი და ნატანჯი ჩანდა ჰიგისა. გ. ხუხაშვილი აქამდე ლექსებითა და კრიტიკული წერილებით იყო ცნობილი. ახლა „პოეზიის გვირგვინსაც“ შესქილებოდა. დიდხანს ვისაუბრეთ. ბოცოს როლზე ერისი იქნებაო კარგი. ჭერ რეჟისორი შეირჩეს და მსახიობზე მერე ვილაპარაკოთ, ვუთხარი მე. ცოლვა გამხელილი სჯობია. რატომღაც ყოველთვის მალიზიანებდა, როცა ავტორები ჰიგის მიღების საკითხის გადაწყვეტამდე უკვე როლებს ანაწილებდნენ. თეატრში ეს ტიპური მოვლენაა. არც გ. ხუხაშვილი იყო გამონაკლისი. გიგლასთან კარგა ხნის მეგობრობა მაკავშირებდა, მზიბლავდა მისი ემოციური აზრო-

ვნება, განზოგადების ნიჭი. პიესა მიხეილ თუმანიშვილის გავიაცანი. მისამ უცებ „ჩააღლო“ პიესის ფორმას. ბევრი შენიშვნაც გამოთქვა. თეატრი გასტროლებზე მიდიოდა და პიესა დროზე წვეკეთიხებო. გ. ხუბაშვილი ქუთაისში ჩამოვიდა. დასმა პიესა მიიღო. მ. თუმანიშვილმა ბოცის როლი ერ. მანჯგალაძეს ითხო. თეატრში არცთუ იეს სახარბილო სიტუაცია იყო. რამდენიმე სპექტაკლი ჩავივიარდა. ერ. მანჯგალაძე ვულვოლინე შეუდგა რეპეტიციებს. პოეტურ სიმბოლოდ ქცეული სახე მოსვენებას არ აძლევდა. მ. თუმანიშვილი ჩივდა ძერწავდა ყოველ დეტალს. ეროსის უნდა შექმნა. „თეატრული სიმბოლო“, მას წინააღმდეგობრიობა ტანჯავდა. ერთხელ, მეორე თუ მესამე გენერალური რეპეტიციის შემდგომ, ეროსის პატარა ითახში შემოვიდა. კითხვა, — როგორ არის შენი ბოცო-მეთქი, არ ვცაო, მოსაპსება. ფართოდ გახეილი თვალები ოდნავ მოჭუტა და მორცხვად დააყოლა, — მგონი, რაღაცა მოვაგებო.

მიხეილ თუმანიშვილმა იპავა გულწრფელი პოეტური მოტივი თმნი დაღუპულა ვახუცევის რომანტიკული ბუნების ამოსასწვლადა. მან თაბაბა მონაცვლიობის რთულ პროცესში დაიხანა კეთილა საქმის უკვდავების იდეა და იგი სიმბოლურ განზოგადებაზე აიყვანა. აქ შეერთდა მწერლის, რეჟისორისა და მთავარი გმარის როლის შემსრულებლის ერ. მანჯგალაძის ჩანაფიქრი და ისინი ერთ ენაზე ამეტყველდნენ. ერთად რთული კონსტრუქციის სპექტაკლში სრული გათავება და ვარკვეულობა ჰქონდა ერ. მანჯგალაძის სახეს. მაყურებელი სულმოუთქმელი ინტერესით მიჰყვებოდა ერ. მანჯგალაძის ბოცის გზას.

\* \* \*

„ზღვის შვილები“ იყო მიხეილ თუმანიშვილის მეორე შეხვედრა ომის თემასთან. დიდ სამამულე ომს ხომ მის ცხოვრებაში განსაკუთრებულად ადგლი ეჭირა. ფრონტის წინახაზზე მოუსწრო ომმა. უბის წიგნაკში ასე ჩაუწერია ეს დღე: „1941 წლის 22 ივნისი. დასავლეთის საზღვარი. დილით დაიწყო ომი. გავკვირდა დამომავამ საზღვრის მოსადგომებთან. სამმა გერმანულმა თვითმფრინავმა ჩვენს ბანას ცეცხლი დაუშინა. თვითმფრინავებს შავი ჭრებია ეხატო ფრთებზე. აი, ვეწვართ სანგრებში, ვციდით. სადაც სულ ახლოს ისმის ქვეშევრდის ქუხილი. ომი დაიწყო. საწყალი დედა!“ რაღაც გაურკვევლობის, დაბნეულობის განწყობილებით იწყება დღიურები, უცნობი ომი თანდათან იჭრება ქარისკარის სულში, თანდათან სამხედროდება ომის მთელი საშინელებანი. მიხეილ თუმანიშვილმა ყველაფერი ნახა ომის ველზე, სულიერად დავაკეთებელი, ცხოვრებისგან ნაწრთობი დაბრუნდა შინ. ვაღის წლები და რეჟისორის სულიდან ამოტივტივდება ომის დროის სურათები... სახეები...

რუსთაველის თეატრის სცენაზე იდეა კეთილშობილი ჯალარა მოხუცი, მზრებში ოდნავ მოხიბლიყო. თვალის გუშვები დავიწროებოდა, თითქოს თვლები ჩასცენოდა და შორიდან იშხირებოდა. ერ. მანჯგალაძის ბოცის მზეურაში ეკითხებოდა ღრმა სევდა, მისი სახე დროდდობი განათლებოდა იმედის შუქით. ბრწყინვალე იყო „ნავთობი“ სცენა. სამამულე ომისდროინდელი ეს ყოფითი დეტალი ბევრ კინოსურათში გვიჩანავს, მაგრამ არასდროს გვიგერ-

ქნია ასე დიდი შინაგანი მღვლეარება. ვუყურებდით/ სცენას და ასე გვეგონებოდათ გრძელ რივად ჩაქვენი/ ბული ხალხი სადაცა მოთმინებიდან გამოვა დასმტყუნება/ ქორის დარად ხელაპყრობილი შესძახებს: „სიკვდილი ოკუპანტებს!“

ჩვენ გვეხმოდა ეს შინაგანი ხმა. ამ ხმამ იყო მისისხენება ხალხისა, სიძულელი ომისა და მკვლევლობისა. მაგრამ სცენაზე იდეა სამარისებური სიზუმე, იდგნენ გაქვევებული დამაინებენ, რომლებიც თავინითი დუმითი უსაზღვროდ იღო მოთმინებასა და ნებისყოფას ამეღვანებდნენ. კავშირამაშალელი ნაპრწყულბივით „სთვლემამა“ ერ. მანჯგალაძის გმირის სულიერი ძალა. მხატვრული სახის ამგვარი ემოციური და აზრობრივი დატვირთვა გამომდინარეობდა წარმოდგენის სიმბოლური გადაწყვეტიდან. ხელშესახებად ნათელი იყო წარმოდგენის იდეა და მისი გამოსახვის ფორმა.

ზღვაში ჩაიძირილი გემი გარდასულ თაობათა ცხოვრების სიღრმეებში ჩამარხული უცვდავი იდეის მეტაფორულ სახეს წარმოადგენდა. ერ. მანჯგალაძეს მოჰქონდა მისი არსი. იყო წუთები, როცა მსახიობი გაიშლებოდა, განთავისუფლებოდა დამორტყვნი ბორკილებისგან და იმედიანი შეძახილით თავის მძლავრ მკლავებში ლომბინდა ზღვის ტალღების მოქცევას. მაშინმა ვერ შეძლეს მისი ამოტანა სამზოვზე, მაგრამ მოვიდნენ შვილები და ვაჟაკებარ შეეკიდნენ ზღვის ფსკერზე დაძირულ „იმედი“. სამზოვზე ამოიტანეს „იმედი“, ქვეყანას დაუბრუნდა დაკარგული რწმენა. გემის ამ სიმბოლურ გააზრებაში კარგად ჩანს ნაწარმოების მთელი კონცეფცია. ერ. მანჯგალაძის ბოცომ მთელი თაობების ტკივილის მოტანა იწო თავს. მაყურებელმა ჰირნახულად ადამიანთა ცხოვრების ბიოგრაფია დაიხანა ბოცის სახეზე. იგარძო მისი ნოსტალგია გარდასული სიჭაბუკის გამო, იგრძნო პოეზიის მადლი და ჭარბული კაცის იმედანი შეძახილი. მანჯგალაძის ბოცო ჩვენი თანამედროვეობის ნათელი სახე გახლდათ.

1956 წელს ერ. მანჯგალაძემ ოდიზოს მეფის როლიც ითამაშა და ცულუბრი აპრაქსენე უმჭიმელიც. მართლაც და, საოცარი სხვაობა! არტიკული დიაბაზონის ამ ვრცელ კიდვანში ვლინდება ერ. მანჯგალაძის ხელოვნების მრავალსახეობა, მისი შესაძლებლობათა სიმდიდრე. აპრაქსენეს იმპროვიზაციაზე ორგანულად ავსებდა სცენას, ამიღვრებდა მხატვრულ სახეს, აჩქარებდა წარმოდგენის პულსაციას.

ერთ კარგ სახასიათო როლს ეყოფოდა, იმდენი იუმორი, იმპროვიზაცია და ფერი იყო ერ. მანჯგალაძის საუბარში. „კომუტატორით“, იტყოდა დამირეკეთ „ჩერეზ კომუტატორით“ და დარბაზი გულდინად იცინოდა. „ჩერეზ კომუტატორით“ ლაპარაკი რაღაც მისი დიდე უპირატესობა ეგონა აპრაქსენეს. ტაქტოლოგია მიგნებული დეტალისა აპლიერებდა რიტმის ილუზიას, ხაზს უსვამდა ნიჭიერი პროვინციული ავანტურისტის ჩახის თავისებურებას.

ერ. მანჯგალაძემ მამართად ამხლა გადაგვარებული ხელმძღვანელის აპრაქსენეს სახე. ხალხური ნაყარქქმისა მოდიფიცირებული, მაგრამ თავისი არსით იმავე საფუძველზე აღმოცენებული აპრაქსენე ქცევისა და სი-



ტვის გონებაშევილობით განებივრებული ნამდვილი ბატონივით ტრიალებდა სოფლად. „ცა ქედად არ მიამინა“ — აი, ეს მოტივი გასდევდა მანჯგალაძის გმირის ყოველ მოქმედებას. მსახიობი ვეიწონებდა თუ რა შედეგამდე მიჰყავს პიროვნება ხალხის ბედის განუქითხაობის ეპოსს. ეროსი მანჯგალაძის სამშობლო იარაღი იყო სიცილი. სიცილს იწვევდა მისი მოქმედება ყოველ წუთს, თავიდან გარედან ქვერტედა როლს და თითქოს ასე დისტანციიდან აფასებდა მისი ცხოვრების გზას.

\*\*\*

ი. ვაკელის „საქმიან/კაცზე“ მუშაობა ერთხანს ვერ აფეყო. მსახიობები აუხრიდნენ: „ესპანელი მღვდელის“ შემდეგ პიესას ახალი უნდა თქვას. „შეაოწმებს ერთ-ერთი რეჟეტკია. მ. თუმანიშვილმა თავად სთხოვა თეატრის ხელმძღვანელობას ენახა და გაერკვია პიესის ბედი. ი. ვაკელი თეატრში ყოველდღე აღევლებული მოდიოდა. ცამდე აყავდა ეროსი. აი, ნახათ, ბრწყინვალე იქნებოა. მაგანა და მაგანი აბრაგებდა, ველი უნდათ აუყარონო (რალაქ სიმართლის ნაწილი იყო ამაში). ერ. მანჯგალაძე მ. თუმანიშვილს უყურებდა, მიხვდებოდა ი. ეროსის. სხვა მსახიობებიც ჩაეირინენ „ბრძოლაში“, ბოლის მაინც დასაწყება რეჟეტკიების გავრქელება. ი. ვაკელმა შვებით ამოისუნთქა. რეჟეტკიაზე იმდენად, კარგი იყო ეროსი მანჯგალაძე, რომ მე თქვია: აი, ნახათ ლოპსზე უკეთესი სახე თუ არ შექმნას-თქო. ასე არ მოხდა, მაგრამ საინტერესო სახე თი მართლაც შეიქმნა. ე. მანჯგალაძეს საინტერესოდ ჰქონდა მოაზრებული ე. კანდელაკის „ერთხელ დახოცილებში“ მთავარი გმირის სახე.

\*\*\*

ერ. მანჯგალაძე შინაგანად გაუბეზარავი სტილის მსახიობია. მის სულს არ შეუბო რუყვა და ევემერული ცვალებადობა მოდიხა, „ერთგული დარჩა მარადიული ღირებულებისა. ასე ვგონებთა, თითქოს ყურიც არ მიუღვია მეტაფორულ სახეთა მსლავრი ნაყადისთვის, არ შეხებია ირინინებულ-პაროდირებულა სტილისტიკის მაგური ძალა. იგი ერთგულია თავისი ემოციის უშუალობისა და პირდაპირობისა. კლასიკურ თეატრს იცავს და ამ მხრე ზოგჯერ ზედმეტ სტაბილურობასაც კი ამტკიცებს. თითქოს მას აკიბობს მეტაფორის დეკორატიულობა, მისი უხეი ჩექურთმები, აზრის ილუსტრირებას რომ უწყობენ ხელს. უცნაურად შემამფოთბელია, როცა ტლანტის მიღწევების გვერდით ერთობ საინტერესო მეტაფორულ ეფექტს ახდენენ საშუალო ნიჭის ადამიანებიც კი. მაშ, სადღა კუშმარტი ძიებდა მხატვრულ სახეთა აღმოჩენა ახალი სამყაროს დაბადებას ნიშნავს, ახალი ადამიანის მოვლინებას ამ ქვეყნად. მწელია მისი მოქცევა ერთ სტრუქტურულ არტახებში. ცოცხალი სული, რაც უფრო შემოქმედებითა, მით უფრო დამუბორილებელია იგი. ერ. მანჯგალაძეს უყვარს სცენური პირდაპირობა და აფეთქება. იგი: არაქვს არ აოცებს, არ ანკვირებს ფეიერვერკებით. მაყურებელი ენდობა მის ბუნებრივ ხმას, ენდობა შინაგან სტიქიას, მუდამ რომ მოძრაობს და კალაპოტში

ვერ ეტევა: სცენაზე ჩნდება მანჯგალაძე და იზიარებს/მაყურებლის ინტერესს. იწყება არტიტულური ფორმული ცვალება.

მუდამ ძნელი მხატვრული სისადავის მიღწევა. კლასიკური სინათლისკენ მიილტვის ერ. მანჯგალაძე თავის საუკეთესო ქმნილებებში. ეგების ზოგჯერ წადილი წადილადვე რჩება, მაგრამ ვის არ ჰქონია ამგვარი დაშვება?...  
ერთი რამ ცხადია, თითქოს ყოველთვის მთლიანია ე. მანჯგალაძის სახეთა რიტმული კონსტრუქცია. იგი არ ირღვევა სცენური პაუზების თუ თვით „ეთერი ლაქების“ წარმოქმნის დროსაც. მსახიობს ზუსტად ესმის თავისი გმირის შინაგანი რიტმი. მისი სუნთქვა, ესმის სხვათა გულისხმაც, თითქოს ხელშეახებად გრძობს პარტნიორს, მთელ ანამბლს.

მსუბუქი იუმორი და დრამატული ნაწყისი, როგორც მხატვრული სინთეზი, ისე წარმოჩენილი ერ. მანჯგალაძის „გავდი ბიგვამი“. მსახიობის მაღალი სცენური იუმორი ზუსტად მიესადაგება გვადის ხასიათის მხატვრულ გადწყვეტას. ახალი საკომედიური სოფლის ცხოვრების ამსახველ ამ ფართო ტილოში მანჯგალაძე — გავდი იკთხობოდა, როგორც ბედი დარბი კაცისა, რომელიც ახალ სოციალურ პირობებში ჰპოვებს გამოსავალს. ეს არის პასუხი ადამიანის დანიშნულებზე, მისი სიცოცხლის აზრზე. მანჯგალაძის გვადი შეიქმნა იმ დროს, როცა ქართულ თეატრში ერთგვარად მიწვდებოდა ინტერესი მკვეთრად ინდივიდუალური ხასიათებისადმი. სახეთა ნიველირების ტენდენციის ფონზე გამოჩენილი გარდასახვით გამოჩნდა მანჯგალაძის გმირი. როლის წარმატებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა.

ლოუ ქიაჩელის „გავდი ბიგვამი“ მოეტემა სცენური ადეკვატი. შესავლისობა ლიტერატურულ გმირსა და სცენურ გმირს შორის მსახიობის არა მარტო სიმართლის გრძობის შედეგი იყო, არამედ რეალისტური მხატვრული სახის ფორმირების, იდეური და ფსიქოლოგიური ზუსტი სვლების, სოციალურ არსში წვდომის მაგალითიც, გვადის სახემ კიდევ უფრო გააფართოვა ერ. მანჯგალაძის აქტიორული თვალსაწიერი, სცენა გამაბიოვდა ქართული გლეხკაცის ტიპებით. გვადის სულში იშვია რალე ნათელი პოეტური შუქი. მაშამდე სულის სირბილე რომ თვლემდა. შინგანი მონოლოგის, გმირის გულწრფელი აღსარების მაგალითი იყო გვადის ოცნების სცენა.

ერ. მანჯგალაძე ხსნის გვადის სოციალურ ბუნებას, იაზრებს გარემოს ზემოქმედების მნიშვნელობას და იძლევა მხატვრულ სახის ფორმირების მთელ პროცესს. მაყურებლის გრძობს როგორც მწვლად, მაგრამ აუცილებლობის კანონით იორგუნება ეკრბო შესაკეთების ფსიქოლოგია, თანდათან მსლავრდება კოლექტივიზმის სული. მსახიობი ფილგანულად ძერწავს ახალი ადამიანის სახეს, ენიჭება მის სულს, მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებს კონტროლს, ზოგჯერ თითქოს გარედან ჰკერტება სახეს, ამოწმებს მის ფორმას, თუმცა არასდროს ეთიშება როლს. ნამდვილი ოსტატის ხელთ ნაძერწი სახე ორგანულად არის გათავისუფლებული.

ერ. მანჯგალაძეს სულის ორეულებს შორის ძალიან უყვარს ფანტაზიული. ეს იქიდან ჩანს, რომ აქ მო-



ქებნილი ინტონაციები გამოიხილს პოეზობის სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაშიც.

ქართული მსაფურთხისათვის კარგად არის ცნობილი რობერტ სტურუას სპექტაკლის „ხანუმა“ დიდი წარმატება. ავსტრიული ცეცხროლის პიესა აგრე თითქმის საუკუნეა არ სცილდება თეატრს, სპექტაკლის წარმატების სათავე მის მქეტფარე არტისტიზმშია. აქტიორული წარმატებანი ქმნიან მხატვრულ ატმოსფეროს, რომელსაც ჩვენამდე მოაქვს გარდასული დროის სუნთქვა, ვგრანობთ ეპოქის სურნელბას. რეალისტური ხასიათების ოსტატმა ბრწყინვალედ იცოდა სცენის ყველა საიდუმლო. მის პიესაში ნიჭიერად დამიქირდა ყოველივე. რუსთაველის თეატრმა იგრანო იგი და აქტიორულ, რეისორულ და მუსიკალურ გადწყვეტაში გამოავლინა საესებით. ეროსი მანჭვალაძის ფანტიაშვილ წარმოდგენილია რეალისტური სიღრმით და სიკხადით. გონებამახვილურ ინტონაციას და ექსტს ჩვენამდე მოაქვს არა მარტო გარდასული ცხოვრების კოლორიტი, არამედ თანამედროვეთათვისაც საველისხმო ზნეობა. თითქოს აქ არც არის დრო ჩაფიქრებისათვის, ყველაფერი თვებრულდამხვევ რიტმშია, ყველაფერი სიბრტყეზეა წარმოდგენილი, მაგრამ იქვე ვინდდება მსაფურთხის აქტიური დამოკიდებულება, იქვე ხდება განსჯა და ანალიტიკური პროცესი. მსაფურთხელი იცინის არა მხოლოდ სცენურ სიტუაციათა მახვილგონიერების გამო, არამედ ფანტიაშვილის გადაგვარებული ქართული მეტყველების გამოც.

ეროსი მანჭვალაძე თანამედროვე მსახიობია ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მისი აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია მეღვენდება ყველგან — კლასიკასა თუ უშუალოდ თანამედროვეობისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში. იგი სცენაზე ქმნის პროკურორ ირაკლი რაზმაძის სახეს ალ. ჩხაიძის „ხიდიში“, დევიატოვს ა. გელმანის „ჩვენ, ქვემოზე ხელისმომწერნში“, ტარიელს ლ. ქელიძის „ესმერალდაში“ და სხვა.

რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში დაიდგა ალ. ჩხაიძის „ხიდი“. მ. თუმანიშვილმა მევეთრად გამოხატა თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია, მოქებნა სცენური ფორმა, რომელიც ამბატრებდა პიესის სათქმელს. სამართლიანობისათვის უკომპრომისო ბრძოლის მოტივი რთულ სოციალურ ფონზე გაიშალა, ერ. მანჭვალაძის რაზმაძე წარმოაჩენდა მოტივებს, რომელთაც ფართო საზოგადოებრივი ელერადობა ჰქონდა.

\*\*\*

ლ. ქელიძის „ესმერალდა“ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრ-სახელოსნოს პირველი სპექტაკლი გახლდათ. მიხეილ თუმანიშვილის თეატრში თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ახალგაზრდობსთან ერთად ერ. მანჭვალაძემაც მიიღო მონაწილეობა და ამ ახალი თეატრის დამფუძნებელთა გვერდით ჩაიწერა



ვანო („ხანუმა“)

ტრესტის მმართველი („დასაწყისი“).



მისი სახელი. მანჯგალაძის ტარიელი თანადროული რე-  
ალისტური აზროვნების კარგი მავალი იყო. მსახი-  
ობი ეძებდა ახალ გამომსახველობით საშუალებებს,  
ცდილობდა უფრო მკაცრი და ლაონიური გახადა  
მხატვრული ფორმა, უფრო თავშეკავებულ — ქესტი.  
ნაზარისა და ნაუქორის წარმოჩენით იგი ხაზს უსვამდა  
თანამედროვე სახის რთულ სივალურ ვარემოს, რო-  
მული კონკრეტულ სცენურ სიტუაციაში დიქსირდება.

70-იანი წლების საბჭოთა თეატრში არსებით ტენ-  
დენციად იქცა „საწარმოო თემა“. ცხოვრებაში მოითხოვა  
მისი წარმოჩენა და ამას აქვს თავისი შინაგანი ახსნა.  
მილიონობით ადამიანი დროის დიდ ნაწილს უშუალოდ  
წარმოებაში ატარებს. მოცემულ დროში კოდირებულია  
მისი სულიერი და მატერიალური ცხოვრების მრავალი  
ასპექტი. ყოველდღე ამას ამოხსნა და ვაგონებდა უნდა.  
ადამიანის სულიერი ცხოვრების ასეთი მოსაზრება, ან  
თუ გნებავთ, დანაწევრება, ერთობ სარისკო ტენდენცია  
გახლავთ, ამ დროს აშკარად ჩნდება ხასიათების ნივე-  
ლირების საფრთხე, თავს იჩენს სქემატიზმი, ხდება  
იდეების რუპორიზაცია. მაგრამ ზოგჯერ დამატურგე-  
ბი ასცდებიან ხოლმე ამ ცდუნებას. ვიჭრობთ, ასე  
მოხდა ა. გელმანის პიესის შემთხვევაშიც. („ჩვენ, ქვე-  
მოზე ხელისმომწერნი“).

ერ. მანჯგალაძის იური დევიატოვი და ვ. ხარაბაძის  
შინდნი ქმნიან წარმოდგენის ორ საპირისპირო დაჯ-  
გუფებას. ა. შინდნის დაუსრულებელ იერიშებს, რათა  
მიაღწიოს შინაგანი, — დაიყოლოს რევიზია ხელი მოა-  
წერიან შენების მიღების აქტს, — უპირისპირდება  
ეროსი მანჯგალაძის დევიატოვის ეპიური სიმშვიდე  
ისინი ერთად წარმოაჩენენ, მთელს სიმართლეს შექმნი-  
ლი მდგომარეობისას. ეს არის ბიძოლა, რომელიც უთ-  
უოდ უნდა გამართულიყო და იგი იმართება კიდევ —  
თანდათან რთულდება და მძაფრდება სიტუაციები.  
უარესად რთულ ატმოსფეროში ვლინდება ე. მანჯგა-  
ლაძის ოსტატობა. მხატვრული ფერებისა და გაწყობი-  
ლებების მრავალსახეობაში იქმნება მისი სცენური სა-  
ხე, რომელიც გვიზიდავს მოვლენების სიღრმეებში  
წვდომით და შესრულების კლასიკური სისადავით. ლა-  
კონიურია ერ. მანჯგალაძის გიორის გამომსახველობითი  
ფორმა.

ეროსი მანჯგალაძის დევიატოვი პატიოსანი და კანო-  
ნების მორჩილი კაცის სახეა. ასე გვეჩვენება მოქმედ-  
ების პირველ ნაწილში, მაგრამ შემდეგ იხსნება მისი ბუ-  
ნების ახალი მხარეები, და იგი მაინც ყველგან რჩება,  
როგორც მაქსიმალისტი. ასეთია სცენურ საშუალებებ-  
შიც და ადამიანებთან ურთიერთობაშიც. ეროსი მანჯგა-  
ლაძის იური დევიატოვი თანდათან ერკვევა სიტუა-  
ციებში. ხდება გარდატეხა მის სულოც ცხოვრებაში, თვა-  
ლები ავხილება და ნათლად დაინახავს აღმასკოში მო-  
კალათებული ავისმქმნელების ნამდვილ ბუნებას. აქე-  
დან იწყება მისი შტურმები.

ეროსი მანჯგალაძის არტისტულ ბიოგრაფიაში ადრე-  
რებს მისი აქტიური მოღვაწეობა რადიო და ტელევიზი-  
ციებში, კინოში, საზოგადოებრივ საქმიანობებში, რადიო-  
კარგია, რომ იგი არის თეატრი-სტუდიის დირექტორი,  
გვერდით უდგას ახალგაზრდებს. ათეული წლები მო-  
ახმარა სპორტულ კომენტატორობას, ხშირად არის ყო-  
ველი ოჯახის სტუმარი, ხშირად ისმის მისი ხმა რადიო-  
დან, ტელევიზიიდან, დიდი შემოქმედებითი გეგმები  
აქვს სადღესიოდც. მიჯარა როლს შეასრულებს კ. გამ-  
სახურდიას „ვაზის ყვავილობის“ სატელევიზიო დადგმა-  
ში, მონაწილეობს ლეონა აბაშიძის ფილმში „თბილი-  
სი — პარიზი“, ასე მოუხვეწარი, მუდამ შემოქმედებ-  
ითა დაძაბული ცხოვრებით ცხოვრობს ეროსი მან-  
ჯგალაძე — საქართველოს ერთ-ერთი უმოპოვებლესა  
მსახიობი. იგი ნამდვილი ოსტატია ქართული სცენისა.  
ქართული აუდიტორია კვლავაც ბევრჯერ ვახდნება მოუ-  
ღე და თანაზიარი მისი ახალი წარმატებებისა. ბევრჯერ  
გამინათდება ეროსი მანჯგალაძის მჩქეფარე არტისტო-  
ბი.

\*\*\*

ზუსტად ამ ოცი წლის წინ რუსთაველის თეატრში  
ჩემს კაბინეტში დაშვდა პატარა ბარათი: „ვასოს! ამა-  
დგენ ლიტნაწილის თანამდებობა უქმნებაო!!! ძალიან  
სასამოვნოა, საშუალება გექნება მთლიანად გადახე-  
დე მანჯგალაძეობაზე“. არ გამართლდა ეროსის წინას-  
წარმეტყველება. არც ლიტნაწილი გაუქმდა და ვერც ბე-  
რი ვერაფერი დაწერე მას შემდეგ ეროსის დიდ შე-  
მოქმედებაზე. არა და უღმერთობა იქნებოდა კეროვანი  
პატივი არ მიგვეგო მისი ტალანტისათვის. ეურნალის  
რედაქტორმა შემავლენა, რომ ეს წერილი დამეწე-  
ნა. ხედის თქმაც შეიძლებოდა ეროსის შემოქმედებით  
მოღვაწეობაზე, ერთხელ ეროსიმ ჩემს წიგნზე „სანდრო  
ახმეტელი“ მითხრა: კარგი წიგნია, მაგრამ ახმეტელის  
ნაკლებ რომ არაფერის სწერ, როგორღაც წიგნს არ უხ-  
დებაო. მართალიც არის. ვერც ამ წერილში გავიძეტე  
წაურმატებლობა განსაცხლად, რამეთუ ისევ გამახსენ-  
და დიდი ილასი შეგონება: „არც ერთ ადამიანს ქვეყნი-  
ერებაზედ გრძნობა თაკილობის ესე გაძლიერებული  
არა აქვს, როგორც ავტორსა, არტისტსა და სხვა ამათ-  
თანა ხალხსა, რომელთაც საქმე კაცის გონებასა და  
სულთანა აქვთ“. „კაცის გონებასა და სულთან“ თანა-  
ზიარობას კი უზუნაესი ნიჭი უნდა. ბუნებას ეროსი-  
სათვის მიუმადლებია იგი. ბევრჯერ შეუღწევიდა მას კა-  
ცის გონებისა და სულის სამანებში, შორს გაუტაცნია  
ჩვენი ფიქრი, გაუღვიძებია გრძნობა, მოუფერია ცრემ-  
ლიცა და სიცილიც.

ასეა, ცალი თვალით იცინის, ცალითა სტირის მისი  
არტისტული ნიღაბი...

# აკვარელის რესპუბლიკური გამოფენა

ირინე თუმანიშვილი

აკვარელი ფერწერის ურთულესი სახეობაა, მისი ტექნიკა სწორებას არ ექვემდებარება — ერთხელ აღებულ ფერს სხვა ფერით ვერ დაფარავ, ვერ წაშლი, როგორც ეს ხდება ზეთის საღებავებით მუშაობის დროს. აკვარელი, შეიძლება ითქვას, „ერთი ამოსუნთქვით“ ფერწერაა.

რუსეთში აკვარელის ხელოვნება უკვე XVIII საუკუნის დასასრულიდან ვითარდება და თანდათან სულ უფრო იძენს მისთვის ნიშანდობლივ თვისებებს — გამჭვირვალებას, ფერის არანაჭეულებრივ ინტენსიურობას, რაც შესანიშნავად გამოიხატა ისეთი ოსტატი ფერმწერლების შემოქმედებაში, როგორც იყვნენ კ. ბრიულოვი, ა. ივანოვი, პ. ვედოტოვი, მოკვიანებით — ი. კრამსკოი, მ. მაკოვსკი, ი. რეპინი, მ. ვრუბელი და სხვ. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აკვარელის ტექნიკით ბრწყინვალე ნაწარმოებები შექმნეს ვ. ბორისოვ-მუსატოვმა, კ. სომოვმა, ა. ბენუამი, ლ. ბაკსტმა, მ. დობოჟინსკიმ, ე. ლანსერემ.

აკვარელის ხელოვნება ახალ საფეხურ-

ზე აიყვანეს ცნობილმა რუსმა საბჭოთა მხატვრებმა ა. ოსტროუმოვა-ლებედევამ, ს. გერასიმოვმა, ლ. ბრუნიმ, ი. პიმენოვმა, ა. დეინეკამ და სხვებმა. თანდათან ამ ტექნიკის ერთგვარმა ეტიუდურმა „ბუნებამ“ გზა დაუთმო დაზგური ფერწერისათვის ნიშანდობლივ გამომსახველობით შესაძლებლობებს და აღმოაჩინდა ძალა ჩვენი ეპოქის შესატყვისი მძლავარი ფერადობის ნაწარმოებთა შესაქმნელად.

აკვარელით წერის ოსტატობით ძველი დროიდანვე გაითქვეს სახელი ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, კერძოდ, ლატვიაში. ტექნიკურ საშუალებათა დამუშავების მხრივ, ამ რესპუბლიკამ ერთგვარი წამყვანის როლიც კი იკისრა, დღეს ამ სფეროში გარკვეულად თვალსაჩინო წარმატებები აქვთ მოსკოველ, ლენინგრადელ, მინსკელ, სვერდლოვსკელ, იმერკარპატელ და სხვაგან მოღვაწე მხატვრებსაც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აკვარელით ფერწერა დილექტანტთა სავარჯიშოს არ გასცილებია. თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსე-

ბის შემდეგ ამ მასალით მუშაობას მყარი პროფესიული საფუძველი ჩაეყარა. თავდაპირველად, — 20-30-იან წლებში, აკვარელური ნამუშევრები იშვიათად ჩნდებოდა გამოფენებზე. მოგვიანებით, როცა ჩვენში საგამოფენო საქმიანობა ფართოდ გაიშალა, როცა გახშირდა პერსონალური გამოფენები, თანდათან გამოიკვეთა ამ საღებავებით წერის ტექნიკის სპეციფიკური თავისებურებანი და ავტორთა შემოქმედებითი ხელწერა. ყურადღებას იქცევდნენ ცნობილი ოსტატების ე. ლანსერეს, პ. პრინევსკის, ვ. ნილოსანის, ი. შარლემანის, ვ. ჯაფარიძის, ვ. ბუბნოვას და სხვათა აკვარელები. შემდგომში, ფერმწერთა ახალი თაობების მოსვლასთან ერთად, გამრავლდა ამ სფეროში წარმატებით მომუშავე მხატვართა რიცხვი. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ რ. ჯავრიშვილი, გ. ყანდარელი, პ. ოტერშოკი, ლ. შაბარშინა, მ. კიკალიშვილი, თ. ასიბაშვილი, ი. გუკიევა, თ. მაცაბერიძე, ი. ფედოსოვა, მ. თუმანიშვილი და სხვები. ამრიგად, შეიძლება ითქვას, ქართულ სახვით ხელოვნებაში გამოიკვეთა აკვარელით ფერწერის დამოუკიდებელი გზა.

1978 წელს სსრკ მხატვართა კავშირის გამგეობამ ოფიციალურად დამტკიცა აკვარელის სექცია. აგერ უკვე სამ წელზე მეტია, დროდადრო ვიხილავთ აკვარელისტთა ნამუშევრებს, ვისმენთ იმ ფერმწერლების შემოქმედებით ანგარიშს, რომლებიც საკავშირო მხატვართა კავშირის საგზურით მივიღინებულნი იყვნენ სპეციალიზებულ სახელოსნოებში. სექცია აქტიურადაა ჩაბმული სხვადასხვა გამოფენის, მათ შორის საკავშირო გამოფენების მომზადებაში, შეძლებისდაგვარად ცდილობს უზრუნველყოს მხატვრები მასალებით.

სექციის გეგმა ითვალისწინებს მოძრავი ექსპოზიციების მოწყობასაც, მოძვერესაპუბლიკების მხატვრებთან გამოფენების გაცვლას რომ ისახავს მიზნად. ასე, მაგალითად, შარშან „მხატვრის სახლში“ მოეწყო ლატვიელ აკვარელისტთა ძალზე საინტერესო გამოფენა, რომელმაც არა მარტო ქართველ მხატვრებს, არამედ ფარეო საზოგადოებას დაანახვა, თუ ოსტატების რა სიმამლევებს ფლობენ ლატვიელები.

საქართველოში ამ სფეროში მომუშავე მხატვრების დიდი და ნაყოფიერი შემოქ-






მედებიტი შრომა ნათელყო აკვარელის ვრცელმა რესპუბლიკურმა გამოფენამ, რომელიც წელს, იანვარში გაიმართა „მხატვრის სახლში“.

ეს გამოფენა რიგით მესამეა. პირველი 1963 წელს გაიმართა მხატვართა კლუბში, მეორე — 1971 წელს საქართველოს სურათების გალერეაში. თუმცა, ეს წინამორბედი გამოფენები საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო, მაინც, ვფიქრობთ, მხოლოდ „კარგ დასაწყისს“ წარმოადგენდა.

წლებადელი რესპუბლიკური გამოფენის, ასე ვთქვათ, „რეტროსპექტულ“ არხს შეუერთდა კიდევ ორი დიდი გამოფენა — ეს გახლდათ ლილი კაჭარავას ნამუშევართა („მხატვრის სახლში“) და ალექსი ბალაბუევის (საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმში) პერსონალური გამოფენები. ამგვარად, შეიქმნა თავისებური შემოქმედებითი „ტრიპტიქი“, რომელმაც თვალნათლივ მიანიშნა აკვარელის ხელოვნების ხვედრით წონაზე ქართულ მხატვრობაში, ამასთან, შესაძლებლობა მოგვცა თანამედროვე ხელოვნების პოზიციებიდან



ბ. ჭურჭლია

გოგონა ქედით

ა. ოტრეშკო

ზამთარი თბილისში

ო. ჭიჭკარიანი

თუშეთის კუთხე

თ. მაცაბრიძე

ქალიშვილის პორტრეტი





გ. ჯანდარელი

ავტობიოგრაფიკი

ი. ალბუთაშვილი

მთათუშეთი



შეგვეფასებინა ამ მასალით წერის სტრუქტურა და ტექნიკა.

მეტივესუფი

თუ, მაგალითად ლილი კაჭარაძის მონატრეტების, პეიზაჟებისა და ნატურმორტების ემოციურ წყობას განსაზღვრავს მსუყე მონასმი, პლასტიკურ მოცულობებს რომ ძერწავს, ა. ბალაბუევის პეიზაჟთა სერიები თავშეკავებული ფერადოვანი გადაწყვეტით, საღებავთა მღერადობით ხასიათდება და მაყურებელს ბუნების განწყობილების შეგრძნებით გამოხვეულ სიამოვნებას აღუძრავს.

აკვარელის რესპუბლიკურ გამოფენაზე ასრროცდაათზე მეტი ავტორი მონაწილეობდა. სამასი აკვარელური ფურცელი ორრიგად გამწკრივდა „მატერის სახლის“ საგამოფენო დარბაზებში და თემატიკისა და კოლორიტის დიდი მრავალფეროვნებით იზიდავდა დამთვალიერებელს. ექსპოზიციაში ღირსეული ადგილი დაიკავა ცნობილი ოსტატების — უჩა ჯაფარიძის, ვახტანგ ჯაფარიძის, რუსუდან ჯაფარიშვილის ნამუშევრებმა.

კვლავაც ძალზე ფაქიზად, წყნარსა და კეთილშობილ ფერადოვან გამაში აღბეჭდავენ ბუნების სურათებს თ. ასიტაშვილი, ი. გუკიევა. სრულიად სხვა მხატვრულ საშუალებებს მიმართავს მ. თუმანიშვილი. სველ ქაღალდზე იგი უკიდურესად ინტენსიური ტონებით, ფართო და სწრაფი მონასმებით წერს.

ნატურიდან ეტიუდური წერის უშუალობა აქვს შენარჩუნებული და, ამასთან, თავისებური ტექნიკით გამოირჩევა გ. ჯანდარელის, თ. ბრენდელის, გ. სიფროშვილის ნამუშევრები.

კვლავ მიიპყრეს ყურადღება აკვარელით წერის ოსტატობით ი. ფედოსოვამ, ლ. შაბარშინამ, რომელთა შემოქმედებაში პოეტური სიმართლით აისახა გარემო სიამდვილის სურათები.

ახალგაზრდა ავტორები წარმატებით იღებენ ესტაფეტას უფროსებისაგან. სწორედ ამ გამოფენაზე კარგად წარმოჩნდა ახალი თაობის ხელოვნება. მხატვართაგან ბევრი ხომ უკვე საკავშირო გამოფენების მონაწილეცაა. ესენი არიან აკვარელის სექციის აქტიური წევრები: თ. მაცაბერისი, ზ. ტულუში, თ. ჰეინე, ნ. ჭურდულია, ტ. თუმანიშვილი, გ. ნერეთელი, ლ. გლობა, მ. ბუღდილევა... ექსპოზიციამ დაგვანახვა თუ რაოდენ სხვადასხვა სახვითი გასაღებით წყვეტენ ისინი დასახულ მხატვრულ ამოცანებს.

ტულუშის პეიზაჟების ლირიზმი განპირობებულია ნათელი, სხივოსანი ფერებით, ხოლო მისივე ნატურმორტები მკა-

ფიორ დეკორატიულობით გამოირჩევა. მონუმენტური იერი აქვს თ. მაცაბერიძის „ქალიშვილის პორტრეტს“. ფიქრიან პოზაში გამოხატული გოგონა ხალჩის ფონზე აღბეჭდილი. ნანარმოებში ჩანს ავტორის ზნარი პორტრეტული სახე ორგანულად ჩანეროს ინტერიერში.

ნაგრძელებული ფორმატის დიდ ფურცლებზეა განხორციელებული თ. პეინეს კომპოზიციები „უთოები“ და „ბიჭი ხის ცხენზე“. ნამუშევრები მაღალოსტატურა-

და რამდენადმე მკაცრსა და მუქ გამზობა გააზრებული. ეს სიმუქე ალაგ-ალაგ, თელი, ნარინჯისფერი და მწვანე ლაქებიითაა ვაცოცხლებული. სხვაგვარი ემოციური გამომსახველობით ხასიათდება ნ. ქურულულის ნამუშევრები, რომელშიც პირველყოფლისა, ფერის მაღალი კულტურა შეინიშნება. მომხიბლავია ამ ნანარმოებთა შუქ-ჩრდილის ეფექტები, სათქმელის ერთგვარი მხატვრული დაუსრულებლობა, მისი პორტრეტებისთვის რომ არის ნიშანდობლივი:

ტონირებულ ქალადზე განხორციელებული პეიზაჟების სერია გ. წერეთელს წარმოგვიდგენს, როგორც ახალი მხატვრულ-ტექნიკური ხერხების დაუცხრომელ მაძიებელს. მისი ოთხი ფურცელი აღიქმება როგორც ერთი მთლიანი დასრულებული ნანარმოები.

ახალგაზრდა ფერმწერალი მ. ტოროტაძე სამყაროს თავისებური მხატვრული წარმოსახვითაა გატაცებული. მხატვრის „ფართოკრანიაინი“ სურათები მყარებულს გადაუშლის კოსმოსურ სივრცეებს. შთაბეჭდავია მისივე „ინდუსტრიული პეიზაჟი“, „ნაგები“, „ნატურმორტი“.

ძალზე ძნელია მოკლე მიმოხილვაში შევხო ათეულობით ნანარმოებს. ეს ვრცელი მონოგრაფიის საგანი უფროა. იმას კი თამამად ვიტყვით, რომ აკვარელის ამ ვრცელმა რესპუბლიკურმა გამოფენამ დავგარმუნა დიდ ნახტომში, ფუნჯის ოსტატებს რომ მიუღწევიათ სადღესოდ. ძალზე გამდიდრდა სახვითი საშუალებანი, გაფართოვდა ტექნიკური შესაძლებლობები. ამ ზეფროში ახალგაზრდობის ჩაბმამ გაზარდა საერთო მიღწევათა მასშტაბები და ეს ნათელყო ექსპოზიციამ.

ქართული აკვარელი დიდ პოტენციურ შესაძლებლობებს შეიცავს. ეს მუდამ ჩანდა სხვადასხვა საერთო-დარგობრივ გამოფენებზე, რომელზეც აკვარელური ნამუშევრები არ ჩამოუვარდებოდნენ ზეთით შესრულებულ ტილოებს. ახლა საჭიროა აკვარელისტების შემოქმედების მეტი ხელისშეწყობა და, თუ გენბათ, მატერიალური სტიმულირებაც (რატომღაც ამ სახის ნამუშევრებს იშვიათად აძენენ), რათა ფუნჯის ოსტატებმა კიდევ უფრო შთაბეჭდავად თქვან ჩვენი დიდი თანამედროვეობით შთაგონებული თავიანთი სათქმელი.



ტ. თუმანიშვილი

დოლა

დაა შესრულებული. იგრძნობა, რომ მხატვარი ჩინებულად იყენებს აკვარელის ტექნიკის ნაირგვარ შესაძლებლობებს. ფონი ამ სურათებში აქტიურად მონაწილეობს სიუჟეტური ჩანაფიქრის გახსნაში.

თავის შემოქმედებაში ახალ სიმაღლეებს მიადღწევს მ. ბუდილივამ, მ. თუმანიშვილმა, საინტერესოდ წყვეტს მხატვრულ ამოცანებს ლ. გლობა. მისი სურათების სერია მკვირივი მონასმებითაა დაწერილი

# სიძველეთა ღაცვის სამსახურში

საპარტამენტო სანისტორიო და საეთნოგრაფიო  
სახოგადოების მოღვაწეობის ზომიერითი საკითხი

## რიონ მებრეველი

გამომჩინილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი ამ სამოცდაათი წლის წინათ სწერდა კავკაზში გრიგოლ მოხლოველს: „... ჩვენი ტურეთა პატარა საქართველო წარსულში ბრწყინავდა თავისი მამაცობა-ვეჯაცობით, სწავლა-განათლებით, სამშობლოს სიყვარულით, ქრისტეს სარწმუნოებით და მრაველი სხვა სასახელი ღირსება-ქველობით. ეს იყო მიზეზი, რომ ამ პატარა ქვეყანამ შემოინახა თავისი სახელი და ეროვნება. მრავლისაგან მრავალმა მტრმა ვერა დაავლო რა, ვერ გასტეხა და ძირს დასცა... მტრისგან შეწუხებულმა საქართველომ ამ ასი წლის წინათ შეუერთა თავისი ბედო მლიერს ერთმორწმუნე რუსეთს და მას აქეთ ჩვენს სამშობლოს აღარ მოვლის შიში გარეშე მტრისაგან.“

რაკი მშვიდობიანობა ჩამოვარდა, შესაძლებელი გახდა საქართველოს წარსული ცხოვრება შეგვეცნა. ყველა დიდი და პატარა, მოვალე ვართ ვიცოდეთ, თუ როგორი იყო ძველად საქართველო, რას პოეტიზმდნენ და რას აუცილებდნენ მისი საუკეთესო შვილი, ვინ შესწირა სამშობლოს სიკეთეს თავისი პირადი კეთილდღეობა, ქონება და თვით სიცოცხლეც, ვინ გააღდა საქართველოს სახელი შინ თუ გარეთ, ვინ ააგო ის მშვენიერი ეკლესია-მონასტრები და ციხე-დარბაზნი, რომელთა ხილვით სწავლული ევროპელები გაოცებულნი რჩებიან.“ წარსულის სიძველეთა დაცვა-შენახვა იყო ექვთიმე თაყაიშვილის დიდი საზრუნავი და სწორედ მისი თაოსნობით და ქართულ მამულშვილთა მხარდაჭერით 1907 წელს დაარსდა საქართველოს ისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელმაც მიზნად დაისახა შეეგროვებინა, შეენახა და შეესწავლა ისტორიული, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ლიტერატურული და ეთნოგრაფიული ნაშთები, როგორც ძველი საქართველოსი, ისე მთელი კავკასიისა. ამ საზოგადოებამ დრმა კვალი დატოვა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მთელი საქმიანობა იქმნე წარმართა, რომ შთაბრძნავლობისთვის შემოინახა მანამდე შემორჩენილი ყველა სახის სიძველენი (არქი-

ტექტურულ და არქეოლოგიურ მასალათა გარდა, ხალხური სიტყვიერების, კილო-კაპების, მუსიკის და სხვა ნიმუშები).

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება უდიდეს ყურადღებას აქცევდა სხვადასხვა სახის ექსპედიციების (როგორც თვითონ უწოდებდნენ ექსკურსიების) მოწყობას. საზოგადოების საბჭო თვლიდა, რომ საქართველოს მდიდარი წარსულის და აწყოს სათანადოდ შესწავლა კარგად ორგანიზებული ექსპედიციებით შეიძლებოდა. საზოგადოება თავისი დაარსების უმალ შეუდგა ამ საქმიანობას და მის წევრებს საშუალება მისცა მრავალ მოწვეულ ექსპედიცია-ექსკურსიებში, რომელთა მიზანი იყო არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთების შეგროვება ისტორიული ძეგლების შესწავლა (გვგებების, სურათების გადმოღება), ხალხური სიტყვიერების მასალის შეგროვება. ყველა ამ საქმის თაოსანი ექვთიმე თაყაიშვილი იყო. მან ვერ კიდევ წერა-კითხვის გამავრცელებული საზოგადოების წევრად ყოფნისას, ვასული საუკუნის თთხმოკიანი წლებიდან დაიწყო ძველი ხელნაწერების შეგროვება. ექვთიმე თაყაიშვილი იგონებდა: „...საზოგადოების წევრი რომ გავხდი, მივიხედ-მოვიხედ შევატყე, რომ იმ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალაუვნებურად მოვიკედ ხელი, დაეწეე პატრონმა. მერე თანდათან გამოიტაცა, შემოყვარდა დევიწყე ზუნუნა დაღუტვისაგან მათ გადარჩენაზე. თან ხალ-ახალსაც ვაგროვებდი. შემოვირულსა აღარ ვკერდებოდი, საზოგადოების ზარჯზე შეძენაც დაიწყე“

წერა-კითხვის გამავრცელებული საზოგადოების წესდება ითვალისწინებდა ეკლესია-მონასტრებში დაცული ძველი საეკლესიო წიგნების შეგროვებას. ექვთიმე თაყაიშვილმაც სწორედ ამით დაიწყო. პირველი არქეოლოგიური მოგზაურობა დიმიტრი ბაქრაქსთან ერთად მოაწყო 1889 წლის თებერვალში, მცხეთაში. მათი მიზანი იყო ხელნაწერი წიგნების მოპოვება-ჩამოტანა. კარგი ხელნაწერები სვეტიცხოველში უნახავთ და წამოუღიათ. ამ მოვ-



ხაურობის შესახებ სათანადოდ აღიზნა იმდროინდელ პრესაში. შემდგომში ექვთიმე თაყაიშვილი დამოუკიდებლად იწყებს ფართო შემოქმედლებით საქმიანობას, რომლის ერთგვარ დაგვირგვინებას წარმოადგენდა მის მიერ 1890 წ. გამოცემული „სსია ხრონიკა“. მას მოჰყვა „გაზრდა ნინოს ცხოვრება“ რომელიც წინა ნაშრომის გაგრძელებას წარმოადგენდა.

ექვთიმე თაყაიშვილმა რამდენიმე ათეული წლის სისტემატური კვლევა-ძიების შედეგად ბევრი ახალი, სრულიად უცნობი პირველხარისხოვანი ძეგლი აღმოაჩინა (მათ შორის „ევეფხისტყაოსნის“ 17 ხელნაწერი).

1880-90-იან წლებში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ფართოდ ვასლა ძალიან ჰქონდა. დიხუბრა ე. წ. კავკასიის მთავარულთა საზოგადოება. შემდეგ კავკასიის ისტორია-არქეოლოგიის საზოგადოებამაც შეწყვიტა არსებობა. ორივე ეს საზოგადოება ისე მალე დიხუბრა რომ მათ სავსებით საქმიანობის ფართოდ ვასლა ვერ მოახერხეს. მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისში გამართულ რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობას რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ისეა ჰუცუვაძე, ავაკი წერეთელი, რამელი ერისთავი და სხვა ქართველი მამულო-შვილები. ამ დროისათვის საქართველოში არქეოლოგ ბაიერის მიერ მნიშვნელოვანი გათხრები იყო ჩატარებული (მცხეთაში), მაგრამ რატომღაც V ყრილობაზე არც ბაიერი გამოსულა და არც მცხეთის მასალები გამოქანდაცა. ამიტომ იყო ექვთიმე თაყაიშვილი თავგამოდებით იბძობადა უცვლელად აღმოჩენილი ქართული არქეოლოგიური მასალებს ფართო საზოგადოების თვალსაწიერზე გატანისა და ახლის აღმოჩენისათვის.

1917 წლამდე ექვთიმე თაყაიშვილი იყო ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც სისტემატურად აწარმოებდა გათხრებს. თბილისში 1901 წ. დაიარსდა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომლის დამფუძნებელი წევრი (1905 წლიდან 1918 წლამდე სწავლული დივიანი და მისი ყველა გამოცემის რედაქტორი) იყო ექვთიმე თაყაიშვილი. 1902 წელს იგი თბილისში და მეთად მნიშვნელოვან აღმოჩენებს აკეთებს (სამარხები სხვადასხვა ინვენტარი). იმავე წელს იგი მოგზაურობს სამხრეთ საქართველოში ე. წ. „თორქეთის საქართველოში“. ექსპედიციის ე. თაყაიშვილთან ერთად მონაწილეობდნენ ხერათომიძე ვარა სევიანი კლდია-შვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუთიაშვილი. ახალციხისა და ახალქალაქის ზოგიერთ ძეგლთან ერთად მათ გამოიკვლიეს არტანისა და ოლთისის ოლქის ძეგლებიც.

მეორე ექსპედიცია 1907 წელს მოეწყო, იმ დროს, როცა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო (დამტკიცებული იყო წესდება და მიღებული იყო სათანადო ნებართვა). ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ ხერათომიძე ვარა ანატოლი კალენი და მოხალისე ფოტოგრაფი (იგი ფრანგული ენის მსწავლელი იყო) ედუარდ ლოზენი. გამოკვლეულ იქნა არტანის ოლქის კოლას რაიონის ძეგლები და დამთავრდა ოლთისის ოლქის შესწავლა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ისტორიული ძეგლები შესწავლასა და გამოთხუთურებას ელოდ-

ნენ. ექვთიმე თაყაიშვილი თავის თანამოაზრეებთან ერთად, განსაკუთრებით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების შემდეგ (რომლის საშუალებითაც მოთხოვნილებაც იყო წარსულის ძეგლების გამოკვლევა და დაცვა), დიდი მონდობებით ეწეოდა ამ საქმეს. ის შემდგომ იკონებდა: „საქართველო დავიარ და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალა ვაწვრივყო დავიწვინა და ხშირად დაღუპვისათვისაც. პირდაპირ ამიტანა ფანტიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომეწირო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამოაზრეებთან აღარავინ მისდებოდა ამ საქმეს“. ექვთიმე თაყაიშვილმა მიუღია ადგილებზე აკრებული ტაბრიბები კი არ გამოჩინა მხედველობადან. კოლა-ოლთისში მოგზაურობისას მას სოლომონის მღვიმე-ეკლესიაზე მოსუტრეობა ასედა. სასუფილოს სიძინლის გამო თანხლებ ფოტოგრაფს უარი უთქვამს აყოლზე. ექვთიმე კოჭლი იყო და, რა თქმა უნდა, ასევე უქრია. მას იქაური მკედრნი (მესხები) დახმარებენ და ხელით აუყვანიათ. ამის შემხედვარე ფოტოგრაფს შერცხენია და თვითონაც დიდი წვალებით ასულა მალა. ექვთიმე თაყაიშვილი ხუმრობით იკონებდა: იქაურ მახროს უფროსს რომ ჩემი გაჭირვება შეუტყუა, საფეხურები ამოღებდნენ და კვლავ და მივბრუნე ეკლესია მისადგომი გაუხდიათ.

1907 წელს კოლა-ოლთისა და ჩანგლში თავისი არქეოლოგიური მოგზაურობის დროს ე. თაყაიშვილმა აღწერა ბანას ტაძარი — „ეკლესია გუნბათიანი, დიდი, მუწუნებრად ნაგები კეთილ-მშვენიერად ადგილს“ (ახლმდინარე მის მიერ 1938 წელს პარიზში გამოქვეყნებული წიგნი — „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“ — სხვა ისტორიულ ძეგლებს გარდა მოთხრობილია ქალაქ ოლთისისა და მისი ღირსშესანიშნაობების შესახებ. შემდეგ ტაოსკარა აღწერილი. აქედან ოლორში ჩასულა. ვხად გუგულია სოფელი კოხი. სადაც თორმეტი გამაჰმადიანებული ქართველი გლეხი სახლობდა. შემდეგ სოფლების არქენისისა და კალენისის გავლით ფანსკერტს მისულა. ფანსკერტელი ერისთავების სამფლობელოში ექვთიმე თაყაიშვილი ბევრი სიძველის ნახვას ელოდა, მაგრამ იმედი გაუტრედა. არა მხოლოდ ეკლესიები ვერ ნახა, ფანსკერტელთა ციხეც დაზოვდა დაუხედა აქედან მეცნიერმა იმოგზაურა ხომევენქში, კარნავაში, ულაში, ხოსროში, ანავეში, დაბრუნდა ყარაში და ქ. ყალობანის მახლობლად მებუბარ სოფელ ჩანგლში ჩავიდა. აქ აღწერა ჩანგლის ვერის ტიპის ეკლესია, რომელსაც მეტად საინტერესო ქართული წარწერები ჰქონდა.

ექვთიმე თაყაიშვილმა თავისი მოგზაურობების დროს შესწავლია დიდადლი ისტორიული მასალა. მართალია, ბევრი ძეგლი უცვლელად აღწერილი იყო, მაგრამ მეცნიერს ძველ აღწერილობაში კორექტივები შეჰქონდა და ბევრს ისეთს ახალს ნახულობდა, რასაც ფასდაუღებელა მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიის რიგი საკითხების გაშუქებისათვის.

ექვთიმე თაყაიშვილმა შესწავლა და აღწერა: კახეთში — ალავერდი, შუამთა, ბიბეგი, თელავი, გრემი, იყალთო, ამბეცა და სხვ. იმერეთში — საჩხერე, ჭრუჭი, კახი, ქუთაისი, გელათი და სხვ. სამეგრელოში — მარტვილი, ცაში, ზუგდიდი, წალენჯიხა, ბანა, აბა-

მა, სუფუნა და სხვ. რაჰაში — გლოლა, ქიორა, ღები, ონი, წისი, მრავალაღი, სხვადა, ბუგეული, ნიკორწმინდა და სხვა. ლეჩხუმ-სვანეთში — ლაბეჟინა, საირბე, ლა-ჯანა, ორბელი, ლენტეხი, ჩილერი, ლაშხეთი, უშგულთ და სხვა.<sup>3</sup>

ექვთიმე თაყაიშვილის მეცვლეობით ისე მოხერხდა, რომ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ყოველწლიურად ითვალისწინებდა თანხებს ექსპედიციებში (ექსპედიციების) ჩატარების მიზნით. ამ ექსპედიციებში, კი დიდი სარგებლობა მოჰქონდა მეცნიერთა თვალსაზრისით. 1908 წლიდან, როგორც წლიურ ანგარიშშია მოცემული, „...რამდენად ნივთიერი საშუალება ნებას აძლევდა, ჩვენი საზოგადოების საბჭო იღებდა მონაწილეობას სხვადასხვაგვარი საარქეოლოგიო მოგზაურობებში და ერთი საკუთარი მოგზაურობაც მოახდინა სოფელ ატენს, გორის მარხობა (იხ. საბჭოს წიგნი № 24, მუხლი 5). მოგზაურობაში მონაწილეობა მიიღო საზოგადოების თავმჯდომარემ ე. ს. თაყაიშვილმა და საზოგადოების წევრმა არისტ. ე. ქუთათელაძემ<sup>4</sup>. ექსპედიციას შეუწავლია ადგილობრივი ინჟინერი და შეუქმნია რამდენიმე სიგელ-გუჯარი და ხელნაწერი.

1908 წელს ბევრი საინტერესო მასალა იქნა მიკვლეული. საზოგადოებამ მიიღო ცნობა, რომ ქართლის ახალქალაქის მახლობლად გლეხებს სპილენძის ძველი იარაღები აღმოუჩინა. ექვთიმე თაყაიშვილი დაუყოვნებლივ გაემგზავრა, მოიხაზულა აღმოჩენის ადგილი და შეიძინა თითქმის მთელი ვაზი — ბრიჯაოს 17 ტული და 6 ფუთზე მეტი სპილენძის ზღვები, რომლებიც თიხის ჭურჭლით ყოვილა დაფლული<sup>5</sup>.

1909 წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ახლადარსებული მუზეუმისათვის შეუწირავთ საჩხერეში ნაპოვნი სპილენძის ძველქართული, უჩვეულო მოყვანილობის ტული. შემდეგ სხვადასხვა ნივთები უპოვნიათ. 1910 წელს ე. თაყაიშვილი საგანგებოდ ჩასულა საჩხერეში, უნახავს ნივთები და მათი მოპოვების ადგილი. შემდეგ მას თხროლა გაუტყრა ამ ბორცვზე დაცხველთა ძეგლები და სპილენძის წერილი საგნები უპოვია. აქვე ყოფილა თიხის ჭურჭლის ნამტკვანეები; ადრე აღმოჩენილი და ვანათხარი მასალაც თბილისში წაიშურა. მეცნიერებამ საჩხერის ყოვლიანი სპილენძის ხანის მიაყუთვნა.<sup>6</sup> 1908 წ. ე. თაყაიშვილმა საგანგებოდ დაათვალიერა ანისის მაქალაქარი, სადაც გათხრებს აწარმოებდა ნივთი.

1909 წელს ექსპედიციები მოეწყო ქართლის სხვადასხვა სოფელში: ახალქალაქში, დოესში, ოთარშენში, მეგორისხეში, იკორაში, ხელთუბანში, ქ. გორში, კასპში, ლამისკანაში, ოთხში, ქსევირისა და მუხრანში (იხ. საბჭოს ოქმები № 37, № 38). შეკრბებს მრავალი სიგელ-გუჯარი, რამდენიმე ხელნაწერი წიგნი და არქეოლოგიური ნივთი. ეს მოგზაურობები მეტად მნიშვნელოვანი იყო — გამოვიდა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართულ ოჯახებში, მრავალი სიგელ-გუჯარი და საარქეოლოგიური ნივთი ინახებოდა. ზოგჯერ ეს ხელნაწერები თუ ნივთები უყურადღებოდ იყო მიტარებული, წვიმა და მტერი აფუქტვდა (ზოგი თანგებამუნა იყო შექმნილი). საზოგადოებამ თვალნათლივ დაინახა, რომ საქარო იყო ანალოგიური ექსპედიციების მოწყობა მთელ საქართვე-

ლოში. ძვირფას საუფრეს დროულად სტირდებოდა ქართონობა, თორემ სამუდამოდ დაღუპვის საფრთხეში რბობდა.

1910 წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მოაწყო ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთსა და ყვირილს ხეობაში. ამ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ე. თაყაიშვილი. ეს მოგზაურობა დადანიშნა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრმა პავლე თუმანიშვილმა. ექსპედიციის მიზანს შეადგენდა ფოტოგრაფიული გადაღებით სვანეთის ისტორიული ძეგლები, ხელოვნების ნიმუშები; შეეგროვებინათ სხვადასხვა (არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული) მასალა. ნაყოფიერი შემთხვევით, შემდეგ ჩამოიხატეს და მუზეუმის წიგნთსაცავს გადაეცა: მრავალი არქეოლოგიური ნივთი და ხელნაწერი წიგნი. სვანეთში მოგზაურობისას ე. თაყაიშვილი ძირითადად ქრისტიანული კულტურის ნაშთების შესწავლით დაინტერესებულა, თუმცა მას უყურადღებოდ არც სხვა მასალა დაუტოვებია. იგი გადმოიკვცემს: სვანეთში, რამდენადაც ცნობილია არქეოლოგიურ გათხრებს ჯერ ადგილი არ ჰქონდა და არაფერი ვიცოდა რა დონეზე იყო ქრისტიანობის წინა დროინდელი კულტურა. მაგრამ რამდენადაც ეს სჩანს იმ მცირე ნაშთებისაგან, რომლებიც ეკლესიებშია დაცულია და რომელიც ექვს გარეშე ძველი სასაფლაოებიდან არის ამოღებული ეს კულტურა იგივეა, რაც ყობანის კულტურა ისეთში. ამას გარდა სვანეთში დიდიძალი ოქროს ფულს პოულობენ, რაც მოწმობს მის მჭიდრო სააღმშენებლო კავშირს წინა აზიის და საბერძნეთის ხალხებთან... ადვილად შესაძლებელია ის ოქროს ფულები რომლებიც ხშირად გვხვდება საქართველოს სასაფლაოებში და რომელნიც ლიხიშაქის ოქროს ფულს მიხაძეთი არის დამზადებული, სვანეთში ოქროსა და სვანეთშივე ნაპოვნი და დამზადებული ოქრობითი...<sup>7</sup>

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისთვის ე. თაყაიშვილმა შეიძინა სასაწილდების დროინდელი მინანქრი შექმნილი სპილენძის სამეფო, ფოთისანი რომლებს გამოიხატულებოდა (ამ ნივთს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ე. თაყაიშვილი). სვანეთიდან ჩამოიტანი ნივთები ზევის გამოირჩევა „ბუნდნერი სვანეთის“ ერთობლივი ხეის დროშა (ლომის თავის გამოსახებულში). ე. თაყაიშვილმა ახლებურად წაითხა დროშის თავზე ამოტვირთული წარწერა და შეკრებილი მასალების საფუძვლებზე ახსნა დროშის გამოიყენების წესები. ექსპედიციის ნაყოფიერი შემთხვევით დიდი ღვაწლი აღსდეს მისმა მონაწილეებმა: ხუროთმოძღვარმა სვიმონ კლიაშვილმა, ფოტოგრაფმა დიმიტრი ერმაკოვმა და თბილისის პირველი გიმნაზიის მასწავლებელმა ივანე ნიკარაძემ. ექსპედიციამ დასახულ მიზანს ძირითადად მიადოწია. აღწერის ლეჩხუმის თითქმის ყველა ეკლესია, სვანეთის ტაძრების უმრავლესობა. ვერ მოუხერხებიათ მხოლოდ ლხანძელში (იქ მამონ ქოლერა მდინარეა), ჩუბის-ხევისა და აღაშის (დადი თოვლი მისულა) ნახვა. აღიშნა სახარება მონეტანით მესტაში და იქ გადაუღიათ მისი ფოტოპირი.

წინათ ფიქრობდნენ, სიმრავლე გვარ-ხატებისა და ხელნაწერებისა სვანეთში იმით აიხსნებოდა, რომ ამ ნივთების მტრის შემოპოვებობადა დასახარავად და გაქადაგებულ ეზიდებოდნენ. ე. თაყაიშვილმა დასაბუთა, რომ ცხრამეათედი ამ გვარ-ხატების თვით სვანეთშია დამზადებული.

ამას ნათლად მოწმობენ სვინიზმები წარწერებში. ოქრო-მედილიან სვანეთში დიდად განვითარებული ყოფილა: აჯად. ზ. ჩუბინაშვილი თვლიდა, რომ 1910 წლის დიხსუშ-სვანეთის ექსპედიციით იწყება ახალი განსაკუთრებულ ხანა ე. თაყაიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში, რომელსაც ახასიათებს ქართული ხელოვნებისა და სიძველეს მტერი, მოძრავი ძეგლების ფართოდ აღრიცხვა და შეკრება, როგორც სთავაზოდ ექსპედიციების ამოცანა (იხ. გ. ჩუბინაშვილი, «ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ხელოვნების ძეგლები», კრებ., აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი თბ., 1966, გვ. 126).

ასეთ შეხვედრებს ორმხრივი სარგებლობა მოაქვს, განამტკიცებს ცხოვრებისა და ხელოვნების კავშირს, აღაფრთოვანებს მშრომლებს მეტი წარმატებების მოპოებისათვის.

სავანებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში თითქმის ყველა საოჯახო, სასოფლო, რეგიონალური თუ ეროვნული დღესასწაული ვახის სიყვარულით არის შთაგონებული, ღვინის მადლით არის გარემოსილი.

ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებით მომრავლდა ახალი საბჭოური დღესასწაულები, რომლებიც დაეკონკრეტებოდა ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლების სახელთან და ხშირ შემთხვევაში უპირისპირდება ძველ დროშობულ რაიონიურ დღესასწაულებს.

თელავის რაიონის სოფელ იყალიანოში ტარდება „შოთაობა“, ყვარლის — „ილიაობა“ სიღნაღში „ვანობა“ (ცემდება ვ. სარაჯიშვილის ხსენება), წითელწყაროს რაიონის სოფელ შირხანში — „ფიროსმანობა“, საგარჯაოს რაიონში — „გარეჯობა“ დუშეთის რაიონში — „ოთისობა“ (ცემდება გიორგი და დავით ერისთავების ახსენებით) — „ალავერდობა“, ხელაჩაურის რაიონში „ქობობა“, მახარაძის რაიონში — „შემოქმედობა“, კასპის რაიონში — „გურამიშვილობა“, გორის რაიონში — „იაკობობა“, „მცხეთის რაიონში — „მცხეთობა“ და ა. შ. დამახასიათებელია, რომ თითქმის ყველა ეს დღესასწაული იმართება შემოდგომით და ისინი შრომისა და ხელოვნების, ვახისა და ხელოვნების ზემოდადგაიქცევა ხოლმე.

ამ მხრივ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო „თბილისობაში“, რომელიც ტრადიციულად ტარდება დღეივით: თბილისი — მშობისა და მეგობრობის ქალაქი. ამ პოპულარულ დღესასწაულზე ბევრი რამ თქმულა, აჩვარდა მხოლოდ ეს გვინდა აღვნიშნოთ, რომ „თბილისქალაქობის“ განუყოფლი ატრიბუტებია ვახი, ყურანის ჯავნები, აკიდობი და ჩხები, თათარა და ხურჩხელები, ეგზოტიკური ღვინის ტიპები და არყის სახელი — „ხაოდები“...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ვახი და მის მიერ მიღწენილი პროდუქტები ღამამაზე ყველა დღესასწაულს, აძლევს შინაარსსა და ნაზათს.

ცალკე უნდა გამოვეთქო მევენახეთა „სუკუთარი“ დღესასწაულები. მაგალითად, თელავის რაიონის სოფელ წიხნაღის ალ. კაჭვავაძის სახელობის კულტურის სახალხო უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს მევენახეთა საიდენტებო ზეიმს, რომელსაც „ვახის ყვავილობა“ შეარქვეს.

გურჯაანის, თელავის, სიღნაღის და რესპუბლიკის სხვა რაიონებში რთვლის დამთავრების შემდეგ უკვე ტრადიციულად იმართება მოსავლის დღესასწაულები, რომელიც აქტიურად მონაწილეობენ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაეები.



ვაზი ძველთაგანვე იყო საქართველოს ქალაქებისა და სოფლების „მწვანე“ არქიტექტურული ელემენტი. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სხვა ქალაქებში ყურადღებას იქცევს მრავალსართულიან სახლებზე ასული ვაზები, რომლებიც მოზინანდრებებს დასაქრული მტევნებით ასაფრებენ, ხოლო სახლებს ეგზოტიკური მშვენიერებით მოსავს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი თალარი 400-500 და მეტ კილოგრამ ყურბებს იძლევა. სასაბოგნოა აღინიშნოს, რომ ვაზის ხეივანებმა უკანასკნელ წლებში დაამყვნა პარტიის საგარეოცის, სიღნაღის და სხვა რაიონების ადმინისტრაციული შენობების ფსადები, სასტუმრო „ივერისი“, ბევრი საზოგადოებრივი დაწესებულებების ეზოები, რესპუბლიკის გზატკეცილები, მოსახლეობის კარმინდამოვები.

ალბათ, ვაზის „მხატვრული ფუნქცია“ კიდევ უფრო გაიზრდება უახლოეს წლებში, რადგან ბევრ რაიონს შავს არქიტექტორები, საქართველოს მხატვართა კავშირის სამდივნოს ინიციატივით რესპუბლიკის მთავარ ქალაქებში საზოგადოებრივ საწყისებზე დაინიშნენ მთავარი მხატვრები, რომელთა მოვალეობაა თვალუფრო აღდგინოს ქალაქების მხატვრული გაფორმება.

კარგი იქნება, თუ ქართველი მხატვრები და არქიტექტორები შეიძულებიან რეკომენდაციებს და უფრო მეტად იზრუნებენ, რომ საწარმოო ესთეტიკა ფართოდ დაინერგოს თვით მევენახეობაში. არადა, ფაქტია, რომ ზოგჯერ საზოგადოებრივი თუ საკარმიდამო ზეგები ვერაფრით ესთეტიკურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. ვენახების მისასვლელები ზოგან სარეგულების ბუდედ არის გადაქცეული. მევენახეთა სახლები ან არ არის, ხოლო სადაც არის, ვერაფრით ესთეტიკურ ნორმებს ვერ უბასუხებენ, არ ვარგანან მშრომელთა დასასვენებლად. ვენახების გაფორმება ლოზუნგებით, პლაკატებით, ემბლემებით ხშირ შემთხვევაში პრimitულია, უგემოვნოდ არის შესრულებული.

ვენახების მეჩხერაინობა ხშირად საწარმოო უტელურობასთან ერთად ესთეტიკურ ზარბისაც წარმოადგენს, რასაც ჯერ კიდევ ყველაზე ეფექტურად ან ევბრძვი.

კარგად მოწყობილ საწარმოო ესთეტიკას შეუძლია მეტად და დადებითაც იმოქმედოს შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე, აღამაინათ შრომის, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაზე. ამიტომ ამ საკითხებს მეურნეობების ხელმძღვანელებმა, პარტულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ, ხოლო შემოქმედებითმა კავშირებმა მათ ჭეროვანი დახმარება უნდა აღმოუჩინონ.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებასთან, ყანებიდან და პლანტაციებიდან პროდუქციის დროულად და დაუბრკოლებლად გადაზიდვასთან ერთად ესთეტიკური მხარის მოწესრიგებასაც ისახავს მიზნად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება, რომლის ძალით დამტკიცებულია შიდასამეურნეო საპლანტაციო გზების მშენებლობის 1981—1985 წლების გეგმა.

საქართველოს მევენახეებმა გვირუდოდ იზრომეს მეთე ხუთწლედში და სასახლოდ განაღდეს სახელმწიფოსათვის ყურბანის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა-ვალდე-

დულებში. მარტო ხუთწლედის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკაში დაშაღდა 800 ათას ტონაზე მეტი მევენახეობის პროდუქტი, რაც რეკორდულია ამ დარგის ისტორიაში.

ახალმა, მეურთომეტე ხუთწლედმა მოიტანა ახალი ამოცანები. პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით მეურთომეტე ხუთწლედში ყურბანის ყოველწლიურმა წარმოებამ რესპუბლიკაში მილიონ ტონას უნდა გადააჭარბოს. რესპუბლიკის მევენახეებმა უკვე გააჩაღეს ბრძოლა ახალი მწვერვალების დასაღმსკრავად.

მევენახეებთან ერთად არის რესპუბლიკის ყველა მშრომელი, მათ შორის შემოქმედებითი ინტელიგენცია, რადგან საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ყურბანის სიუხვისათვის ბრძოლა, მევენახეობის განვითარება მარტო ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხი კ არ არის, არამედ ეს არის უდიდესი სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა, რომელიც დაკავშირებულია მილიონობით აღმავანის კეთილდღეობასთან.

შარშან, 7 ივნისს თელავში გამართულ მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე კენცტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კავშირდამა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შვეარდნაძემ აღნიშნა: „ვაზის მტევანი არა მარტო ჩვენი მეურნეობრივი აღმავლობის სიმბოლოა, ვაზის მტევანი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების დაღარებულ სიმბოლოც გახდა — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გერბს პურის თავთავებთან ერთად ვაზის მტევანიც ამშვენებს.“

დაიხ, ვაზის მტევანი ამშვენებს საქართველოს გერბს, რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებს, მისი ხელოვნების ძეგლებს, მის ისტორიას და თანამედროვეობას. ვაზი ყოველთვის იქნება საქართველოს მდინერი მომავლის ერთადერთი მთავარი საყრდენი, მის მატერიალური და სულიერი ამაღლების საფუძველთა საფუძველი. კიდევ დაიწერება მრავალი ლექსი, მოთხრობა, ნარკვევი რომანი, შეიქმნება ახალი ფერწერული ტილოები, ჟანდაკებები, არქიტექტურული ანსამლები, ტელე და კინოფილმები, სიმღერები, რომლებიც განაღდებენ მევენახეთა ფაქიზ შრომას, მის ხელოვლო მარჩვენას, მის სიღალბეს და სიღაღდეს.

# მცირე მოგონება კერიკო ანჯაფარიძეზე

## სერგი დურმიშიძე

...რომ გაქვადე  
უცბად ამ დროს,  
შევიძლია ვალმწირობა.  
უშანგი ჩხეიძე.

თხუთმეტი წლისა ვიყავი, როდესაც ვერკო ანჯაფარიძე ჭიათურის თეატრის საცენაზე პირველად ვნახე, ვნახე უშანგი ჩხეიძესთან ერთად „ჰამლეტიში“. იმ დამეს მე და ჩემი ამხანაგები ალიონს ყვირილის პირას შევხვდით... ერთი თვის განმავლობაში ჩვენი სკოლის დირექტორს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს იპოლიტე ვართაგავს ვაკვეთილი „ნორმალურად“ არ ჩაუტარებია. კარგად მახსოვს, როგორ ვეხვეწებოდით:

— ბატონო იპოლიტე, თუ შეიძლება გადავდოთ „წამებაი წმინდისა შუშანიკისი“ და კვლავ პრინც ჰამლეტსა და მის ოფელიაზე მოგვიტხრეთ რამე-თქო.

იმ დღიდან მე და ჩემს რამდენიმე მეგობარს ქალბატონი ვერკო და ბატონი უშანგი ერთი სულის ორ სხედასხვა სახედ ჩავვექმედა გონებაში.

გავიდა სამი წელი და ივლითისა და აკონტას სახედიწერო სიყვარულის მოწმენი გავხდით. თბილისის სტუდენტობა მარჯანიშვილის ახალი თეატრის გამტროლებით ცხოვრობდა. კვლავ ვერკო და უშანგი! ისევე მშფოთვარე წმინდა სულთა ურთიერთლოცვა და ისევე უხამსი სინამდვილის დაუნდობელი ხელი!

ვილას ახსოვდა ლექციები. თეატრი შეიქმნა ჩვენი სულის საზრდო, მაღალი იდეალებისა და თვალუწვდენი ოცნების სამყარო. გაჩაღდა „ომი“ და მე და ჩემი მეგობრები „ზომიერი მარჯანიშვილები“ გავხდით. დაიბადა ჩვენი „კორპორაციის“ დევიზიც: ბრძოლა ვერკოსა და უშანგის ურთიერთსიყვარულისათვის; რაც სცენას არ შეუძლია, ის იქნებ ცხოვრებამ, სინამდვილემ მოიმოქმედოს!

1929 წლის შემოდგომა მიიწურა. მოახლოვდა უნივერსიტეტში საცნების ჩაბარების დრო და ჩვენც მოვეუხშირეთ მთაწმინდაზე მეტადინობას. ყოველთვის ყველაფერი გემგამზომიერად მიდიოდა, ვიდრე რომელიმე ჩვენთაგანი ვერკოს ან უშანგის არ გაიხსენებდა. საკმარისი იყო ერთი სიტყვა: ურიელ... და თეატრის გარდა ყველაფერი მივიწყებას ეძლეოდა.

ერთხელ წმინდა ადგილს გვიანობამდე შემოგრჩით. მაშინ, საღამოობით მლოცველები ეკლესიის ირგვლივ, გარედან სასთალებს ანთებდნენ ხოლმე. იმ დღესაც თანაზი შემოსილმა რამდენიმე მანდილოსანმა აკაიის საფლავის მხარეს, ეკლესიაში შესასვლელ კართან სათალები აანთო და ილოცა. ჩვენი სტუდენტები, ხელი რომ არ შეგვეშლა, შენთქვაშეკრულნი ვიდრეთ და ვუსმენდით. მე ახლაც მჯერა, რომ იქ სათალები ძალზე ნელა იწყოდა და უფრო ძლიერ ციმციმებდა, ვიდრე ჩვეულებრივ... უკვე ბნელოდა, როდესაც უეცრად თითქოს ერთმანეთს უხმოდ შევეუთანხმდით, სასათლის ნაშფავებები მოვავრთვეთ და გრიბოიედოვის საფლავისაკენ დავეშვიტით... ვიდექით მუხლმოყრილი ნინო ჰაჭკაძისა და ალექსანდრე გრიბოიედოვის საფლავების წინ, ხელში ანთებული სათალები გვეკავა და ნინოს სულს ვევედრებოდით, რომ ვერკო ანჯაფარიძისათვის შთავგონე-

ბინა უშნავი ჩხვიძის სიყვარული, სიყვარული მისებრი, ყველაფრისა და ყველა დროსა ვაძლავ. ფერტუცული და უქნობი. მეოცნებე შეთქმულებს მტკიცედ გვემდა, რომ უშნავის თავდადებულებით უყვარდა ვერცხვ, თავადის ქალის საპასუხო განზობა კი საეჭვოდ მიგვიჩნდა. ისიდან არ რატომ დაგვებდა და ასეთი აზრი, არ ვიცი, არ მაგონდება. იმ ღამეს ეკლესიის მთავარ დიდი ჩხვიძი გამოგვყარა მიწიწინდის ვხადდა...

გავიდა ერთი წელი და თბილისში მეორე სახელმწიფო თეატრი გაჩნდა. მე და ჩემ მეგობრებს მარჯანიშვილის თეატრის არცერთი დაღვმა არ გამოგვიცოცხებია: ჩვენ, თბილისელმა მაყურებლებმა, რამდენიმე ათეული წელი ვიარეთ თეატრთან ერთად ფეხდაფეხ. ვეყვარებოდა ქართული თეატრალური ხელოვნება და, ალბათ, ჩვენც — მაყურებლებიც ვიზრდებოდით. ადვილი საქმე ხომ არ არის იყო ვერციოსა და უშნავის თანამედროვე! სწორად აღიქმეთ კი ყველაფერი ის, რაც მათმა ნიჭმა ჩამოქვიდა და ასულდგმულა?! ერთი უღაცა: თვეობით ეცხოვრობდით ვერციოსა და უშნავის სცენურ გმირთა ბედით!

მრავალთა შორის მეც უსაზღვროდ მოხიბლული ვიყავი სიციცხლისა და სიყვდილისადმი ვერციოსეული დამოკიდებულებით. მის სცენურ სიციცხლს მუდამ აღმაზებდა მოსალოდნელი სიყვდილის სიბრძნე, ხოლო სიყვდილს — მუდამ თავს დასტრიალებდა სიციცხლის ჩაუქრებელი სხვი. ანჯაფარაძის ქალი სიციცხლს სიყვდილს ისე არასოდეს განწირებდა, რომ მას სიყვდილი წინასწარ არ დაეჩოქებინა. თანაც საოცარი, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მისი მუდმივი მონა — სიყვდილი ყოველთვის სხვადასხვაგვარად იხიდა ხარკს ვერციოს გმირების — დეზემონას, გინატრეს, მარგარიტა გოტიეს, ჯავარას, კლეოპატრას, მარამ სტეფანატის, ეუხენას, მედეას და სხვათა წინაშე.

ალბათ ამიტომ, რომ ქალბატონი ვერციოს ასაკმა ჩრდილში ვერასაგზით ვერ შეიტყუა და ვერც თავისი თვალთუხილავი ფერფლით დაფარა.

ოცდაათიან წლებში ხშირად მინატრია: ნეტავ, ქალბატონი ვერციოს და ბატონი უშნავი პირადად გამაყენი, ცხოვრებაში მაჩვენა, მათთან მსაუბრა, მათი პირადი სამყარო შემაგრძნობინა მეთქი!

დაღვა ნანატრი დრო და 1949 წელს თელავში ჩვენი საერთო მეგობრის ექიმ ქეთო ქავთარაძის ოჯახში გავიყანი ვერციოს ანჯაფარაძე. აი, თუმცა როგორი ყოფილა დიდი მსახიობი! ყველაფერზე და ყველაზე საკუთარი, მკვეთრად გამოხატული შეხედულება

ქქონია, კაცობის საზომად ერის სამსახური მიუჩნევია, არაფერი ადამიანური მისთვის არასოდეს არ ყოფილა უხეს. ვერციოს თან თეატრმცოდნე ნათელა ურუსაძე ახლდა. მათ საზოგადოებაში ორი დღე გავატარე. დიღხანს ვსაუბრობდით. ალბათ მოგახეზრე ეკლესია თავი შევითხოვდით. მსახიობის გულახილილობამ, უშუალოდ, სიმართლემ გამაოცა. როგორ დაუბრუნებდა, პირდაპირობით ასეთი თებდა ჩვენს საერთო ნაცნობებს — მხატვრებს, მსახიობებს, მუსიკოსებს, რეჟისორებს, საზოგადო მოღვაწეებს! პიროვნების დახასიათებისას ნიჭთან ერთად დიდ ადვილს უთმობდა შრომის უნარს და საერთო გონიერებას. აშკარა იყო, რომ ქალბატონი ვერციოს ყველაში ყოველთვის მთლიან ადამიანს ხედავდა, მთლიანად შეიცნობდა, მისი რომელიმე უსწარმწავი მხარე თვალსაწივრით არ უჩრდილავდა, არაფერი არ გამოჩნებოდა. მე გამიყვარდა აგრეთვე მისი დიდი ყურადღება ყველას მიმართ, სხვათა აზრების გულდასმით მოსმენის უნარი... როდესაც თვალის სტუმრები გავაცილეთ, მე უკვე მჭეროდა, რომ ჩვენ დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით.

ერთხელ ქალბატონი ვერციოს და მე რუსთაველის თეატრში „ესპანელი მღვდლის“ სპექტაკლზე ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდით. დიდი მსახიობი „თავდაუკეცებელი“ მაყურებელი გამოდგა: თავდავიწყებით იცინოდა, ბავშვით ხითხითებდა, სისხრულით იცრემლებოდა და „ხიჩხობოდა“, ალტაცუნული იყო მსახიობთა, განსაკუთრებით კი ვერციოს მანჯავალაძის თანამით. მისი განცდის სიძლიერე შესვენების დროსაც კი არ შენელებულა.

1955 წლის მეორე ნახევარში მოხდა საოცარი თანხედრა: სამჯერ ერთად ვიმგზავრეთ მოსკოვს, ორადგილიან კუპეში. ამ მიზეზებით მას ჩემმა მეუღლემ სასწაული დაარქვა. ვერციოს მეუღლემ ბატონმა მიხეილმა კი, როდესაც მოსკოვის სადგურზე შესამედ დაგვხვდა, მომმართა:

— ბატონო სტეგი, როგორც ჩანს, თქვენ თეატრში დაგიწყიათ მუშაობა, რა თანამდებობაზე ბრძანდებით მიწვეულონი?

მე დავიბნე, პასუხი ვერ მოვახერხე. ქალბატონმა ვერციომ გაიცინა და კითხვაზე კონკრეტული უპასუხა.

ექვსი დღის განმავლობაში ქქონდა უდიდესი ბედნიერება უბრწყინვალეს მსახიობთან მსაუბრა; ცხრა დღე ვადევნებდი თვალყურს, თუ როგორ ეძინათ ოფელას, ივლითს, გინატრეს, კლეოპატრასა და მედეას...

ერთხელ დილით შედარებით ადრე გაიღვიძა, გაიცინა და ომპინანდ გამოემხამაურა.



— სიზმარში ჩემი პატარა გოგო ენახე, სოფიკო ზღაპარს მივევებოდა.

ერთად გატარებულ დღეებს შორის ეს დღე ყველაზე უცნაური იყო: ვერცო მთელი დღის განმავლობაში თავის საკუთარ ოჯახში ტრიალებდა, დისასხლისობდა, დედობდა... საუბარში ოჯახის რამდენ წევრილმანს არ შეეხო, ვინ და რა არ მოიგონა! როდესაც ვუსმენდი, ზოგჯერ ეჭვი მეპარებოდა, ჩემს წინაშე დიდი ოჯახის დიდი დისასხლისი იყო, თუ დიდი თეატრის დიდი მსახიობი!

პირველივე დღიდან ჩვენს შორის საუბარმა თავისებური ფორმა მიიღო. მე ყოველთა კის ვუცდიდი, რით დაინტერესდებოდა, რა ვითხვას დასვამდა. განისახლებოდა თუ არა მსჯელობის არე, შემდგომ საუბარი უკვე გაცნობიერებული მიმდინარეობდა. როგორ მიხსობოდა გამეზიდა ჩვენი სიყვარის შეთქმულთა? ლოცვა ნინო გრიბოედოვის საფლავთან, როგორ მსურდა ცოდნოდა ჩვენი ახალგაზრდული სურვილები და სისულელები, მაგრამ ვერ ვაგებედე.

განსაკუთრებით საწერეთლოს ამბები აინტერესებდა. გულისყურით მომისმინა აკაკი წერეთლის მაისიული ოჯახის ისტორია, აკაკის დის ანას საქიმო მოღაწეობა, აკაკის მოურავის კოტე აბდუშელიშვილისა და მისი-ველილის ანიკოს როლის შესახებ პოეტის სახლ-მუზეუმის დაცვა და დაარსებაში. თავდაუზოგავად ვაკოცხლებდი საჩხერისა და სხვიტორის ძველისძველ ლეგენდებს.

ასევე დიდი ინტერესი შევიწმინე, როდესაც ჩემს მასწავლებელთა შორის ვპირველესად ვაჟა-ფშაველა დავასახელე. გავკვირებულნი დამაძკერდა, თვალბუზი ღრმად ჩაშხედა და მთხოვა, რომ ვრცლად მეამბნა, თუ რა კავშირში იყო ერთმანეთთან ვაჟას პოეზია და ჩემი „ხელობა“ — ბიოქიმია. სიცოცხლის არსზე თანამედროვე შეხედულებებმა ძლიერ გაიტაცა. მე მზად ვიყავი, რაც კი ვიცოდირ, ყველაფერი მომეფხორა, მაგრამ მერიდებოდა არ დამექანცა.

ამ მგზავრობისას ქალბატონმა ვერიკომ დიდი პატივი დამძო და ბევრი რამ მოამბო ქართული თეატრისა და საქართველოს თეატრალური მოღაწეების შესახებ.

თეატრის თემა ომმა და მისმა შედეგებმა შეუცალა. როდესაც ვაიკო, რომ მე ფრონტზე მძა დამეკარგა, მოკრძალებით მკითხა, თუ სად და როგორ შეხვდები გამაარვების დღეს.

— როდესაც ჩვენი ჯარი ბერლინს უტყვედა და ხალხის სულა და ზღერში გამაარვების ნაკვერცხალი უკვე ძლიერად ლეიოდა, მაშინ მე თეატრის ხშირი სტუმარი გახლდით. 1945 წლის 29 აპრილს, რუსთაველის თეატრში სპექტაკლ „ხევისბერი გოჩას“ დაწყების წინ,

სცენაზე აკაკი ხორავა გამოვიდა. აღელვებულმა, გახარებულმა და ამაღლებულმა გვეყურენო და მოვლოცოდა, რომ საბჭოთა ჯანმრთელობის რლიწში შევიდა! რა მოხდა თეატრში?! ამის გადმოცემა შეუძლებელია! ყველა ერთბაშად ახმბურდა, ერთადერთად გაისმა სიცილი და ტირილი, ყველა ერთმანეთს ეხვევიდა, კოცნიდა? ჰაერი რაღაც სულიერი დენით დაიტენა! მღერო ჩემი, რა ყოფილა ხალხის რისხვა და ხიხარული!

ვერიკო ომისაგან გამოწვეულ ღრმა სევდას ვერ ფარავდა. ნაღვლიანდ მსჯელობდა ომზე, მის შედეგებზე, დაუბუღლ შეილებზე, უბედურ დედებზე, საცობარების მომავალზე...

ერთ-ერთი საუბარისას ვერიკომ მოისურვა, რომ მეცნერის ტიპი ზოგადდ დამეხსათებინა, განსაკუთრებით ნიკო მუსხელიშვილის პიროვნება აინტერესებდა. როდესაც მომისმინა, დასაკვნა:

— როგორც ჩანს, საერთო თვისებების ძიება სისულელეა, ყველა საინტერესო პიროვნება თავისებურად განუმეორებელია.

ნეტავ, რა ჯრის ისეთი, რაც ქალბატონ ვერიკოს მეტ-ნაღვლად არ აინტერესებდეს! ვინ მოთვლის ყოველივე ომას, რაზუნდ ჩვენ მაშინ ვისაუბრებთ: ვმსჯელობდით, თუ როგორი იყო სურამი ადრე და რომელ წლამდე თთვლებოდა იგი თბილისელ წარჩინებულთა აგარაჯად, რა ხისაგან კეთდებოდა საეკე, რატომ არის გაზაფხულზე ნიშნა ასე სურნელოვანი, ვინ აკურთხა კალისტრატე ცინცვი ჩვენი ეკლესიის მამამთავარად. როგორი იყო ალექსანდრე იმედარევილი ოტელის როლში, რატომ ჰკავს შეილი მშობელს, რატომ ცოცხლობს ყვავი უფრო მეტხანს, ვიდრე ადამიანი, რით ხიზლავს მსმენელს მალავა ნუცეუბიძე, ვინ იყო ფეხბურთის გუნდის „დურუჯის“ კაპიტანი, რატომ არის თხილი ასე პატარა და სასამთრო ასე დიდი, რატომ უყვართ ასე უსახლგოდ სოსო გრიშაშვილი და, ვინ იცის, კიდევ რა?!

მე ძლიერ განვიცდიდი, რომ ვერცერთხერ ვერ ვაგებედე და უშანგი ჩხიძეებ ვერაფერი ვერ ვკითხე. მესამედ მგზავრობისას, როდესაც კვლავ ერთად მოვხვდით, ვირწმუნე, რომ ეს ჩემი ბედის უკანასკნელი დღიობი იყო და თავს უფრო ძლიერად დავუფულე. მომთმენლად ველოდი თეატრზე საუბარს. ვერიკომ თითქოს იგარბო ჩემი სულიერი დეცვა და მითხრა:

— მომეწყინა, თქვით რამე თეატრზეო. მინდობა პირდაპირ უშანგით დამეწყუო, მაგრამ მოკრძალებამ დამძლია და შორიდან მოვუარე. მოვიგონე ჰრემიერა „ლიანდავი გუგუნებს“. იმ დღეს მარჯანიშვილის თეატრში რეისისობმა და მსახიობმა ვანო ბარ-

ველმა წამიყვანა. მთავარ როლს სერგო ზაქარიამ ასრულებდა. შესვენებისას ვანოსთან კოწო ანდრონიკაშვილი მოვიდა. გამიხატა მსჯელობა სპექტაკლის აკვარვიანობაზე. ბარველმა თქვა:

— ჩემო კოწო, დაიხსოვე დღევანდელი დღე. ეს ზესტაფონელი ბიჭი მრავალ ცნობილ მსახიობს ამოიღებს ილიაში; დადგება დრო და ის იქნება ქართული თეატრის წამყვანი ძალაო. საუბარი აღბთ გაგრძელდებოდა, მაგრამ მათთან ოპერის ცნობილი მსახიობი ეკატერინე სოხაძე მოვიდა, აღტყებისაგან თავს ვერ იკავებდა:

— ნახეთ, სა სპექტაკლია?! ყველა კორტ მარჯანიშვილზე უნდა ვილოცოთო. სპექტაკლმა მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ყველა სერგო ზაქარიამეს აქებდა. ვერკომ მომისმინა, მაგრამ არაფერი თქვა. ვიფიქრე: ახლა კი დრო არის-მეთქი და ელგუჯა ლორთქიფანიძე მოვივიხონე. დამემოწმეთ: ნიჭიერი მსახიობი იყო და მისი დაღუპვით თეატრმა ზევრი რამ დაკარგაო.

— ქალბატონო ვერიკო, ჩვენ ახალგაზრდებს ელგუჯა კიდევ უფრო მეტად იმიტომ გვიყვარდა, რომ ზოგჯერ უშანგის მოგავიწყებდა, მას მბაძავდა. — არც ახლა ჩავება საუბარში. მეტი „შესავლის“ მოფიქრება აღარ შემეძლო და ვთხოვე:

— ქალბატონო ვერიკო, თუ შეიძლება რომ თქვენი შეხედულებები უშანგი ჩხეიძეზე ორიოდ სიტყვით გამიზიაროთ-მეთქი.

ვერიკომ ოდნავ სევდიანი ხმით გაიხსენა უშანგის თეატრალური ცხოვრების ზოგიერთი მომენტი, დროდადრო ჩერდებოდა, თითქოს უჭირსო მოგონება. ამ დროისათვის უშანგი სცენაზე უკვე აღარ გამოდიოდა. ვიგრძენი, რომ ხელი უნებლიედ მსახიობის ყველაზე სათუთ სულიერ ჭრილობას შევახ!

მივხვდი, მივხვდი და შევიგრძენი, თუ რა ღრმად და შუუცვლელად უყვარდა ვერიკოს უშანგი, უყვარდა უძლიერესი და უსპეტაკესი სულიერი სიყვარული!

...მიჰქროდა მატარებელი უკრაინის ველზე. მონოტონური მუსიკად ქველყოფო ზორბლების ხმაურით. შფოთავდა ძილში ქართული თეატრის მშვენიება. ან კი როგორ ეკონა ასე ამდენი აბზოქრებული სულის ადამიანთან ტანჯვის თანაზიარს...

მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზში დამთავლიერებლები გაცენენ ლილი კაპარავას ნამუშევართა პირველ პერსონალურ გამოფენას. ექსპოზიციაში წარმოდგენილი ასევე მეტი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი გვიჩვენებდა მხატვარი ქალის ოცლიან ნაყოფიერ შემოქმედებით ვგას.

ლილი კაპარავამ 1960 წელს დაასრულა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. იგი აპოლონ ქუთათელაძის მოწაფეა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილ სადიპლომო ტლოში „მხატვარი ქალის პორტრეტი“ უკეჩანს ავტორის უნარი გადმოსცეს ახალგაზრდა ხელოვანის რთული შემოქმედებითი სამყარო. მოდელის გარეგნული იერში ჩაქსოვილია ავტობიოგრაფიული ნიშნები და იგრძნობა ერთგვარი ამაღლებული განწყობილება. შექმნილია განზოგადებული სახე და ამით არის ეს ნამუშევარი საყურადღებო.

შემდგომშიც მხატვარი წარმატებით მუშაობს პორტრეტის რთულ ენარში და ყოველ ტლოში ამკლავნენს მოდელის ფსიქოლოგიური დახასიათების, სულიერ სიღრმეებში წვდომის სურვილს. ლილი კაპარავს, როგორც პორტრეტისტს, იზიდავს ნაცნობი, სულიერად ახლობელი ადამიანები, უპირატესად ხელოვანი. მათი პორტრეტები, შესრულების ისტატობის წყალობით, შემოქმედლოა განზოგადებულ სახეებდაც შეიძლება მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალურად კონკრეტული ნიშნებითაა დახასიათებული „ნანი ბრეგვაძე“, „ასამათ ქანდაურაშვილი“ და სხვ.).

ჩვეულებრივ, მხატვრის მოდლები მშვიდ, ფიქრიან პოზებშია აღტებული. ტლოები ტონალურ გადასვლოთა ინდივიდობით ხასიათდება, მხატვარი თავს აჩრდებს თვითმიზნურ დეკორატიულობას (ზოგაბრით ნატურმორტისაგან განსხვავებით). მხოლოდ ცალკეულ პორტრეტში მკვეთრი, ეფექტური შექჩრდილობა („ნათელი“), ან ფეროვანი გამის ერთგვარი პრობლითობით („ნანა“, „ციისფერი პორტრეტი“) ქმნის ემოციურ ატმოსფეროს. „ქართული ქალი“ გადაწყვეტილია მონოქრომულ ფერიდან გამაში, რაც ემოციურად ეხმიანება ახალგაზრდა ქალის სულიერ მდგომარეობას. ეს სერიოზული ნამუშევარი უღაველ შთამბეჭდავია.

ლილი კაპარავას პორტრეტებში შეიმჩნევა სახეითი ძიებანი — თავისუფალი მონასმიდან („მოქანდაკე ნახი ჯალაღონის პორტრეტი“) სრულიად გლუვ ფერიწარმულ („მამაკაცის პორტრეტი“), ფერთა ვალერული სმილიდრე („ასამათ ქანდაურაშვილის პორტრეტი“) ენაცვლება თითქმის მონოქრომულ გამას („ქართული ქალი“), მაგრამ მისი ნატურმორტები და პეიზაჟები ყურადღებას იქცევენ მიღგომათა სხვადასხვაობით. შეიძლება ითქვას, რომ ექსპოზიციაში წარმოდგენილ მრავალრიცხოვან ნამუშევარს „ერთიანებას“ სწორედ ეს მრავალსაქტეიანობა, სახეითი ენის ვარიაციულობა. მხატვარი ისწრაფვის ექსპერიმენტებისკენ, სურს სცადოს სულ სხვადასხვაგვარი, ხშირად

# პირველი პრესონალური

იოსებ ომაძე



ლ. კაპარავა

ავტოპორტრეტი

ურთიერთგამომორიკსავი მხატვრული ხერხები. ფერწერაში იჭრება მახვილი გრაფიკული ელემენტები, მუქი კონტურები, გრაფიკაში კი — წმიდა ფერწერული გამომსახველობითი საშუალებები.

ლილი კაპარავა მუშაობს ნაირგვარი მასალით (ზეთი, ტემპერა, აკვარელი, გუაში, პასტელი, ნახშირი). ვფიქრობთ, მხატვარი მეტ წარმატებას აღწევს იმ ნამუშევრებში, რომლებშიც ნაკლებად ეყრდნობა პირობითობას, ფორმათქმნადობას და გარემო ვადმოცემულია ნატურის ერთგულებით. მხატვრის სამყარო, უპირატესად, ლირიკულ-კამერულია, რაც ყველაზე უფრო გულსისხმობს უშუალობას. ასეთია აკვარელთა თუ ტემპერით შესრულებული ე. წ. „ტყის“ ნატურმორტები — „ნატურმორტი მაცვლის ტოტით“, „ნატურმორტი ჩიტის ბუდით“, „სოკოები“ და სხვ. ამ სურათებში ტყის პატარა კუნძულებია ასახული, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი, უმნიშვნელო, მაგრამ მხატვრის თვალს და გრძნობას გვიჩვენებს მის ჩუმ მონიბველობას. საამისოდ მხატვარს არ ჰირ-

დება არც განსაკუთრებული კომპოზიციური სველები და არც ფერთა ელვარება, განათებაც წყნარია, თანაბარი, გაფანტული — ყველაფერი ბუნებრივია და უშუალო, როგორც თვით ტყის ეს პატარა უპრეტენზიო კუთხეები. შესრულების სისადავით პოეტურობის და დამაჯერებლობის მიღწევა მხატვრის ოსტატობის მაჩვენებელია.

ნატურმორტი, საერთოდ, ძალზე იტაცებს მხატვარს, და ფართოდაც მიმართავს ექსპერიმენტებს. „ნატურმორტი იასამნისფერი სირჩით“, ნატურმორტი გოგრით“ — დიდი ზომის ტილოებია, შესრულებული ფართო, ტემპერამენტული მონასმებით; მუქ ფონზე განლაგებული საგნები მოდელირებულია ძლიერი შუქ-ჩრდილით. ასევე „ტრადიციულია“ ფორმით და ოსტატურადაც შესრულებული უფრო მცირე ზომის ტილოები: „ნატურმორტი გოგრით და წიწკით“, „კალთი სოკოებით“, „გოგრები და სოკოები“ და სხვა, რომლებშიც მხატვარი მრავალგვარ კომპოზიციურ გადაწყვეტას მიმართავს — ხან საგან-



ლ. კაპარავა

ტალინი

ლ. კაპარავა

ნანა



თა დიაგნოზალურ ან ფრონტალურ განლაგებას, ზოგჯერ — მუჭი ფონზე „სამკუთხედად“ ან წრიულად. უფრო იშვიათად ნატურმორტი წაგავს ავადმყოფი შტუდის — ხელოვნურია კომპოზიციური „რეკისურა“, ცალკეული სანგები კარგადაა დახატული, მაგრამ ჰარმონიულ მთლიანობას ვერ ჰქნის („ნატურმორტი ცისფერი ღარნაკით“). ნატურმორტში „ფუნჯები და საღებავები“ მხატვრის „იარაღები“ იზოლირებულად, ერთმანეთისაგან განცალკევებულად არსებობენ, სურათი სიბრტყობრივია. „ნატურმორტი ხურშით“ გამოირჩევა მკვება სიბრტყობრივ-დეკორაციული გადაწყვეტით. სრულიად განსხვავდება მათგან ტონალობითა და შესრულების ხასიათით „გლადიოლუსები“, „ქრიზანტემები“, „მშესუმშირა“, რომლებშიც დომინირებს სირბილე, სინატივე, მკვირვალუბრა...

მასალისა და შესრულების მანერათა მრავალფეროვნებით ხასიათდება ლილი კაპარავას პერიოდებიც: „სველი“ აკვარელის ხერხით შესრულებული პეიზაჟები უმეტესად ფერადოვანია, რბილი, ჰეროვანი („ურალის სოფელი“, „ბელუბი“, „სოფელი“, „სოფლის გარეუბანი“). მათგან განსხვავებით აკვარელები „ენის ქვაბები“ და „აწურის ციხე“ მუჭი მონოქრომულია — ამ ადგილთა ერთგვარი ასკეტურობა, სიმკაცრე, და სიმძლავრე შთამბეჭდავად არის გადმოცემული.

უმთავრესად ზეთითა და გუაში შესრულებულ პეიზაჟებში აშკარად მელანდრება სტილიური კონცეფციების, წახატული ფორმების წრავალსახეობა. თემატურად გამოიყოფა თბილისური, დაღესტნური და ბალტიისპირეთის ციკლები.

დაღესტანსაც და თბილისსაც მხატვარი აღიქვამს როგორც ერთგვარად თეატრალურ-ეგზოტიკურ სანახაობას; ამგვარი მიდგომით განპირობებულია ფერის გამძაფრება ზოგჯერ ლოკალური ფერებიც, მახვილი რაყურსი, სხვადასხვა ხარისხის დეფორმაცია, ჰერეკიანი ქალებისა და პორტრეტთა სტაფაჟური ფიგურების ჩართვა („მველი თბილისი“, „თბილისის ქუჩა“, „დაღესტანი“, დაღესტნის აული“ და სხვ.).

ღეროვანი გამოთ და განწყობით მათგან მკვეთრად განსხვავდება ბალტიისპირეთის ციკლის ნამუშევრები. მათში ძირითადია ფერთა თითქმის ნეიტრალური მოყავისფრო-რუხი გამა, მხოლოდ ალაგალაგ ზომიერად ჩართულია „თბილი“ აქცენტები (ყამრის, აგურის კედლები), კონტურები გარფიკულად მკვეთრია, მათი ზომიერი დეფორმაცია ამძაფრებს გამოშახველობას („ტალინი“, „მველი რიგა“). ზოგი ნამუშევარი კიდევ უფრო „მკაცრია თავშეკავებული კოლორიტულად (მქუჩა მველ რიგაში“, „ვილნიუსი“). ბალტიისპირეთის ციკლში მხატვრის ლტოლვა ექსპრესიულობისაკენ საინტერესო მხატვრულ შედეგს იძლევა.



# ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი საკლავიური გამოცემის ისტორიიდან

ლილა ნანიტაშვილი

1913 წლის 5 მაისს ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ განიცადა ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობით გამოწვეული ტკივილი, როდესაც მთაწმინდაზე, იაკობ ნიკოლაძის „მწუხარე საქართველოს“ საბურველი ჩამოაცალა აჯაი წერეთელმა.

ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ კიტა აბაშიძის, სამსონ ფირცხალავას, იაკობ ფანცხავას, არტურ ლისიტის, ალექსანდრე მირიანაშვილისა და სხვათა წერილებში ფართოდ აისახა ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა.

სამსონ ფირცხალავა წერილში „რას გვაივლებს“ წერდა:

„ილიას მოკვლა არ იყო ეკრძობოთი მოვლენა: ილიას უდროოდ დაკარგვა ისეთი ტრაგიკული დიადი ამბავია ერის ცხოვრებაში, რომელმაც ერთიან უნდა ამოიკრავოს მთელი სულიერობა ერისა, გონს მოიყვანოს შემცდარი აზროვნება, ღრმად ჩაახედოს გულის კუნძულებში, შეამოწმოს ერის გზანი და განზრახვანი, აღძრას ახალი მოქმედებისათვის.

ვინ მოკლა ილია? ბებრს დავებდით და ეხლაც ვეძებთ მკვლელს, მაგრამ საქმე ის იარაღია, რომელმაც შეასრულა საზოგადოებრივი მკვლელობა? ან განა მართო ის უნდა გვიანტერესებდეს, ვინ იყო ახლოდროინდელი ხელმძღვანელი ვერაგობისა და რას წარმოადგენს ის ზნეობრივი წრე, სადაც შესაძლებელია მავგავარი აზრების წარმოშობა? ჩვენ, სხვები, დანარჩენები რასღა ვაკეთებდით?#1

ასეთი იყო მოწინავე ქართველი ინტელიგენციის საზოგადოებრივი აზრი, რომელმაც ხელი შეუწყო ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემის დაბეჭდვას, რომელიც მიხილ ვედვეანიშვილის (1912-1922)<sup>2</sup> სახელთანაა დაკავშირებული.

ილიას ახლო მეგობარმა, ექიმმა და საზოგადო მოღვაწემ მიხილ ვედვეანიშვილმა 1912 წლის 11 თებერვლის თხოვნით მიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგებანს: „რადგანაც ჩვენი დიდებული მგოსნის და მწერლის ილია ჭავჭავაძის თხზულებების გამოცემის უფლება ეკუთვნის წერა-კითხვის საზოგადოებას, მივმართავ მთავარ გამგებანს და ეთხოვ დამართოს ამ თხზულებებ-

ბის გამოცემის უფლება, ვინაიდან თვით საზოგადოება სხვადასხვა პირობების გამო მოკლე ხანში ვერ შესძლებს ამ თხზულებების გამოცემას, განზრახვა მაქვს გამოვეცე ეს თხზულებანი შესაფერის სახით და ღირსებით. განსაკუთრებულ ქალღმრთელ, ილუსტრაციებით, შევკრიბო ყოველგვარი მასალა, რომელიც კი ასე თუ ისე ახასიათებს დიდებულ მამულიშვილს და მის თხზულებებს და მოღვაწეობას.

გამოცემა ფართოდ არის განზრახული და გარეგნობით, იმედოვნებ, არაფრით ჩამოუვარდება საუკეთესო ამგავრ გამოცემებს“<sup>3</sup>.

საზოგადოების გამგებმა, რომელსაც იმ პერიოდში გიორგი ყაზბეგი თავმჯდომარეობდა, მხურვალედ გამოეხმაურა მიხილ ვედვეანიშვილის ინიციატივას და ნება დართო სარედაქციო კომისიას, ესარგებლა ყველა იმ მასალით, რომელიც საზოგადოების მუხურეში და ბიბლიოთეკაში იყო დაცული.


მიხილ ვედვეანიშვილს თავდაპირველად განზრახული ჰქონდა ილია ჭავჭავაძის თხზულებების ორ ტომად გამოცემა, მაგრამ კომისიის სხდომაზე გადაწყდა ჩერ პირველი ტომი გამოეცათ, რომელშიც დაიბეჭდებოდა მხატვრული ნაწარმოებები. კომისიის ვარაუდით ერთი ტომის გამოცემას ნაკლები შრომა დასჭირდებოდა, ელირებოდა რვა მანეთი და ხელისმომწერებს შესაძლებლობა ექნებოდათ, სამ ნაწილად დაეფარათ ეს თანხა.

მიხილ ვედვეანიშვილმა შეადგინა სარედაქციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: კიტა აბაშიძე, იოსებ ვედვეანიშვილი (კომისიის მდივანი), ივანე გამარათელი, ივანე ზურაბიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, იაკობ ფანცხავა, ივანე ჯავახიშვილი, ნიკოლოზ ჩიგოგიძე, გრიგოლ ყიფშიძე.

კომისიის მომდევნო სხდომებზე სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად მოწვეულთა შორის იყვნენ: იაკობ ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე, ილია აღმაძე, ესტატე ავალიშვილი, ალექსანდრე ჯაბადარი, პეტრე მირიანაშვილი, კოტე მესხი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ქართველიშვილი, გრიგოლ დიასამიძე და სხვ.

1912 წლის პერიოდულ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა განცხადებები წიგნის გამოცემის თაობაზე.

4. „საბჭოთა ხელოვნება“, № 6, 1981.



მიხეილ გვედევანიშვილის ინიციატივას საქართველოს ყოველ კუთხეში გამოუჩნდნენ ხელისშემწყობნი. რომელიაგან ბევრმა იტყვიდა წიგნზე ხელისმორწრას ავენტობა: ქუთაისში — იასონ ბაქრაძემ და იოსებ ოცხელმა, ფოთში — იონა მუუნარაგიამ, სიღნაღში — ექიმმა ნიკოლოზ ჩანდოგმა, ბაკოში — ილია აღლაძემ, ერევანში — ელენე ვირსალაძემ, ოზურგეთში — ექიმმა დიმიტრი ერისთავმა, ბათუმში — სოსიკო მდივანმა, ხონში — ეფროსინე ქვიციანიძემ, სოხუმში — დიმიტრი თავდგირიძემ და სხვ.

ხელისმომწერთათვის გამოშვებულ პლაკატში მიხეილ გვედევანიშვილი წერდა:

„ყველა ქართველ ემსის, რა ადგილი უჭირავს დიდებულ და დაუვიწყარ ილიას ჩვენს ეროვნულ კულტურის განვითარებაში, არ მოიპოვება არც ერთი დარგი ამ კულტურისა, არ არსებობს თითქმის არც ერთი საზოგადოებრივი დაწესებულება, სადაც არ ემჩნეოდეს ილიას გავლენა, არ გამობრწყინავდეს მისი გენია, მისი კუროთხელი ნიჭი. ვით ზღაპრული ბუმბერაზი, იგი სწორედ რომ მეფობს ორმოცდაათის წლის განმავლობაში ჩვენს ეროვნულ-კულტურულ შეგნება-განვითარებაში. შეფლობს ჩვენი ინტელიგენციის აზროვნებაში. რა მიმართულებისაც უნდა იყოს მომავალი ისტორიისი, რომელიც კი შეეხება XIX საუკ. მეორე ნახევრის ისტორიას, განვიფრდება, როდესაც თვალწინ წარმოუდგება მთელი თავისი ნიჭით, გავლენით და მნიშვნელობით ის, ვინც შექმნა ჩვენს ისტორიაში მთელი ხანა. ერის ცხოვრებაში იბადებიან ისეთი გმირები, რომლის სახელის ხსენებაზე ყველას, ვისაც კი სამშობლო და მისი კულტურული აყვავება რაიმედ მიაჩნია, გული უძგერს და ქედს იხრის.

გვიასლოვდება მგოსნის დაბადების დღიდან 75 წელი შესრულება და მისი ძეგლის კურთხევა. საჭიროა ყველა მოსვენს მისი უკვდავი ნაწარმოების ღირსეული შეფასება მათი შესაფერი გამოცემა“.

წიგნზე ხელისმორწრამ ცხადყო ქართველი ხალხის დანტერესება ამ ეროვნულ საქმით.

მის. გვედევანიშვილმა სპეციალური ანგარიში გახსნა ბანკში „ქართველი ერის საკუთრება“.

გამოცემისათვის შეგროვდა ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები, მემორიალური და საარქივო მასალა. ფოტოსურათები; ვადისინჯა ზანკის, სასამართლოს, დუშეთის მორჩილებელი მოსამართლის, დამამტული და ქართველთა შორის წყარაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არქივები.

თუ როგორი ერთსლოვანებით მონაწილეობდა ქართველი ინტელიგენცია წიგნის გამოცემის საქმეში, ნათლად ჩანს ერთ-ერთი ფაქტიდანაც:

ვახ. აივერიისა 1904 წლის ნოემბერში დაიბეჭდა ვინმე ია ჭუაბის ხელმოწერით ლექსები: „ნარიყალას“, „სატრლოს“, „ძველ ციხეს“, „მუსიკოსს“, ეს ლექსები მოიწონა მკითხველმა და ბევრს ევიცო აღუძრა, ხომ არ ეკუთვნოდა ისინი ილია ჭავჭავაძის კალამს.

დღურე მეგრულმა, სამსონ ფირცხალავამ და ნიკოლოზ ლომოურმა სარუდაქციო კომისიას მიმართეს დაეხუსტებინათ ლექსების ავტორის ვინაობა.

„სახალხო ვახუთში“ მის. გვედევანიშვილის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებას მომდევნო ნომერშივე გამოეხმაურნენ რამან ბებიაშვილი და დავით ნახუცრიშვილი, რომელმაც პირადად იცნობდნენ ლექსების ავტორს და უარყვეს ეს ვარაუდი.

მიხეილ გვედევანიშვილმა თხოვნით მიმართა პეტერბურგში ივანე ჯავახიშვილს, მონაწილეობა მიეღო სარუდაქციო კომისიის მუშაობაში. ივანე ჯავახიშვილმა შეკრიბა პეტერბურგის უნივერსიტეტში არსებული ცნობები ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის შესახებ, მათ შორის ილია ჭავჭავაძის თხოვნა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხვაზე, სიღარბის მოწმობა და სწავლის ფულისაგან განთავისუფლების თხოვნა, ავადმყოფობის მოწმობა, საგამოცოდო ნიშნები, პეტერბურგის უნივერსიტეტის მოწმობა და სხვ.

აღნიშნული მასალა ივანე ჯავახიშვილმა ერთ-ერთი სტომბზე წარუდგინა კომისიას. მანვე იშუადადგმოა წიგნის გამოცემელ მიხეილ გვედევანიშვილსა და პეტერბურგში არსებულ რ. გოლიკე-ა. ვილბორგის ფირმას შორის, რომელმაც წიგნისათვის საჭირო ილუსტრაციები დაიბეჭდა. დაბოლოს, ივანე ჯავახიშვილი საჭირო რჩევა-დარიგებებით თუ ისტორიული წყაროებით კონსულტაციას უწედა მხატვარ პენრის პრინცესის, რომელიც იაკობ ნიკოლაის წინადადებით წიგნის მხატვრული გაფორმებისათვის მიიწვიეს.

ილიას ბიოგრაფიის შედგენა დაეუვა „ივერიის“ ყოფილ თანამშრომელს, გიორგი ყიფშიძეს. შემოქმედების კრიტიკული განხილვა — ერთა აბაშიძესა და გერონტი ქიქოძეს, ავტოგრაფების შედარება და ვარიანტული სხვაობის დადგენა — კომისიის მდივანს იოსებ გვედევანიშვილს.

გერონტი ქიქოძე, რომელიც მაშინ ბერში იმყოფებოდა, კრძალვით მოეკიდა გამოცემლის წინადადებას. „ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა კრიტიკულად გარჩევა, ისე როგორც ეს თქვენს საგანგებო გამოცემას შეეფერება მეტისმეტად ძნელად შესასრულებელს საქმედ მიმაჩნია. პანეგირიკის დაწერა არ ძალმიძის და არც თქვენ მომთხოვთ, რასაკვირველია. სერიოზულს კრიტიკას კი მოვუძრებდა და აწონ-დაწონავ სკიორს.“

ამას გარდა, არ ვიცი, როგორ უნდა განვიხილო ილიას ნაწარმოებები: მთელი მისი სამწერლო მოღვაწეობის განხილვა ორს ფურცელზე შეუძლებელია, ერთი რომელიმე ნაწარმოების ან ერთი რომელიმე მხარის (მაგ. ტრაგიკული, სატირული და სხვ. ელემენტის) გარჩევა არ შეეძლება, სანამ არ შეკოდინდება, როგორ არის განაწილებული მთელი ეს შრომა სხვებს შორის, ამიტომ დიდად დამავალბები, თუ სხვა კრიტიკოსების განზრახვასაც შემატყობინებთ. ყოველს შემთხვევაში, მე არ დავიშურებ შრომას, რომ ცოტათი მაინც დაგეხმაროთ იმ დიდადნიშნულმოვანს კულტურულს საქმეში, რომელიც თქვენ ვიცისრინათ.“

გერონტი ქიქოძის კრიტიკულ წერილზე „ილია ჭავჭავაძე მგოსანი და მოაზროვნე“ რეცენზია ეკუთვნის არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც, ჩამომე ავადმყოფობის მიუხედავად, აქტიურად მონაწილეობდა სარედაქციო კომისიის მუშაობაში.

„დიდი სამსახური გაუწია რჩევითა და დარიგებით ამ გამოცემას ჩვენმა ცნობილმა პუბლიცისტმა, აწ განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ. მანვე იყისრა კომისიის დაავალბებით ილიას სრული ბიოგრაფიის შედგენა, მაგრამ უღმობელმა სიკვდილმა არ დააცადა დაემშვენებინა თავისი ნიჭიერი კალმის ნაწარმოებთი ეს პირველი ტომი.“ — წერდა მიხეილ გედევანიშვილი წინასიტყვაობაში.

არჩილ ჯორჯაძესა და ივანე გომართელს დავეალბათ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური ნაწერების განხილვა, რომელიც მეორე ტომისათვის იყო გათვალისწინებული.

1912 წლის 9 აგვისტოთი დათარიღებული წერილით არჩილ ჯორჯაძე იოსებ გედევანიშვილს მიმართავდა:

„ძვირფასო სოსო! გუშინ გავგზავნე ჩემი ხელნაწერი ბ. მიხეილის სახელზე, თუ ვანი ჭავჭავაძის დაცვება კომისიის სხდომას და იმის თანდასწრებით წაიკითხავთ, ძალიან კარგი იქნება. წერილში ისტორიული საკითხებიც არის აღძრული (ორი უკანასკნელი თავი) და სპეციალისტის აზრს ჩემთვის მნიშვნელობა ექნება, ამის თაობაზე ვსწერ წერილს ვანოსაც, ხოვლეში, მაგრამ არ ვიცი, იქ ვი არის ამჟამად, თუ არა.“

ჩემი წერილი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გაშალაშინებული, ტყილისში ჩამოსვლისთანავე კიდევ გადავიკითხავ. ახლაც არ მინდოდა ჯერ გამოგზავნა, მაგრამ ვანოს გულისათვის დავეშურე. ყოველ შემთხვევაში წერილი იმგვარ მდგომარეობაშია, რომ მისი წაკითხვა შესაძლებელია, თუმცა ზოგიერთი შესწორება კიდევ ესაჭიროება.“<sup>8</sup>

არჩილ ჯორჯაძე, გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე, დემიტრი ყიფიანის მონოგრაფიაზე მუშაობისას ნინო ყიფიანს შესწიოდა: „ვიცი, დიდი ხნის სიცოცხლე

აღარა მაქვს, ოღონდ ერთი შრომის დამთავრება დამკვლავს და მერე არა უშავს რა... სწავლას ვაპირებ რაც შემიძლია გავაკეთო და სიკვდილსა არავის არ უნდა და ეშინოდესო“<sup>10</sup>.

არჩილ ჯორჯაძის განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. დაუმთავრებელი წერილი „ძირითადი მოტევა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტისა“ კრიტიკოსის პირად ფიქნდომი იხანება<sup>11</sup>.

არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების წლისთავზე, 1914 წელს, მისსავე თხზულებათა IV ტომში დაიბეჭდა „მცირე შენიშვნა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის გამო“, რომელშიც ავტორი ამ თაოსნობას სამართლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საქმედ მიჩნევს და ბოლოს დასძენს: „ილია ჭავჭავაძის გაცნობა, შესწავლა და დაფასება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც ამ დიდებულმოვანი აღმამის საზოგადოების ყველა ნიშნულს დავეკვირდებით და როდესაც გვექნება სრული კრებული მისი გონებრივი ნაწარმოებისა.“

შკარაა, მიხეილ გედევანიშვილი სწორედ ამ მოსახრებით ხელმძღვანელობდა, როდესაც იწყებდა ამ საშვილოშვილო საქმეს. გაითვალისწინა რა სიძნელე და სირთულე ამ ხასიათის გამოცემისა, მან მოიწვია მკვლანე პირნი, მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი, შეადგინა სარედაქციო კომისია და ყოველი საკითხი, სალიტერატურო თუ ტექნიკური, რომელიც გამოცემას ეხებოდა, ამ კომისიის მონაწილეობით, რჩევა-დარიგებით და ხელმძღვანელობით სწყდებოდა. ამგვარად, ჩვენს წინაშე

მიხეილ გედევანიშვილი





თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა ჯგუფი. სტეფან (მარცხნიდან მარჯვნივ): ე. ლანსტრე, ჰ. პრინცესკი, გ. ჩუბინაშვილი, ი. ნიკოლაძე, ი. შარლემანი, ნ. ავლაძე, დგანან (პირველი ორი უცნობია): ა. წერეთელი, შ. მაჭავარიანი, შ. თაყაძე, ნ. სვეტიცხოვე, თათიკოსიანი, მ. შებუცხოვე, გ. მაჭავარიანი, ოლინკევიჩი.

არაჩვეულებრივი გამოცემლობა. და რამდენადაც ვაკვირდები ამ გამოცემლობის მუშაობას, ვრწმუნდები, რომ ამ მოკლე მომავალში ქართველ მკითხველ საზოგადოებას ექნება არა მარტო ამგვარი წიგნი, სადაც მოფიქრებულად, ხელთაწერებთან შეფარდებით ტექსტის სრული შესწავლით იქნება მოთავსებული უკვე ცნობილი ნაწარმოებები, არამედ ამ ნაწარმოებთა ახლად აღმოჩენილი ვარიანტებიც და აგრეთვე ახალი, ჯერ კიდევ დაუბეჭდვადი ნაწერები, რომელთა არსებობა აღმოჩენილი იყო შ. გედევანიშვილის გამოცემლობის მეცადინეთობით.<sup>12</sup>

განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იყო ვრ. ყიფშიძის მიერ შედგენილი ილიას ბიოგრაფია, რომელიც ერთხმად დაიწუნა სარედაქციო კომისიამ.

ბიოგრაფიის ხელახლა დაწერა და მეორე ტომში მოთავსება ხელისმომწერთა წინაშე უხერხულად მიიჩნეოდა, კომისიის სახელით გიორგი ლახიშვილს ეთხოვა ბიოგრაფიის ვასწორება, გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ ბიოგრაფია მიიწი დაურთეს პირველ ტომს.

ალბათ, ამიტომაც ამბობდა გამოცემელი წინასიტყვაობაში: „ეს არ არის ილიას სრული, სამეცნიერო ბიოგრაფია — ასეთი დაიწერება შემდგომი, როცა შესწავლილი იქნება ყველა მისი ნაწარმოები, ყველა ის მასალა, რომელიც მის ცხოვრებას შეეხება; ეს კი მხოლოდ პირველი ცდა არის დიდებული მოღვაწის ცხოვრების აღწერისა“<sup>13</sup>.

იგივე ჯავახიშვილი კი არჩილ ჭორჯაძის ვარდაცვალების შემდეგ, 1913 წლის 3 აპრილს, მიხ. გედევანიშვილს პეტერბურგიდან სწერდა:

„გ. ყიფშიძის დაწერილის ბიოგრაფიის შესახებ მე მამინაც მოგახსენეთ, რომ ილიას დიდებულ ღვაწლს არ შეეფერება და მის სულიერს განვითარებას არ გვიესურათებს, თუ ესეც იმნიარადე დარჩა, რასაკვირველია, მეც სუსტად ჩათვლილი.“

საუბედროდ ის, ვისაც ყველაზე კარგად შეეძლო ილიას ბიოგრაფიის დაწერა, არჩილ ჭორჯაძე, სამარგში დღეს ესეც ჩენი ბედი!<sup>14</sup>

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ილიას ბიოგრაფიასთან დაკავშირებით მიხ. გედევანიშვილის შენიშვნები, რომლებიც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ავტორის დებუდიკას, დიდი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ღრმა ცოდნას.

როგორც აღვნიშნეთ, წიგნი მხატვრულად ვაფთხობა ჰენრიხ პრინცესკიმ.<sup>15</sup> მართალია, ივანე ჯავახიშვილს ცალკეულ ილუსტრაციებზე გარკვეული შენიშვნები ჰქონდა, მაგრამ საერთოდ დიდად აფასებდა მხატვრის დამსახურებას გამოცემის საქმეში. აი, რას სწერდა დიდი მეცნიერი მიხეილ გედევანიშვილს:

„...მეცნიერი სურათები და მოხატული ვარ, რომ პრინცესკი ასე კარგად და პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას — დიდი მადლობის ღრსია იგი. ჰ. პრინცესკის ჩემ მაგიერ გთხოვთ საღამო გადასცეთ და უამბოთ, რომ მე პირადად ძალიან კმაყოფილი ვარ მისი ნახატებით“<sup>16</sup>.

დიდი მეცნიერის ამ მაღალ შეფასებას ქეშმარიტად იმსახურებდა პოლინელი მხატვარი.

წიგნში დაბეჭდა ცალკეული ლექსების, „არჩილის“, „ჟაკო ყაჩაღის“, „მედი მიმბირი თავდადებულის“, „განდგეგის“, „კაკია-ადამანის“, „ოთარანთ ქვივის“, „გლხნთა განთავისუფლების პირველი დროების სცენების“ ილუსტრაციები.

აღნიშნული ილუსტრაციების ორიგინალები 1913 წელს სარედაქციო კომისიამ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა და ამჟამად საკურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმშია დაცული.

მოწინავე ქართველი საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა წიგნის გამოცემას, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ 1914 წელს ეურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაბეჭდილ ვ. კობეტაშვილის რეცენზიას „ილია ჭავჭავაძე — მიხ. გედევანიშვილის გამოცემა“, რომელიც ძირითადად წიგნის მხატვრულ გაფორმებას ეხება. რეცენზენტს, კერძოდ, უკმაყოფილოა წიგნში მოთავსებული ილუსტრაციებით, თუმცა იქვე დასძენს, „ზ-ნ



პრინციპში დახატა ისე, როგორც უთხარეს და რაც უთხარეს, და არა ისე, როგორც მხატვარს საზოგადოლო მხატვარი — ხელვანია<sup>17</sup>.

ბევრი ლექსი წიგნში პირველად დაიბეჭდა. მათ შორის: „მოთარეს“, „სლოთის რევიკა“, „პაულოსის პარკი“, „ლოცვა“, „დედ თუნდ მოვევდე“, „რისთვისაც მიყვარხარ“, „მითხარ, მიყვარხარ“, „ტუტოთა მიკონვა“, „მშის სიკვილივე“ და სხვ.

სარედაქციო კომისიამ ვაიოცემზე მუშაობისას ძირითად ამოცანად დაისახა ილიასული სტილის დაცვა და უხეში შეცდომების გასწორება. გამოცემას საფუძვლად დაედო ეგ. იოსელიანის მიერ დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის ლექსთა კრებული, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში დაცული ილიას ავტოგრაფები, ქართველთა ახანაგობის მიერ დაბეჭდილი ილიას ხაწერების I, II და III ტომები, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ცალკეული ნაწარმოებები.

1907 წლის 14 ოქტომბერს ვაზ. „ისარი“ ახალ ამბებში წერდა: წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების მდივანმა ს. ფირცხალავამ უკვე დაამთვრა სისი მდგენელის განაშენებელი ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკისა. ხელნაწერებს შორის აღმოიხილია ახალგაზრდობის დროს დაწერილი მოთხრობა „კაკოს“ სახელით. მოთხრობა შეიცავს შინაარსს მოთხრობების „კაცია ადამიანის“, „გლახის ხანაშობის“ და პოემის „კაკო ყაჩაღისას“, როგორც ეტყობა, ავტორს წინათ ერთის მოთხრობის დაწერა ნდობებია, მაგრამ შემდეგ დაუნაწილებია და სამი გამოუყვანია.<sup>18</sup>

როგორც წერილიდანაც ჩანს, ს. ფირცხალავა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანად მუშაობდა და საზოგადოებისავე დავალებით შეუდგა ილიას ბიბლიოთეკისა და ხელნაწერების აღწესებას. სარედაქციო კომისიის მუშაობის პერიოდში ს. ფირცხალავა ტერში იყო გადასახლებული და იქიდან სწერდა მიხ. ვედვეანიშვილს:

„მივიკრის, ილიას ხელნაწერები ვერ უპოვებიათ, წ. კ. საზოგადოებამი, — საზოგადოებამია აუცილებელი ეგ ხელნაწერები. საგანგებოდ ვუვლიდი. იმ უთუში ვინახავდი, სადაც ფულებს არც ვისმესთვის მიიხივებია. დაბეჭდებით ვიცი, რომ როცა დამიჭირეს, მანდ დეტრევე აღბათ ვერ მიაგნეს. კარგად მოსძებნობ და უეჭველად ნახავენ. სამი ყლიანი რეკულია. ერთი დიდი ლექსებია, მეორე „კაკო“, მესამე „დედა და შვილი“ (თუ „აჩრდილი“).

მე რომ „ფასკუნჯში“<sup>19</sup> „კაკო“ დაბეჭდვ, პირველი თავი გამოვიტყუე, ხელნაწერში არის ეს თავი. ამ ხელნაწერებში იმ ვარიანტებს დედანი („დედა და შვილის“), რომელიც მე „ფასკუნჯში“ გამოვიყვეყნე.

...ვესურებ სრულს წარმატებას თქვენს გამოცემას.<sup>20</sup>

აღნიშნული ავტოგრაფები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სარედაქციო კომისიას გადასცა.

1914 წელს მკითხველმა მიიღო ილია ჭავჭავაძის

მხატვრული ნაწარმოებთა პირველი აკადემიური გამოცემა.<sup>21</sup>

წიგნის ერთი ეგზემპლარი მიხეილ ვედვეანიშვილმა ოლივერ უორდროპს გაუგზავნა შემდეგი წარწერით: „ყოველი ქართველი სისათვის დაუცფარ ქ-ნ მარჯორი უორდროპის სხვისთანა ერთად ამ წიგნს პატივისცემით უძღვნის გამოცემული ბ-ნ ოლივერ უორდროპს — დიდებულ ინგლისის ღირსეულს მეზღს და პატარა საქართველოს გულთაღს მეგობარს“.<sup>22</sup>

მიხეილ ვედვეანიშვილის საგამომცემლო არქივში თავმოყრილი მასალა ძვირფას წყაროს წარმოადგენდა და წარმოადგენს მეცლევართათვის.<sup>23</sup>

გიორგი ლეონიძე გაზეთ „ბახტრიონის“ რედაქტორობის პერიოდში, 1922 წლის 2 ნოემბერს მიხეილ ვედვეანიშვილს სწერდა:

„ბ-ნ მიხეილ! ვიგზავნით ჩვენს გაზეთის უკანასკნელ №-ს, სადაც მოთავსებულია თქვენგან გადმოწერილი ილიას წერილები. ვაგზილებუბა იქნება შემდეგ ნომერში.

პირადად მე ვერ მოვიცალე, რომ გადმომეწერა ის ორი წერილიც, რომელიც დამირჩა ვაღმოსაწერი, ამიტომ ვთხოვთ, მათხოვით თქვენი კობიო, რვეული, საიდნავე გადმოვიწერ, რვეულს ზეგ დაგიბრუნებთ. იმედი მაქვს თხოვნას შემისრულებთ“.

ხანგრძლივი შეუღლის მიუხედავად, 1922 წლის 30 ოქტომბერს მიხეილ ვედვეანიშვილმა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიმართა განცხადებით ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მეორე ტომის გამოცემის შესახებ:

„1913 წლის დამლევს მე გამოვეც ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომი. ამ გამოცემას გადარჩა პატარა თანხა (2562 მან.), რომელიც ირანებოდა ტრაპიზის სამეურნეო კრედიტის საზოგადოების ბანკში მიმდინარე ანგარიშით ცალკე წიგნაკი № 19, ვით „ქართველ ერის საკუთრება“ და რომლის დანიშნულება იყო — მოხმარების გამოცემის გაგრძელებას, ამჟამად ქართველი ერის შეგნებამ შესამჩნევად იმატა, გამოცემლობის საქმეში შექმნილია გამოცდილება, გზა გაიკვლილა და ნდობა საესებოთ მოპოვებულია, — ეს მაიმედებს, რომ შევძლებ მიუხედავად ეკონომიური კრიზისისა და გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობისა, [1924 წელს] მიუძღვნა ქართველს ერს დიდი ილია თხზულებათა საგანგებო გამოცემა იმ ზომით და სახით, რა ზომითაც და სახითაც გამოიკა პირველი ტომი.

გაუწყებთ რა ამას, ვთხოვთ: დამბრუნდეს ზემოხსენებული თანხა, გადარჩენილი პირველი გამოცემის დაახლოებით სარგებლოთ 3000 ოქრ. მან.

საზღვარგარეთ წასვლისათვის მასალის შესაქენათ, კლიშეების და სურათების დასამზადებლოთ მომეცე, ყოველნარი შეღავათი (საქონლის უზაყოლ შემოტანა, უფასო პასპორტი და სხვ.)

გამოწერის იმთავითვე წინასწარ ხარჯების დასაფარავათ ბიბლიოთეკა-სკოლებისათვის არანაკლებ 400 ცალისა ორას-ორასი თითო ტომისა.

ყოველნარი ოფიციალური მიწერა-მოწერა განთავსებული იყოს საღებბო გადასახდისაგან.<sup>25</sup>

ეს სურვილი სურვილადვე დარჩა.



მავე წელს მიხილ გიდევანიშვილი გარდაიცვალა. მიხილ გიდევანიშვილისა და სარედაქციო კომისიის მიერ გამოცემისათვის გულმოდგინედ მიათხოველი მასალა და გამოცემლობის არქივი გ. ლეონიძის თხოვნით მიხ. გიდევანიშვილის შვილმა აკად. დიმიტრა გიდევანიშვილმა ლიტერატურულ მუშაუებს გადასცა.

იგანვე გამართული, სარედაქციო კომისიის ერთ-ერთი წევრი, ჯერ კიდევ წიგნის გამოსვლამდე წერდა: „როდესაც ვაივო, ექიმი მიხილ გიდევანიშვილი ილიას თხოვლებათა გამოცემას აპირებდა, არ მწამდა, თუ ეს განსრინება რიგიანად დაბოლოვდებოდა.“

სად იქიმი, სად ილიას თხოვლებათა საუცხოო გამოცემა-მეთქი, ვფიქრობდი.

სინამდვილემ ყოველსფერის ვადაპარბა და ჩეძი ექვი სრულად ავაქარწყა, გაჟანტა.

ექიმმა მიხილ გიდევანიშვილმა სწორედ სასწაული მოახდინა.

ჰან დამიტყვა, რომ შრომისა და სიყვარულს ყოველსფერი შეუძლია.“<sup>26</sup>

ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ადსტურებებს მიხილ გიდევანიშვილის უნაგარო ღვაწლს, რომლის თავდადებულმა შრომამ შთამომავლობას დიდებული საჩუქარი — ილია ჭავჭავაძის თხოვლებათა შესანიშნავი გამოცემა უნაღერბა, ვაიკოვლეს ისტორია კი აღინიშნა როგორც თვალსაჩინო მოვლენა ჩვენი საუკუნის ოცინი წლების საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში.

**შენიშვნები:**

- 1 „სახალხო გაზეთი“, 1913, 5. V, № 887.
- 2 მიხ. გიდევანიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობის, აგრეთვე ამ გამოცემის შესახებ იხ. „საღატარტურო გაზეთი“, 1933, № 9, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935, ა. წულუკიძე, „Врачи-гигиенисты XIX столетия“, 1948, „სახალხოზნაობა კომუნისტური“, 1957, № 128, „ლიტერატურული გაზეთი“, 1958, № 9, გ. ხვედელიძე, „მიხილ გიდევანიშვილი“ (მონოგრაფია), 1960, მ. სააკაძე, ა. გელაშვილი, დ. კვიციანი, დ. მჭედია, „საქართველოს მედიცინის ისტორია“, 1960, ტ. IV, წ. 1, გვ. 159—161, „ცისკარი“, 1969, № 7, აღმ. „ცისკარტელა“, 1971, № 6-7, გახ. „ლიტერატურული საქართველო“, 1980, № 17, „სამბოთა ხელმოწერა“, 1980, № 8, № 10.
- 3 ცისკ., ფონ. № 481, ან. № 1, საქ. № 1302, გვ. 1.
- 4 გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხ. № 20341.
- 5 „სახალხო გაზეთი“, 1912, 20. VI, № 629.
- 6 გ. ლეონიძემ იმანე ჯავახიშვილის მიერ შეგროვილი ილიას ბიოგრაფიის ანაგეზი მასალა, აგრეთვე კოხტა აფხაზის, ნიკოლოზ ნათიძის, ვასილ კარბელაშვილისა და სხვათა მოგონებები 1935 წელს გამოაქვეყნა „ლიტერატურულ მუშაურობაში“.
- 7 ვ. უფიშინის სახელმწიფო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ იხ. სოლო. კაპიშვილი, „სახალხო განათლების მოღვაწენი“, 1954, გვ. 52. სამუხტარლო, აქვე შევლომბათა მითითებული მთაწმინდა ი. ჭავჭავაძის ძეგლის აგების თარიღი, რაჲს განმარტებულია მიხილ გიდევანიშვილის დახვებების 100 წლის თავიანდმი მიძღვნილ პლაკატში და ჩვენი წერილებში ფერხ. „ცისკარი“ (1969, № 7), აღმ. „ცისკარტელა“ (1971, № 6-7). იაკობ ნიკოლაძის ძეგლი „მუხტარ საქართველო“ მთაწმინდაზე გახსნა 1913 წლის 5 მაისს იხ. „სახალხო გაზეთი“, 1913, 5. V, № 887, „თბიშ“, 1913, 6. V, № 22.
- 8 გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხ. № 8780, საქ. № 3, გვ. 114.

- 9 ა. ჭოჩყაძის მონოგრაფია „დომიტრი უფიანი“ დაბეჭდულია ჭოჩყაძის გაზეთში“ 1913 წ. № 794—813. კრიტიკოს მონოგრაფიისათვის დ. უფიანის პირად არქივში დასტოვილია „სახალხო გაზეთი“, 1913, 2. V, № 794-813. უფიანის რამდამ, ცნობილი მსახიობის კოტე უფიანის მუხტარ, მთარგმნელა ნინო ტატარაშვილი-უფიანისსამ.
- 10 ხ. უფიანი, „არჩილ ჭოჩყაძის გარდაცვალების გამო“, გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხ. № 2319. მიგანებაში ივლისსებამა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური ნაწერების განხილვა.
- 11 კ. კეკელიძის სახ. ხელმწიფოთა ინსტიტუტი, ა. ჭოჩყაძის პირადი ფონდი, საქ. № 10.
- 12 თხოვლებანი არჩილ ჭოჩყაძისა, წიგნი მეხუთე, 1914, გვ. 179-281.  
უნდა აღინიშნოს, რომ საჩუქარტულო კომისიის მასალებმა აწვდენდნ აგრტოვ ა. ერისთავი, ვ. კარბელაშვილი, დ. ნახტკი-შვილი, ი. გიდევანიშვილმა კომისიის დაავლებით ყვარულში ჩაწერა ილიას თანამოგროვეთა მოგონებები, იხ. ი. გიდევანიშვილის წერილი „უცხოთხუნი მთაწმინდა“, „სახალხო გაზეთი“, 1912, 24. VII, № 657.
- 13 ილია ჭავჭავაძის თხოვლებანი, ტ. 1, 1914, წინასიტყვაობა.
- 14 გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხ. № 8580, საქ. № 4, გვ. 59.
- 15 პეტრის პრინცი (1869-1937), წარმომოხით პოლინელი, ა. კლ-გინთან ერთად შექმნა სათავადნაწარმო-სააღვლებლო მფაქტო ობი-კის (ახლანდელი რესპუბლიკური ბიბლიოთეკა) პროექტი. იგი თბილისის სამხტარტო აკადემიის პროფესორი, მისი ერთ-ერთი დაამარტებელი და პირველი პედაგოგთავანი. იხ. ლ. ნანიტაშვილი, „პეტრის პრინცი“ — ქართველი კულტურის ამფლარი“, ფერხ. „სამბოთა ხელმოწერა“, 1980, № 10.
- 16 გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხ. № 8580, საქ. № 4, გვ. 268.
- 17 „თავიტი და ცხოვრება“, 1914, № 27, გვ. 6.
- 18 გახ. „ისარი“, 1907, 14. X, № 225.
- 19 ს. ფირცხალავა 1908-1910 წლებში რედაქტორობდა „ფსიქენეს“, რამეული გამოდიოდა ქუჩა გაზთის, შემდეგ ფერხლის სახით.
- 20 გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხ. № 8580, საქ. № 4, გვ. 184.
- 21 ფაქტობრივ წიგნი 1913 წლის მიწურულს გამოვიდა. როგორც საჩუქარტულო კომისიის ანგარიშდან ჩანს, სულ წიგნის ტრიატი იყო 2050 ეგზემპლარი, აქედან ხელისმთაწმინდადს დაფარტა და 1605. უფსაღდ დარტავა 111. მთი შორის იყენდ მასწალებლობეც, გამოცემა ზარალით დაზარტებოდა, რომ კომისიის ბევერ წიგნს და ხელისმთაწმინდას იყენდს, თითი გამომტემელსაც, უნასიდილოდ არ შეტარტებინათ სამწმინდა.
- 22 გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხ. № 8580, საქ. № 2, გვ. 51.
- 23 ილია ჭავჭავაძისსამმი მიძღვნილ სათიბლეო კრებულში, რომეული 1939 წელს გამოიცა, დაბეჭდილია ილია ჭავჭავაძის პირადი წერილები ელისაბედ საკინაშვილის, ნინო აფხაზის, ვიოლეტი ფერხელისა და ვასილ მანაბლისსამმი. შენიშვნეში მითითებულია, რომ ბარტათების უმჯავუსობის დადებენ დასუთა მიხ. გიდევანიშვილის არქივში.
- 24 გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხ. № 8580, საქ. № 1, გვ. 10.
- 5 გ. ლეონიძემ ილია ჭავჭავაძის დაბადებდინ 85 წლისთავის აღსანიშნავად, რუმბოით „ლოუტემტები და მოგონებები“ გახ. „მანტარიშნი“ (1922, № 13, № 17) გამოაქვეყნა მიხ. გიდევანიშვილის არქივში დაცული ილია ჭავჭავაძის პირადი წერილები პეტრე უმიკვიცილის, ვასილ მანაბლის, მარტოირი უორდრობისა და ნიკო ცხვადმისსამმი.
- 25 ორსა, ფონ. № 600, ან. 1. საქ. № 35.
- 26 ივ. გომარტული, თხო. ტ. 1, 1966, გვ. 401.

# ტელეფილის სპეციფიკა — ფარი თუ მახვილი?!

ლერი სიხარულიძე

ტელეფილში და მისი სპეციფიკა მრავალჯერ ქცეულა კამათის საგნად კინოს თეორეტიკოსთა და პრაქტიკოს კინემატოგრაფისტთა წრეებში. წერილი არ ისახავს მიზნად ამ საკითხის ყოველმხრივ თეორიულ გააზრებას. ამ საკითხზე ბევრი დაწერილა და ამდენად გამოიციხული არ არის, რომ ზოგი რამ, რასაც ქვემოთ ვიტყვი, ჩემამდეც იყოს ნათქვამი. პირველობის პრეტენზია მე არა მაქვს. მინდა მხოლოდ გავუზიარო მკითხველს ჩემი დაკვირვებანი, ტელეფილემების სტუდიაში თორმეტი წლის მუშაობის მანძილზე რომ დამიგროვდა.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, თავიდანვე გამოვთქვამ ჩემს დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ. ჩემის აზრით, თეორია, ტელეფილის ბაზაზე გადაღებულ ფილმების რაღაც განსაკუთრებული მხატვრული ნიშნებისა და თვისებების შესახებ, ფარია, რომლითაც თავს იცავს დილეტანტიზმი და ზერელობა კინოხელოვნებაში! სწორედ ამ ე.წ. სპეციფიკამ შექმნა ის მოჩვენებითი კრიტერიუმი, რომლითაც ზნობად ცდილობენ ვაზომონ, სინამდვილეში კი შეღავათები შეუქმნან და რაღაც განსაკუთრებული ელფერი მისცენ ფილმებს, რომლებიც ჩვეულებრივი კინოხელოვნების უშეღავათო საზომით უნდა შეფასდეს.

1973 წელს ეყრნალ „საპოთა ხელოვნების“ რედაქციაში გამართულ „მრავალ მაგიდაზე“, რომელიც ქარ-

თულ ტელეფილმებს მიეძღვნა, ვთქვი (და ახლაც მაშინდელი პათოსით ვიმეორებ), რომ ტელეფილში, როგორც რაღაც განსაკუთრებული, სპეციფიკური ფორმა კინოხელოვნებისა, არ არსებობს და თუ ღაბარაკია კრატე, სპეციფიკაზე — ეს მხოლოდ ფინანსურ-ეკონომიური და ტექნიკური ბაზის უწყებრიობაა და მეტი არაფერი! მხოლოდ რაც შეეხება აღქმის პირობებს — ის ვერცხვდება მხატვრული ნაწარმოების სახეობის განსაზღვრული, განა არსებობს ტელეფილზე, ტელეფილისა, ან ტელეფილისა?

ამასთან დაკავშირებით მრავალ მაგიდაზე ჩემი და ჩემი კოლეგების გაოცება გამოიწვია ზოგიერთი პროფესიონალის თითქმის აბსურდულმა მოსაზრებამ კინოფილმისა და ტელეფილის სპეციფიკის შესახებ. მსგავს აზრებს ახლაც ზნობად ვაწყვიბი. შევეცდები გავიხსენო ყველაზე საინტერესო მაგალითები.

ერთი ჩემი კოლეგა ხალხმრავალ თათბირზე ამტკიცებდა, რომ ტელეფილმებზე მუშაობისას იგი, თურმე, ყოველთვის ითვალისწინებს იმას, რომ ფილმის ყურებისას ტელემაყურებელს შეიძლება დასკირდეს ტელეფონთან მისვლა, ჩაის ადღლევა და ა.შ. აქედან გამომდინარე, ფილმში გრძელ მასალებს იმიტომ ვაკეთებ, რომ მიეცე მაყურებელს საშუალება მოისაქმოსო (!). როგორც იტყვიან კომენტარები ზემდგომ... დრამატულ ხელოვნებაში ხომ ყველაზე რთული, უმაღლესი ამოცანა მკითხველისა თუ მაყურებლის ყურადღების შენარჩუნებაა. ამ ამოცანის გადაჭრას ესწრაფვის (უნდა ესწრაფოდეს!)

\* ნახატ-ხუმრობები სერიიდან „ტელეფილი“ — ჩემი სიყვარული ეკუთვნის ავტორს რედ.

ყოფილი ხელოვანი. ყველაზე უფრო საშუალება ამ კეთილშობილური მისწრაფებების გზაზე დეტექტური სიუჟეტია. თუმცა, ნიჭიერ ხელოვანს მასწავლებლის დამოჩინება სრულიად უბრალო სიუჟეტითაც არ გაუჭირდება. განცდების, ხასიათების შეჯახება და ამბის განვითარების გორაკი ისე უნდა იყოს მოწოდებული, რომ მასწავლებელი ვერ მოსცილდეს კერანს, დაენანოს ყოველი გამოტყვევებული მეტრი.

კიდევ ერთი მაგალითი: ამ კარდენიმე წლის წინ ჩატარებულ საბჭოთა-გერმანულ ტელესიმპოზიუმზე ერთ-ერთი მომხსენებელი ამტკიცებდა მხატვრული ტელეფილმის მთავარი სპეციფიკა ის არის, რომ მსახიობს მეტრი გამოვლენებლბა სჭირდება, რათა მიაჯვროს მასწავლებელი ტელეეკრანს. ამ „თეორიის“ მიხედვით, ეტყათ, „კაცია-ადამიანისი?“ ტელეეკრანისთვის მსახიობმა უნდა გამოიჩინოს მთელი თავისი გამოვლენებლობა, კინოეკრანისთვის კი თიამამოს ნაკლები მონდომებით.

ერთ-ერთ კონფერენციაზე კი ასეთი ლოზუნგი წარმოითქვა: „ჩვენ გერმანობით არ ვიცით, თუ რა არის ტელეფილმის სპეციფიკა. მაგრამ იგი არსებობს და შეიძლება, რომ იგი არ არსებობდეს, თუმცა ვიმეორებ, ჭერ არ ვიცით, თუ რას წარმოადგენს იგი!“

უფრო ვიწრო წრეში, სატელევიზიო ფილმების სამხატვრო საბჭოებზე ნაწარმოების მასალის განხილვისას ხანდახან გაისმის ავტორთა მტკიცება — სურათი ტელესპეციფიკის გათვალისწინებით გადავიღო. მაგრამ ერთი ასეთი ფილმი ისე იყო გადაჭედული მონტაჟური გადახვევებით და რეტროსპექციებით, რომ აშკარა გახდა ავტორის დაუოკებელი ლტოლვა არა მისი სათაყვანებელი ტელესპეციფიკისაკენ, არამედ ჩვეულებრივ, უკვე საყოველთაო იარაღად გამხდარი აღწერისეული თუ ბერგმანისეული კინოხეობებისაკენ.

ტელეფილმის ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებად ახლ დროს აღმოჩენსათვის აღიარებდნენ ხოლმე ენო ხედს (იქნებ ახლაც ასეა?!). შეიძლება თუ არა ამ ტექნიკური ხერხის უპირატესი გამოყენების გა-

მო კინონაწარმოები მაინცადამაინც ტელეფილმად მივიჩნიოთ? უმარავე „დიდი კინოფილმი“ ავეღობო ახლო ხედზე, რაც მხატვრული აუცილებლობაა. მაგრამ ნახები და არა უწყებრივ-სახეობრივი „კოდექსით“. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია „თორმეტ განრისხებული მამაკაცი“, სადაც ორგანული და აბსოლუტურად გამართლებული ამერტობა. ამ ფილმში მთავარი მოქმედება ვითარდება პატარა თითხში, სადაც ამერტა არა აქვს და არც სჭირდება სივრცე, რის გამოც აუცილებელიც კია ახლო ხედზე მუშაობა. მაგრამ საგულისმზოა, რომ ფილმი იწყება უზარმაზარი გენერალური ხედით, — კაპიტალიზმით. შემდეგ სივრცე თანდათან ვიწროვდება ამერიკის უმაღლესი სასამართლოს დარბაზამდე და მასწავლებელი, თორმეტ ნაფიც მსაჯულთან ერთად, „იკეტება“ პატარა თითხში, რათა შეეძღვოს ისევ გამოვიდეს სივრცეში და დაინახოს, რომ მთელს ამერიკას დაზვარფატივს მართლმსაჯულების ქა-თქათა მტრედი. ვიმეორებ, ამ ფილმში ახლო ხედი ორგანული და აუცილებელია. სხვაგვარად მთავარი ეპიზოდები გათამაშებაც და ცალკედაც შეიძლება მხოლოდ ერთ შემთხვევაში — თუკი რეჟისორი დაარღვევდა იურისპრუდენციის მტკიცე კანონს და ნაფიც მსაჯულთა სადმე ქალაქგარეთ, პოტომაკის ნაპირზე გაიყვანდა.

ასევე ორგანული და აუცილებელია ახლო ხედი რობერტ ბრესონის ფილმისათვის „სიკლიდომისჯილის გაქცევა“. ამა რომელიც სხვა ხერხი გამოადგებოდა რეჟისორის სიკლიდომისჯილი ვიწრო საკანში ჩაქვტილი მართხელა მატორის განცდებში მასწავლებლის ჩასათრევად.


ეს მაგალითები მე იმის სათქმელად მოვიყვანე, რომ ახლო ხედი პირადად მე ამა თუ იმ კინონაწარმოების შინაარსიდან გამომდინარე მხატვრული აუცილებლობით ნაკარნახებ საყოველთაო კინემატოგრაფიულ ხერხად მიმჩნია და არა ამა თუ იმ ეკრანული ფორმის სპეციფიკურ თავისებურებად.

არსებობს კიდევ ერთი აზრი, თითქმის მკითვ ეკრანი ვერ ეგუებოდეს მასიურ სცენებს..

ჭერ ერთი, საკითხავია, როდესაც რეჟისორი ეკრანისა და ხარჯების სიმკირის გამო იძულებულია გაეჭკეს მისთვის მხატვრულად საჭირო ხალხმრავალ სცენებს — ეს მხატვრული სპეციფიკაა თუ სისუსტეა?! თუ ეს სპეციფიკაა, მაშინ გამოვლბა, რომ ამერტობა და მინიატურული სიუჟეტები არ ხელეწიფება ღიდი კინოს. მაგრამ განა კინოს ისტორიიდან ჩვენთვის არ არის ცნობილი ტელევიზიამდე ცაცულებით აღრე შექმნილი უმარავე ამერტული ფილმი?

პარალელისათვის:

ქრნობილიაირომ ბარბიერის საოპერო დასმა, რომელიც გასულ საუკუნეში იწვია თბილისს, „ლუჩისა დილაერმული“ სახაზინო თეატრში თექვსმეტი კაცის ძალეებით დადაგ მხოლოდ იმიტიმ, რომ მეტი მომღერალი არ მკავდა. არც დონიეტის შეუქმნია თავისი ბრწყინვალე ოპერა ამ რაოდენობის მომღერლებისათვის და არც ბარბიერი იყო ბენდიერი იმით, რომ ცხოვრებაში არც სრულყოფილი ორკესტრი ეღიქსა და არც რიცეობრივად სრულყოფილი დასი.





მაგრამ დადგა უფრო სწორად „გამომბავს“ და მაინც მიაჩნა ადამიანებს ბედნიერება, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება და უფრო სრული ყოფილიყო.

თავის ბარიერები კინოსაც ჰყავს! და თუკი ისინი კამერულ სიუჟეტებს ეძებენ თავიანთი ფილმებისათვის (ტელეფილმებისათვის) ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც განსაკუთრებული მხატვრული მწიწამის ერთგულნი არიან!


საქმე ისაა, რომ კამერული სიუჟეტების გადასაღებად ფინანსური და ორგანიზაციული საშუალებები ვაცილებით იოლად ეტევა ტელეფილმებისათვის ნაგარაუფრე ბიუჯეტსა და დოტაციებში არა მგონია ძნელი წარმოსადგინი იყოს თუ რა გულსტივილით აიძულებს ავტორი თავს უარი თქვას შინაგანად, მხატვრულად აუცილებელ „განზრახვაზე“!!!

პროკურსტის სარკეცლია ეს და არა სპეციფიკა. მისი მსხვერპლი მეც ვყოფილვარ (განსაკუთრებით „უსასრულობაზე“ მუშაობის დროს).

ტელეფილმის ერთ-ერთი სპეციფიკურ თავისებურებად უქანასკნელ ხანებში მიჩნეულია მრავალტომიან და მრავალსერიულ მხოლოდ ტელეფილმისათვისაა დამახასიათებელი? რა განსხვავებაა „თუშ მეცხვარეს“ მაყურებელი სამი დღის განმავლობაში ნახავს კინოთეატრში თუ სამი დღის მანძილზე საკუთარ ტელეეკრანზე? ან, გუნებათ, დაჯდება და ერთხმად ნახავს სამივე სერას? არავითარი! განა განასხვავებენ ერთმანეთსავე მრავალტომიან და მრავალსერიულ მხოლოდ ტელეფილმისათვის ისეთი ორგანიზაციულ-ფუნქციური და ექსპანიური საშუალებები, როგორცაა სერიათა და სენსთა რადიონობა, მოიქროვილი ჩარჩო თუ ტომების რატევი, არ ცვლის. ჯერ ერთი, მრავალსერიიანი ფილმები მრავალ იყო მუხეკი კინოს პერიოდშიც. ტელეფილმის ჩადოსავან თავისუფალი მაყურებელი ყოველდღე თუ არა კვირაში ერთხელ მიიწვ დადიოდა (და ეხლაც დადის) კინოთეატრში.

კიდევ ერთი თავისებური და თვალსაჩინო მავალით — იტალიური სატელევიზიო ფილმი „ლეონარდო და ვინჩის ცხოვრება“. ქართული კინოს ერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ ამ სურათის შესახებ კამათისას ასე მომიბრა: „განა შესაძლებელი იქნებოდა დიდ კინოში კომენტატორის კადრში შემოყვანა?! ის ფილმი ხომ წმინდა ტელევიზიის პირველია! განა შენ კი არ იტყვებოდა ასეთი ფილმის ავტორობაზე!“

აბა, არ ვიცინებდები! პირადად მე არ კომენტატორმა ძალიან გაბალიხიანა. ეს იყო მანერული, ეკრანზე ყურით მოტანილი თეატრალური ხერხი (ვაკუბსენით კაჩალოვი „მხატვის“ „აღდგამაში“), რომელმაც მხატვრული თვალსაზრისით ნაწარმოებს გერაფერი შეჰმატა. ეს არ იყო ამ ფილმის ქსოვილის მხატვრულად ორგანული უჯრედი. ცარდა ამისა, ასეთ კომენტარს შესანიშნავად აკეთებს „დიდი კინოც“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ ეკრანზე არააენ არ შემოდის და არც მოქმედებს ამუხრუტებს. კომენტარი ისმის კადრის გარეთ და ეს არავითარ ახალ, არნახულ სპეციფიკას არ ქმნის არც ტელეფილმში და არც დიდ კინე-



მატოგრაფში. რაც შეეხება „ლეონარდო და ვინჩის ცხოვრების“ მრავალსერიულობას — ოცდაათი წლის წინ მაყურებელი, დიდი ლეონარდოს ცხოვრებისა და შემოქმედების უკეთ ცაცობის წყურვილით, ასეთივე ინტერესით მიაწვდებოდა კინოთეატრებს მთელი კვირების მანძილზე.

არადა, უქანასკნელ წლებში იმლაგრა მრავალსერიიანი ფილმების ნაკადმა, რომელმაც დატბორა ტელეეკრანები. ამ სურათების უმრავლესობა ცნობილი ტელეატრული ნაწარმოებების ეკრანისაცაა ვახლავთ. რა მოუტანა და რა შეიძლება მოუტანოს ამ ფილმებმა კინემატოგრაფს?

ლევ ტოლსტოი რომანზე „იმი და მშვიდობა“ ექვსი წელი მუშაობდა! ასევე წლები (!) დასკირდა „ფორსაიტების სავაჰ“ შექმნას. ასეთი მავალითეტი უმარავია. მაგრამ კინოს ეპოქაში არცერთი ლიტერატორი არღედ დროს არ მიხარჯავს ფილმის სცენარის წერას, როდესაც ხელთ არის ზღვა მასალა მსოფლიო ლიტერატურის სავანდურში. მით უმეტეს, როცა სცენარისტმა წინასწარ იცის, რომ გადაღების პროცესში შეიძლება მისი ნაშრომიდან ნამცეცეც არ შერჩეს ეკრანის. მაყურებელმა, თავის მხრივ, იცის ან გაუგონია თომას მანის, დოსტოევსკის, გერმესის, კონან დოილის სახელები და აქ წარმატება (ფინანსური მიხედვით) გარანტირებულია! ყოველ შემთხვევაში რეკლამა არის. ამასთან, ვაცილებით ნაკლები ენერჯია და დრო იხარჯება რომანის სიუჟეტის გასაცნობად (თანაც მთელ გვერდებს კადრის გარეთ დიქტორი კითხულობს).

კიდევ ერთი, მაგრამ, ვგონებ, ყველაზე თვალსაჩინო ამსურდის შესახებ ტელეფილმის სპეციფიკის „აღმოჩენათა“ რაგმი:



ზემოთ ნახსენებ „მრავალ მაგიდასთან“ ერთ-ერთმა ჩვენმა ცნობილმა კინომოდერნე განაცხადა: ჩვენ დღეს დიდ ეკრანზე ვნახეთ ტელეფილმები, სასურველი კი იყო ისინი მცირე ეკრანზე გვეხილა, რადგან დიდ ეკრანზე ტელეფილმის ზოგი სპეციფიკური თავისებურება მყაუტრბლისათვის შეუმჩნეველი რჩებათ.

ერთ-ერთმა სარაპროფესიონალმა „კინორეჟისორმა“, რომელიც ტელეფილმების სტუდიაში კინოს შექმნის უდიდესი წყურვილით მოვიდა (და ეს, რა თქმა უნდა, მისაღებელია), ერთ-ერთი მახაბტურო საბჭოს სხდომაზე მოითხოვა, რომ არა მარტო ფილმები, არამედ გადაღებული მასალაც სამხატვრო საბჭოსა და ღირეჟისის ტელეეკრანზე ჩაბარებოდა. მაშინ ნახველი კინორეჟიფიქონალიძე, რა არის ტელესპეციფიკა, როდესაც ТАФ-ი მათ კომპოზიციებს შუაზე გაჩვენებს!!! (ცნობისათვის: — ტელევიზორის ეკრანი პოპოპოპოციულად ამკორებს კინოფორის გამოსახულებას ვერტკალშიც და პორიზონტალშიც: ეს არის და ეს!).

ბევრმა არც კი იცის, თუ რა წესით ტარდება სატელევიზიო ფილმებისა და ტელესექტაკლების ფესტივლები. იმისათვის, რომ ამ ღონისძიებას შესაფერისი სატელევიზიო (საუწყებო) ელფერი მისცენ, საფესტივალო დარბაზებში (პოლებსა და ვესტიბულებშიაც კი) იღებება უმარავი ტელევიზორი და ამ ნახევარჩანჩეტულ დარბაზებში სხვადასხვა ეიურის წვეგრებიც და სტუმარ-მასპინძლებიც... უსურველი, აბოლებენ, სეამენ ყავას, შედან, გამოდიან, უზიარებენ ერთმანეთს აზრს ნანახ ფილმებზე ან საუბრობენ სრულიად სხვა თემებზე. ერთი სიტყვით, ქმნიან ყველა პირობას, რომ თავი იგრანონ საყუთარ ბინაში თუ არა, უახლოესი მეგობრის ოჯახში მაინც.

ღობ, იქმნება ყველა პირობა, გარდა უმთავრესისა: ხელოვნების ნაწარმოების აღსაქმლად აუცილებელი გონებისმოსაყრევი ატმოსფეროსი!

ხელოვნების ნაწარმოების აღქმას, ჩვენი შინაგანი ინტერესის დასაკმაყოფილებლად სჭირდება ყურად-

ღებისა და პასუხისმგებლობის კონცენტრაცია. მხოლოდ აირად ვერც მსაჯული იქნები და ვერც მომხმარებელი. ამისათვის ხელოვნების ნაწარმოებს ათავსებენ ხარჩოში ან ყდაში, ბეჭდვენ გამძლე და სასიამოვნო ქალაღზე, ფირზე! სადემონსტრაციული უთმობენ ლამაზ შენობებს, დარბაზებს, ქმნიან სიჩუმეს, ამყარებენ დისკოლინას.

ხელოვნების ნაწარმოებს (მათ შორის მხატვრული და დოკუმენტური კინემატოგრაფის ნიმუშებს) ტელევიზორის შეწყობით სახლში იმიტომ კი არ მოგვართმევენ, რომ იგი საგანგებოდ საძილე და სასტუმრო გარნატურის დანამატადა შექმნილი, არამედ იმიტომ, რომ გვეჩინებს სამუალებს საყუთარ ოჯახში ვეზიაროთ მათ, როცა დრო და ძალ-ღონე ვეღარ მოგვდევს კინოში, თეატრში თუ მუზეუმში წასასვლელად.

სჭირდება კი ეს „ეკითომ სპეციფიკურა“ თეორია იმ სპეციფიკურ ადამიანს, რომელსაც ტელესაყურებელი ჰქვია?

საუბედუროდ, ამ მარტყულარობის დაღვენი, ვფიქრობ, თორატყულარობი სულაც არ ფიქრობენ მყაუტრბელზე. ეს თეორიები იქმნება ავტორთა პატევიმყაუტრბის დასაკმაყოფილებლად და მათი შემოქმედების განსაკუთრებულობის დასამყიდრებლად.

დავასწრებ მეითხვებს და მე თითონ დავიცამ სრულიად ლოგიკურ კითხვას: რამდენად სჭირდება ეს თეოი ავტორს? — იქნებ ნიჭის გაღვივებას უწყობს ხელს ან ნიჭიერ ავტორთა მოზიდვას?..

პირადად ჩემთვის ეს სპეციფიკაც და ტელეფილმების საფესტივალო პირობებც ორღესული მახვილია, რომელიც ერთის მხრივ, ნაწილობრივ ამყაყოფილებს კინოხელოვნებას ანბოციებს და, მეორეს მხრივ, ხელს უწყობს გათიშვას კინემატოგრაფის შოგნით.

მაგრამ არის ერთი ხერი, რომელიც ტელევიზიამ მოიტანა კინოხელოვნებაში — ეს გახლავთ ინტერვიუ.

კინო (მხატვრული, დოკუმენტურიც და სამეცნიერო-პოპულარულიც) დრამატული ხელოვნება, სადაც პრობლემებს და იღებებს აყენებენ პიროვნებები, ხასიათები... აყენებენ. წყებენ, ეწირებიან ან იმპროვიზებენ ერთმანეთთან ან საოგადობებასთან ბრძოლაში, მოქმედებაში, სიტუაციებში... და არა ამ სიტუაციათა და კოლიზიათა სიტყვიერ აღწერაში. ამ მისის იღებულად ასრულებს მემორიული ლიტერატურა, შესანიშნავად ათომგეს თავს ტელევიზიაც. (ტელეგადაცემის სახით), სადაც უმარავი ცოცხალი მობორობელი გვაცნობს იმას, რაც უკვე მოზნდა რაც თხოულადას მყისიერ, ამწყუთარ ანალიზს ან გახსენებას დღევანდლობასთან შესაპირისპირებლად!

ყოველივე ეს იმის სათქმლად დამჭირდა, რომ ჩვენი დოკუმენტურ კინოში განუთხოვად მოზღვავედა ინტერვიუ! თითქმის არ არის დოკუმენტური ფილმი, სადაც გმირის ხასიათი, მისი საქმიანობა მოწოდებული არ იყოს ინტერვიუს საშუალებით: თუ ფილმის გმირი არ გვეყვება თავის თავზე, ამას აკეთებს სხვა პიროვნება — მისი მეგობარი, კოლეგა თუ თანამედროვე. ცოცხალი მოქმედება, კონფლიქტი შეცვლილია სიტყვიერი მოკლე შინაარსებით, ხასიათები — სიტყვიერი მინიშნებით. არადა, ხასიათის გასახსნელად აუცილებელია კონფლიქტი, ყოფითი სიტუაცია. დაუსრულებელი ინტერვიუ-

ბით სასე ჩვენს დოკუმენტურ ფილმებში კი უმეტესწილად მხოლოდ აბსტრაქტული საუბარია გმირისა და პრობლემაზე. ასეთი სურათები, ფაქტობრივად, ილუსტრირებულ ინფორმაციას ვეაწვდინან, რაც თავისთავად საჭიროა, მაგრამ ეს ვერ შეუვლის კინოს (ევრტ დოკუმენტურსა და ვერტ მხატვრულს), რომელსაც ერთი ფუნქცია აქვს არა—ღრმა და ფართოდ განზოგადებული მხატვრული სახის შექმნა!

მახსენდება საოცარი დოკუმენტური ფილმი „იაპონიის ომები“. წარმოედგინათ, რომ კადრში დასვეს ამ ომების მონაწილე რამდენიმე გენერალი და მთავოლებს ის ეპიზოდი, როდესაც კამბოჯეთა იერიშის დროს ცეცხლმოკიდებულ ამერიკელი ზომალის პასტორს წყის ჭეხის მოხაკიდებ უბნზე მეზღვეურს. აბა, რა მონაყოლი შეედრება ამ ეპიზოდს!..

ჩვენ კი სწორად ამბის მონაყოლით წაველეთ ეკრანები იოლია ამის გაკეთება და აღბათ იჩივით: — მოიყვან გმირს სტუდიაში, შეიძლება ნატურაზეც გაიყვანო ან ოჯახში ეწვიო, ისე დაჯდება კამერის წინ ფეხსაცმადებული და მოკვივობობს, რაც გადახდა და რა-საც ფიქრობს. თუ გმირი ქარზე მოუბარია, მაგას რა ჯობია!..

შე ასე მშაშან — კინო იღებდა (თავიდანაც ასე ერქვა — „ილუსტრონ“) ეკრანზე გათამაშებულ ამბავს თუ დოკუმენტურად ნაღი ეპიზოდი არაკითარ კავშირში არა მათუტებულთან. იგი თავისთავადია! ამდენად, ყოველგვარი ინტერვიუ, კადრს ბოლმა მიმალელი ინტერვიუებით, მოკლებულია დამატებლობას. თუმცა, მე სულაც არ გამოვრიცხებ სიტყვიერ თხრობას, როგორც დიალოგის ერთ-ერთი კომპონენტი იმ შემთხვევაში, თუ დიალოგი ატარებს ინტერვიუს მონაწილეთა ურთიერთობის, კონფლიქტის, მათი ხასიათების გამოვლენის ფორმას!

მზებელ რომში კინემატოგრაფიის ინსტიტუტში პირველსავე ლექციაზე ვკითხვარ: — დიამხსოვეთ, ბიჭებო! იმისათვის, რომ თქვენმა მახაობმა გათავალნოს თავისი გმირის ხასიათი, მისწრაფებები, იდეა ან სიტუაციონალში დამოკიდებულება, შეუტყვენთ მას რაივე წინააღმდეგობა აღემაინს, სუამის ან თუნდაც ღობის სახით! იმით, თუ როგორ გადაქცევა იგი ღობეზე, თქვენ მიზნდებთ მას იჭიკრება თუ არა, ვინმეს მოკვლა უნდა თუ სხვა საქმეზე გაუწევა, მოწყენილია, თუ მზიარული!

ჩვენს ფილმებში ინტერვიუების არსი (უმეტესწილად) არის არა კამათი (წინააღმდეგობათა გადალახვა), არამედ სტატეკური აზრის გაზიარება, მომხდარის აღდგენა (დწერა) სიტყვით და არა ჩვენება „საქმით!“ ინტერვიუმ თითქმის სრლდებით მოსპო მოქმედება, სანახაობა!

მინდა სწორად გაიგოთ: მე ვუჩივი ინტერვიუ-მონოლოგის განუციხხავად მოზღვევებას და არა მონოლოგს, ფილმის მხატვრულ სტრუქტურაში ორგანულად ჩაქსოვილს ან მისგან აღმოცენებულს.

მაგალითისათვის კვლავ მსოფლიო დოკუმენტური კინოს ისტორიას მივებართავ და გავიხსენებ ფილმებს — ვალტერ ხაინოვსკისა და გერხარდ შოიშანის „კავი, რომელიც იცინის“ და კრის მარკერის „მშვენიერ

მისს“. ამ ორ დოკუმენტურ ფილმში იდეის ჩამოყალიბების ღერძი მთლიანად მონოლოგზეა გადასული. აქ ძალზე ორგანულია ორივე ფილმი მწვავე პოლიტიკური ვითარებაში გადაღებული. პირველ შემთხვევაში („კავი, რომელიც იცინის“) ნებისმიერი კონტაქტი მწვავე პოლიტიკანთა ცნობილ წინამძღოლთან, რომელიც ეს-ესაა საიდუმლოდ დაბრუნდა აფრიკიდან და იმალება, უარესად საინტერესო იყო! თუ მეხსიერება არ მალატობს, პოლონეთში ჩვენს თვალწინ თერება და სისხლით გამაღარი მკვლელის კმაყოფილებით მოგვითხრობს ხოცვა-კვლევით აღსავსე თავგანდასავალს, ეს ფილმი შეზადებული იყო მსოფლიო რუხონანის მქონე ამბებით! ასევე მწვავე პოლიტიკურ სიტუაციაში (საფრანგეთ-ალჟირის კონფლიქტი) იყო გადაღებული კრის მარკერის ფილმი „მშვენიერი მისის“. ეს ფილმი ავებულია ინტერვიუებზე სხვადასხვა პროფესიის, სოციალური წარმოშობისა და ეროვნების ადამიანებთან. ქვეყანაში შექმნილმა თითქმის რევოლუციურმა სიტუაციამ თითოეულ მათგანს გაუჩინა უმწვავესი საფიქრალი, ამოსათქმელი. ყველას რაღაც აწუხებდა, ჰქონდა რაღაცის ხმამალა თქმის, საუთარი დამოკიდებულების გამოხატვის სურვილი. ასე რომ, მონოლოგი, ინტერვიუ, სიტყვით გამოისვლა ამ ფილმში აუცილებელი ფორმაც კი იყო.

ვფიქრობთ კი ჩვენს ფილმების გადაღებისას იმაზე, აქვთ თუ არა ჩვენს გმირებს ხმამალა ამოსათქმელი? კიდევ ვიმეორებ: ძალიან ადვილია მოიყვანო გმირი კამერის ობიექტივთან და აღაპარაკო (წინასწარ დაუწერილ) ის, რაც შენ გსურს. ასეთ სურათს რატომღაც, „სტუდესს-ციფიკის გათვალისწინებით“ შექმნილ დოკუმენტურ ფილმად მიიჩნევენ. მეც გავზნდარეარ ამ „სტუდესს“ მსხვერპლად. ამის ერთ-ერთი მიზეზი ჩვენს მძიმე, მოუქნელი ტექნიკაა, რომლითაც თითქმის შეუძლებელია სხვა რამის გაკეთება! დოკუმენტური კინოს მხოლოდ მაშინ აქვს ფსი, როდესაც არის საშუალება ედმის სიდიდის, ასევე სიტუაციის და არა ყურით მოიყვანო იგი ან შექმნა სიტუაცია ობიექტივთან. ცხადია, ის მეთოდი, როგორითაც ჩვენ ხშირად გეუშობათ, დროისა და ხარჯების ეკონომიას იძლევა, მაგრამ განა სჭირდება კინემატოგრაფს ფილმები, რომლებიც მოკლებულს, ჩვენების მაგივრად, სიტყვიერად აღვიწერენ? ამ აუარება, კითხვა-პასუხზე ავებთ ფილმებში მე ძალიან ცოტა მახსოვს გმირის ისეთი ექსტივი ან ფრაზა, რომელიც გეულიდან ამოსდიოდეს, მისი ხასიათის გამოხატველი იყო.

საესებთ ორგანული და გამართლებულია მონოლოგი-ინტერვიუ ქართულ დოკუმენტურ ფილმ „პრემიერაში“. მზახლისე, არაპროფესიონალ მსახიობთა ეს მონოლოგი-





ბი საკმაოდ დამაჩერებლად ქღერს პროვინციული თეატრის ცხოვრების ამსახველ მშვენიერ ეპიზოდებს შორის.

გაორებული დამოკიდებულება მაქვს ფილმ „70 შეკითხვის“ მიმართ. ეს ფილმი ძალზე მწვევე თემითა და სატკივართი ჩვენი დაწყებითი და საშუალო სკოლის დღევანდელ პრობლემებს ეხება. მაგრამ იგი ტიპურია „ტელესპეციფიკის“ თვალსაზრისით. პირადად ჩემში მძაფრ უმპარისობის გრძნობას ბადებენ მშვენივრად შერჩეული მოსწავლეები, რომლებიც კამერის წინ ხმამაღლა კი არ ფიქრობენ, არამედ კადრის პირველ პლანზე ნახევრადმიმალულ ინტერვიუებს მოუთხრობენ იმაზე, თუ რას ფიქრობენ, მოუთხრობენ განცდაზე და არ განიცდიან! მოუთხრობენ გარდახდილ სიტუაციებზე, რომელთაც ვერ ვხედავთ და იძულებულები ვართ მითიანად დავეყრდნოთ ბავშვურ ანალიზსა და ფანტაზიას.

ისევ და ისევ ტელეგადაცემა! ისევ და ისევ ტელეუბლიცისტკია და რიტორიკა!

მაგრამ ყველაზე ტიპური ამ ფილმში თვით ინტერვიუებია — რომელზეც, მიუხედავად მისი სტატისტიკურობისა, ასმულია ფილმის ყველა პერსონაჟი. შედეგი — როტორიკული ფინალი, პრობლემების რიტორიკული დასმითა და მისი რიტორიკული (თუმცა ოპტიმისტური!) გადაწყვეტით.

ზუსტად იგივე ხდება ძალზე საინტერესო ხასიათებითა და სიტუაციებით აღსავსე ფილმ „ექსპერიმენტი“ აქ ინტერვიუები არც ზურგიით ზის და არც კადრს იჭით იმალევა. იგი აშკარად ცდილობს იმოქმედოს, მაგრამ ამ სტატეგიური ტელესპეციფიკის წყალობით რჩება მხოლოდ და მხოლოდ გულმოდგინე ფიქსატორად და ეპიზოდურად ეპიზოდზე გადასვლის საბაბად! არადა, აშკარა — მას ვაგიონებით მეტის ფაქეფაბა შეეძლო არა მარტო მართალი და საინტერესო ხასიათის შესაქმნელად, არამედ ფილმის პერსონაჟების „ასამოქმედებლად“ და დასრულებულ მხატვრულ სახედ ჩამოსაქმნელად.

მასოსეს ასეთივე ხეობი იყო გამოყენებული ერთ ამერიკულ ფილმში, სადაც მსახიობი ქალი ოპერატორთან

ერთად ნოუ-იორკის „ფსეკრუტ“ შეუშვეს. იმ ქალის გარდა არავინ იცოდა კამერის არსებობა. გადაღების მსვლელობაში მსახიობი ჩართული აღმოჩნდა „ფსეკრის“ ბინადართა ცხოვრებაში. ეყრანზე ვხედავთ მის ელემენტარულად გაფართოებულ თვალს, თანაგრძნობითა თუ აღშფოთებით აღსავსე დამოკიდებულებებს იმ მოვლენებისადმი, რასაც იგი იქ ხედავდა. გაიხსნა არა მარტო ამ ქალის ხასიათი, არამედ მისი საშუალებით შესანიშნავად შეფასდა მოვლენაც! ეფიქრობ, ღირს ასე აწვეწო პიროვნება, რომლითაც კინძვე შენთვის საინტერესო მოვლენათა გაქვს!

ზემოთ მე საგანგებოდ შევიჩერდი უყანასკნელი წლების სამ, მხატვრულად და პროფესიულად მიიწვ საინტერესო ფილმზე, რომლებმაც, ჩემის აზრით, ისევ და ისევ ტელესპეციფიკის წყალობით დააკლეს მხატვრული „მოსავალი“ (ამ მხრივ ჩემი „ჩარბმშენებელი“ სტადავდა). რაც შეეხება „სატელევიზიო ხერხებით“ გადაღებული ფილმების საერთო ნაკადს (რომელიც ჩემზე საკმაოდ უზადრუც შთაბეჭდილებას ტოვებს), სათანადო ინსტანციებში ყოველ მათგანს მიწიწებული აქვს „შესაფერი“ კატეგორია და ყოველი მათგანის გამოჩენას ტელევიზორზე წინ უძღვის რუბრიკა „სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის პრემიერა“.

სხვათაშორის, მე არც ჩემი მონაწილეობით შექმნილი ფილმები მაჩიწვდება („ესტაფეტა“, „საპატიო თავმჯდომარე“, „ფირმისმანთ ვარსკვლავი“ და სხვა), სადაც ყოველგვარი მსვლელობის მიუხედავად, ვერ ავცილ სიტუაციის, რიტორიკის დომინანტს! ამ ფილმებში თითქოს ყველაფერი რჩებო, მაგრამ აშკარად ცოტაა მოქმედება. მიზეზი, გმირთა ცხოვრების ერთფეროვნებისა და არაკინემატოგრაფიულულობის გარდა, ერთია — ოლი, ტრადიციულად გზა, რომელიც ვისთვის აუცილებელი „სპეციფიკა“ და ვისთვის რთული და მიიწვ საკმისაგან იოლად თავის დაძვრების საშუალებად უყეთის მერმისის იმედით! კითხვა-პასუხზე აკებული ჩვენი ფილმები ინფორმაციულ-ილუსტრაციული ფიქსატორების როლს



უფრო ასრულებენ, ვიდრე მხატვრული განზოგადების ძალისა და განსაკუთრებული სპეციფიკის მქონე ნაწარმოებებია. მათ ვაიცილებით უფრო შეფერვბათ ნამდვილად სპეციფიკური სახელი — ტელეგადაცემა.

მონოლოგში გადახრილი ინტერვიუ წმინდა სატელევიზიო ფორმაა სრულიად უბრალო მიზეზის გამო: მოვლენის (დანახულის, გარდასულის, ვაგონილისა და, მითუმეტეს, ხანდაზმულის) აღწერა და ანალიზი ყველაზე ოპერატიულად ძალუხს სიტყვას. ამიტომაც სიტყვა ყოველდღიური პრაქისისა და ტელევიზიის უპირველესი და უბრატესი იარაღი („ერეობა“, „დღეს მსოფლიოში“, „ახალი ამბები“ თუ „მოამბე“). გვიჩვენოთ ტელეკორესპონდენტები მიკროფონით ხელში მსოფლიოს ყველა კუთხიდან და ყველა ქუჩიდან!

არ არსებობს სიტყვაზე უფრო ლაკონიური და სიტყვაზე უფრო ტყეადი იარაღი ადამიანთა შორის კომუნიკაციისა და ადამიანის აზრის (პუბლიცისტურისა თუ მხატვრულის) გამოხატვისა.

სიტყვის შემდეგ (ოპერატულობისა და თვალსაჩინოების მხრივ) უდავოდ ფოტოგრაფია დგას, მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო და ამიტომ ყველაზე ძლიერი იარაღი ისევ კინემატოგრაფია (კინოკამერა), რომელიც უშუალოდ საჭიროებს სიტყვის დახმარებას და არა უპირატესობას. თუმცა, რაცაც არ არსებობს კინომასალა, ტელევიზია სჯერდება სიტყვას, ე. ი. დიქტორს. სწორედ სატელევიზიო დიქტორი (კომენტატორი) ისესხა სატელევიზიო კინომ (დოკუმენტურამაც და მხატვრულამაც) საქმის გასაიღებლად და წააგო წააგო მხატვრული თვალსაზრისით.

შეიძლება ვინმემ თქვას — ქარის წისკილებთან ომში ამტკრევეს კალმს და ელემენტარულ ტერმინოლოგიურ აღრევაზე დაობს ავტორი. არა მგონია! ამ დავაში, ვფიქრობ, ოპონენტებზე გამარჯვება კი არ არის მთავარი, არამედ საკუთარი აზრის ზუსტად და ნათლად გარკვევა იმ მიჯნების სიმყარისა და საიმედოობის შესახებ, რომელსაც, პირადად მე „წმინდა კინოს“, „წმინდა თეატრის“ და ვნებათ „წმინდა ტელევიზიის“ მიჯნებს ვუ-

წოდებ და რომელთა დაძლევასაც ყველა ღიღინი ვეცილობ. მთავარია იმის გარკვევა, თუ ამ მიჯნებზე, ნაჩუნებით რა მხატვრულ სიერცეთა დამორჩილება შესაძლებელი.


კაცობრიობის ისტორიის დიდი საოცრება, რასაც ტელეხედეა და ტელევიზორი ჰქვია, თავისი არსით და დამნუნულებით არ წარმოადგენს ხელშეშების დარგს. იგი საშუალებაა (ისევე როგორც ანბანი ან ფუნჯი), იგი მალემსარბოლია, რომელსაც ზღაპრული (!) სიჩაუქით, თვალათილე მოქებს ჩვენთან ამბები მსოფლიოს ყველა კუთხულოდან. იგი შუამავალია, ინფორმატორია, და მეტი რეკორდი!!!

მაგრამ ბავშვის და გატენილი თოფისა არ იყოს, ტელეკამერასა და ტელეუყუთსაც თავისი ჯალი აქვს, რაც თიძულბს მის უკან მდგომ ადამიანს (ამ შემთხვევაში, ტელევიზიას) მოინდომოს იმაზე მეტი, რაც შეუძლია და რაც ღმერთმა დაუწესა.

უნდა მოინდომოს! (ადამიანია და იმიტომ, სხვაგვარად კაცობრიობას ტელევიზორის ვერ შექმნდა).

და აი, იგი ცელიობს იყოს არა მარტო ინფორმატორი, შუამავალი (რომელსაც ჩვენთან სახლში მოაქვს თეატრი, კინო, ცირკი და კემპისის მესამე გოლი), არამედ ამ „ამბების“ ავტორი თუ არა თიანავტორი მაინც (მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ამის ზეგარდმო ნიჭი და პრიფგანსწავლულობა თუ არა, პრიფესიული უფლება მაინც). აი, ასე წარმოიშვა ტელესპეციფიკის „აღმოჩენათა“. მთელი რიგი: ტელეფილმი, ტელეუთატრი, ტელეცირკი (არადა; ტელევიზიამ შექმნა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სანახაობა „13 სკამი“, „ცისფერი ეკრანი“. აბა, სცადეთ იფივეს გაყუთება თეატრში ან კინოში — უშუალო მარცხი გელით!).

უნებლიედ (თუ ნებით!) მოვადექო მიჯნას, რომლის იქით სატელევიზიო სპეციფიკის უკიდვანგო ოკენავა. ამ ოკენანის გადალახვის ცდას, კოლუმბისა თუ აღენ ბომბარის მამაცობასთან ერთად, სტატეების მთელი დასტა დასტორდება. ვფიქრობ, ამ თემებზე კამათი აუცილებელია, მაგრამ ეს უკვე მომავლის საქმეა.



# მაცუგალა

სამკაპრო ზელოვნების ისტორია იცნობს მრავალნაირი ხასიათისა და თვისებების მომღერლებს, მათ შორის ისეთებს, რომლებიც სცენაზე ანსახიერებენ საკუთარ თავს და მხატვრულ სახეებს თავის ბუნებას, თავიანთ სამომღერლო სტიქიას უმორჩილებენ. ასეთ მომღერლებს ახასიათებთ მხატვრულ სახეთა თავის-აღქცევის უნარი. მათთვის მუსიკალური ნაწარმოები, ესა თუ ის როლი მხოლოდ და მხოლოდ თვითგამოხატვის საშუალებას წარმოადგენს. ამ ტიპის მომღერლებს შეხედვით უველგან, ფიცი სახელგანთქმული საოპერო თეატრების სცენაზე, სადაც ისინი მაღალ შედეგებს ბრწყინვალე ზმებისა და საშემსრულებლო ოსტატობის წყალობით აღწევენ.

გაცილებით უფრო ნაკლებად იზადებიან ისეთი მომღერლები, რომლებსაც ბუნება აჩილდოვებს საკუთარი თავის გარდაქმნის, გასხვისების, შემოქმედებითი გარდასახვის შესანიშნავი უნარით. მომღერალთა აი ამ იშვიათ კატეგორიას ეკუთვნის მთავალა ქასრაშვილი, რომელიც ყოველ როლში, თითქმის ყოველი ნაწარმოების შესრულების დროს სრულად მოულოდნელ სახეცვლას განიცდის.

ვინც თვალუფრს ადევნებს ამ გამოჩენილი მომღერლის შემოქმედებას, ვინც იცნობს მას ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვინც დაესწრო ახლახანს ჩვენს სამკაპრო თეატრში მის სოლო კონცერტსა და მისივე მონაწილეობით წარმოდგენილ ორ სექტეტალს — ჩაიკოვსკის „იეჰუნი ონგინისა“ და ვერდის „ოტელოს“, რომელთა გმირება მისი შემოქმედების მწვერვალებს წარმოადგენენ, სულსაჩინოდ დანახავდა იმ საკვირველსა და შეუწყვეტელ მეტამორფოზებს, რომლებსაც მთავალა ქასრაშვილი სცენაზე გამოჩენისთანავე ამჟღავნებს.

ეს გარდაქმნები იმდენად მკვეთარი და, ამავ დროს, სხვადასხვაგვარი, რომ ძნელდება ხოლმე მთავალა ქასრაშვილის — ამ უაღრესად სადა, მოკრძალებული და თავდაპირველი პიროვნების დაკავშირება მისივე გმირებთან, ძნელდება მისი ცნობა მის მიერ ფილოზოფიული ოსტატობით შესრულებული, უაღრესად დახვეწილი, შინაგანად მდიდარი და მრავალფეროვანი ფსიქოლოგიური პორტრეტებიდან, რომლებიც თვით გმირთა ხასიათობრივი სიახლოვის შემოხვევაშიც კი არ უმსგავსებიან ერთმანეთს. აქედან კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთავალა ქასრაშვილი ცოცხლობს ედენი განცდა და შეგრძნება, რამდენ ნაწარმოებსაც იგი ასრულებს, ცოცხლობს იმდენი ქალი, რამდენ როლსაც იგი ანსახიერებს.

მთავალა ქასრაშვილის შემოქმედებითი დაბნაწონის



დეზემონა („ოტელო“)



სიფართოვება და მრავალხატოვნებას, მის დაუცხრომელ არტისტიკულ მიეღი სიცხადით ამჟღავნებს უმდიდრესი რეპერტუარი, რომელიც მოცარტიდან სტრავენსკამდე ვადამოული და აერთიანებს სხვადა-

# მასკაზმილი



ტატანა („ვევენი ონგინი“)



ტოსკა („ტოსკა“)

სხვა ქვეყნის, ეპოქის, სტილის საოპერო თუ კამერული მუსიკის კმნილებებს. კლასიკური და თანამედროვე მუსიკის მაღალმატკვრული შერსრულებიდან გამოსწვივის მისი მახვილი ინტერპრეტატორული ხედვა.

რისი წყალობითაც იგი სწვდება ნაწარმოების სულის სიღრმეებს. მხატვრულ სახეთა ხასიათებს, მათ უფაქიზებს გრძობისმიერ წიაღსვლებს, საოცარი სიზუსტით საწვრავს მუსიკალური ესთეტიკის საუციფიკურ თავისებურებებს.

უოველა როლის შესრულების დროს იცვლება არა მარტო მყავალა ქასრაშვილის გარეგნული იერი, რომელიც უმაღვე ისტვალდება ამა თუ იმ მხატვრული სახისათვის, ამა თუ იმ მუსიკალური სტილისათვის შესატკვისი გრაციოზულობით, კდემანოსილებითა და სინატიფით, არამდე იცვლება მთელი მისი არსება, რომელშიც ხმისამოღებისთანავე იღვიძებს რომანტიკული სინაზითა და გზნებით აღსავსე, უაღრესად გააოტურებული და ცხოველმყოფელი ქალური საწუისი, რომლითაც ისტვალდება მისი ხმა, სიმღერა, არტიკული თავდაბუერის მანერა.

ასეთიშარი გარდაქმნების საშუალებას მას აძლევს პირველ რიგში, უღამაზესი ტემპრის ხმა — მრავალთვისებანი, ამავე დროს საოცრად მთლიანი და მარამონიული, რომელიც მსმენელში ამაღლებს, განწუნხდის, გასატკავების შეგრძნებას ზაღებს, რადგან ასხივებს ქალწულურ სითბოს, უმანკოებას, პერკონებას, სინაზს. მისი სიმღერა ამ თვისებების გამო მგავს ციურსა თუ ანგელუსურ გალობას, რაც წარმოადგენს მ. ქასრაშვილის ხმის უნიკალური აუსტიკური თვისებების შეღდგეს და რაც უფრო მეტად ამფაზრებს, ავეთილშობილებს მისი გმირების სულისმიერ ტკივილებს, ვნებათა დღელებს. მხატვრულ სახეთა შინაგანი ცხოვრების გამოსახატვად მყავალა ქასრაშვილი შეუცდომელი პროფესიული და ფსიქოლოგიური ადღოთი ანგებს ათასნარი ნიუნსებს, ბგერაწერულ-კოლორისტული გამოსახველობის მრავალგვარი საშუალებებს, რომელთა რკალი გაღაქმულთა რბილი ასტელურ-აკვარელური საღებავებიდან ექსპრესიული ფერწერამდე.

აქედან კი შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ — სიმღერაა მყავალა ქასრაშვილის არსებობის, მისი მდიდარი შემოქმედებითი თვისებების გამოკონების ყველაზე მუნებრავი და სრულყოფილი ფორმა, რომელსაც იგი ისე ფლობს, როგორც ნამღვილი დიდოსტატი.

ამიტომაც ახდენს მყავალა ქასრაშვილის ხელოვნება წარუშლელ შთაბეჭდილებას, მისი უოველი გამოსვლა — საოპერო სცენასა თუ საკონცერტო ესტრადაზე — აღამაზებს ენითაუწერელ სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებს.

მანანა ახმეძელი

# მკერნალოგის ხელოვნება და ნაეპლთმცოდნეობა შუა საუკუნეების ქართულ საეპიტიმო ხელნაწერებში

სოკრატ სალუქვაძე

საქართველოში მკერნალოგის ხელოვნებას და წამალმცოდნეობას მდიდარი ტრადიციები აქვს. შემთხვევითი როლი ის ფაქტი, რომ მსოფლიო კლასიკური მედიცინის ისტორიის სისტემატიკოსი, გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი, კურტ შპრენგელი თავის ხუთტომიან შრომაში „სამკურნალო გამოყენებითი ხელოვნების ცდის ისტორია“ (გამოცა ჰალეში 1792 წელს), განსაკუთრებულ ადგილს უთმობს „ძველ კოლხურ მედიცინას“ და ქართულ მედიცინას უძველესი ხალხის კულტურის გვერდით აყენებს. ბერძნულ მითოლოგიურ და მხატვრულ-პოეტურ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით კ. შპრენგელი გვაწვდის მეტად საინტერესო მასალებს საქართველოს მედიცინის ისტორიის სათავეების შესახებ. არის მითოლოგიური ცნობები იმის შესახებ, რომ კოლხეთში მზის ღმერთის ჰელიოსის ვაჟის, აიეტის მუელლეს — ჰეკატეს, სამკურნალო მცენარეების ბალი ჰქონია გაშენებული. დიოდორ სიცილიელის ცნობით, ჰეკატეს ბალი არვისს ჰალაქში, ქალაქთან ახლოს იყო გაშენებული. ხალხური თქმულების „ორფიკული აგრონავტიკის“ ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ჰეკატეს ბალში 40-ზე მეტ სამკურნალო მცენარეს აშენებდნენ, რომელთა თვისებებს კარგად იცნობდა აიეტის ქალიშვილი მედეა. ჯალოსნური მკურნალი ყოფილა აიეტის და კირკეც, ამას გვაცნობენ მომდევნო საუკუნეების ავტორები და სარწმუნო წერილობით წყაროებზე დაყრდნობით კურტ შპრენგელი. სხვადასხვა სამკურნალო ნედლეულია შორის, სამკურნალო მცენარეებს ოდითგანვე ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა სამკურნალო ხელოვნებაში, ვინაიდან

მცენარეთა სამყაროდან მოპოვებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები დღესაც გამოირჩევა მაღალი ფარმაცოლოგიური ეფექტურობითა და ნაკლები შხამიანობით. ძველი წელთაღრიცხვით XIV-XIII საუკუნეებში, ე. ი. 900-800 წლით ადრე მედიცინის მამამთავარ ჰიპოკრატეს ეპოქამდე. კოლხეთის დაბლობზე, ფაზისში ახარებდნენ მრავალ სამკურნალო მცენარეს, რომლებსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელები ჰქვია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობამ 1977 წელს გამოსცა ნათელა მელაშვილის მიერ თარგმნილი „ორფიკული აგრონავტიკა“, რომელსაც ურედაქტორა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო კლასიკური ფილოლოგიის პროფესორმა აკაკი ურუშაძემ. ამ წიგნის 108-109-ე და 110-ე გვერდებზე ვითხოვლობთ: „სწრაფ-მოვზიდ ლეიის, ხმელი კედრის, ეკლიანი კვირნის და მტირალა ტირიფის ტოტები... და შემდეგ... „მშვენიერი ჰალაქი გამოჩნდა... სანუკვარი მუხა... ამრიალდა მეუხის ხე... გოცდა მედეა... ბრწყინვალე ვაჟს შეუძახა, სწრაფ ჩამოელო „ოქროს საწმისი“... (დრაკონი მედეამ მიაძინა, რისთვისაც ტაძრიდან მოიტანა სურნალოვანი ყუთი და მრავალი წამალი), მანაც უსმინა, ურჩიობა ეუთ გაბედა — მყისვე აიღო უდიდესი საწმისი და ხომალდისაკენ გაემართა... ამ მცენარეების თითქმის ყველა სახეს დღესაც იყენებენ სააფთიაქო პრაქტიკაში. ზოგ მათგანს დიეტეტიკური, დეკორატიული და სამრეწველო დანიშნულება აქვს, ხოლო „ოქროს ვერბი“ იყო ცხვრის ტყავზე დაწერილი რეცეპტი ოქროს მოპოვების შესახებ,



წერს VII საუკუნის ისტორიკოსი იოვანე ანტიოქელი. ფაქტია, რომ ცნობები კოლხურ-იბერული მედიცინის შესახებ, ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში და სწორედ ამიტომ მიუჩინა მას კურტ შპრენგელმა ჯეროვანი ადგილი მსოფლიო მედიცინაში. კერძოდ, ის სამკურნალო მანიპულაციები, რომელიც დაკავშირებულია კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილის, მედეას სახელთან, ცნობილია „უკრა მედიანას“ სახელწოდებით. ამასთან დაკავშირებით შედეგი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: თანამედროვე სამედიცინო მეცნიერული დისციპლინის ჰიგიენის საერთაშორისო სახელწოდება უშუალოდაა დაკავშირებული ბერძნული ლეგენდის პერსონაჟ სასუქიოსის (ლათინურად ესკულაპის) ქალიშვილის ჰიგიას სახელთან. ასევე ძველ ეგვიპტეში ღმერთი ტოტის პორტრეტის გამო-სახელების ქვეშ იყო წარწერა „ფარმაკია“, რაც ეპოქა-ლური გაგებით, „მფარველს“, „მხსნელს“ ნიშნავდა, ხოლო სიტყვა „ფარმაკონში“ წამალი იგულისხმება პიპო-კრატეს ეპოქიდან. თანამედროვე გალენური ანუ ჯამბო-რივი პრეპარატების შესახებ მოძღვრება დაკავშირებულა რომელიღაც ექიმის კლავდიუს გალენის სახელთან (131-201 წ. წ.). კოლხურ-იბერული მედიცინა რომ ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, ამას ლეგენდები და მხატ-ვრული ნაწარმოებებიც ახსტურებენ. აპოლონის როლისგან „არგონავტიკა“, ხალხური „ორფიული არ-გონავტიკა“, ევრიპიდეს დრამა „მედეა“, შემთხვევით არ უნდა იყოს დაწერილი. თუ, ჰიგეა-ჰიგიენა, გალენი-გა-ლენიკა, ტოტი-ფარმაკონ-ფარმაკია, ფარმაკოგნოზიკა, ფარმაკოლოგია, ფარმაკოცენტული ქიმიკა, შესაბამისი სო-ტყვის ფუძიდან არის ნაწარმოები, არსებობს ვერსია, რომ „მედეა“ Medicalae — „ექიმი ქალი“ და მედიცინა ურთიერთშიანარსობრივ კავშირში უნდა იყვნენ.

სამწუხაროდ, ისტორიულ სინამდვილეზე დაფუძნებულმა წყაროებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. ამიტომ თანამე-დროვე მედიცინის ისტორიის ქართული მკვლევარები, მითოლოგიურ და მხატვრულ პოეტურ ქმნილებებში მო-ყვანილი ფაქტებიდან ცდილობენ, აღადგინონ მედეას სა-ხელთან დაკავშირებული მკურნალობის უძველესი მე-თოდები და მეცნიერულად ახსნან ისინი. კოსმეტოლო-გიაში—თმის შეღებვა, როგორც გაახალგაზრდავების ერთ-ერთი პირველი ცდა და, ამავე დროს, სისხლის გამოშვე-ების პროცედურის, ავიდული აალუბადი, ქიმიურ მოშუამ-ველული და შხამ-ნარკოტიკული ნივთიერებების სამკურ-ნალო და მოწამლის მიზნით. გამოყენება; მედეას მიერ მკურნალობას და ჯადოქრულ საქმიანობას მიაკუთვნებენ. მაღამოები და ზეთებზე მოშხადებული სხვადასხვა წა-მლის ფორმები უხვადაა ნახსენები ბერძნულ მითოლო-გიურ წყაროებშიც. ფარმაკოცენტულ მეცნიერებათა დოქ-ტორი, პროფესორი ვალერი კრიკოვი, თავის მონოგრა-ფიაში, იხილავს რა მსოფლიო და, კერძოდ, საბერძნეთის ფარმაციის ისტორიას, წერს: „პირველი ცნობები ანტი-კური მედიცინის შესახებ საბერძნეთში, განეკუთვნება ძვ. წ. ა. XII საუკუნეს“ (გვ. 12). ამ მეტად მნიშვნელოვანი ცნობის საფუძველზე ვგებულობთ, რომ ძვ. წ. ა.-ის XIII

საუკუნიდან XII საუკუნამდე, დაახლოებით ასი წელი დასკრდა ტრადიციის დამკვიდრებას, რომ მკურნალო-ბასთან დაკავშირებულ საქმიანობას, მედიცინა დარქმეო-და, მაგრამ, ჩვენის აზრით, მედეას სახელთან დაკავშირ-ებით ტერმინ მედიცინის დაჯანოება მოხდა, არა მისი სა-ხელის უკვდავების მიზნით, არამედ უძველესი ეს განა-პირობა მედეას უსაზღვრო პოპულარობამ, რაც უძვე-ლეს მხატვრულ, დრამატულ და პოეტურ ქმნილებებშიც ახე საფუძველიანად იახანა.

1500 წლის წინანდელ უძველეს ქართულ მხატ-ვრულ წერილობით წყაროში, იაკობ ცურტავე-ლის „წამებია წმინდისა შუშანიკისაში“ მოცემუ-ლია მკურნალობის ამსახველი ერთი მეტად საინტერე-რესო ფრაზა „და მე ვარკუ წმინდისა შუშანიკის: მიბრძა-ნე და მოგებნო სისხლი ევე პირსა შენსა და ნაცარი, რი-მელი თუღლთა შენსა შთავითულ არს და „სალბუნი წა-მალი“ დაგვბა, რითა მე, დამე თუ განიკურნო“. მასასა-დამე სალბუნი-მალამო, როგორც წამლის ფორმა V ს-ში უყვე არსებობდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნია ბრინჯაოს ხელნაწყოები, კერამიკისა და მინის იშვიათი ჭურჭლები, რომლებიც ნათლად მეტყველებენ ძველთაგანვე სამედიცინო კულტურის მაღალ დონეზე საქართველოში. ძველ ქართულ სამედიცინო წერილობით წყაროებში კი ეს ფაქტები შედარებით გვიან აისახა. ან ადრეც იყო ასეთი ხელნაწერები, მაგრამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტებს შორის მნი-

ლ. კობეტიშვილი





ყინწისი. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი

ძებნოვანია XI საუკუნის იშვიათი ხელნაწერი, მედიკოსთა სახელმძღვანელო თავისებური ფარმაკოგია — ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ (ფარმაკოგია არაბული და ბერძნული სიტყვისაგან შედგება და ქართულად „ფარმაკონი“ — წამალი, „პეა“ — ვაკეთებ ე. ი. „წამალს ვაკეთებ“). უნდა ვივარაუდოთ, რომ აღრინდელ შუა საუკუნეებში საქართველოში უთუოდ იყო სხვა სამედიცინო წერილობითი წყაროები, რასაც თვით ამ ხელნაწერის ღონეც გვაფიქრებინებს. თავის დროზე ამ წიგნის უზენაეს დანიშნულებას თვით სათური გვეუბნება. „უსწორო“, „შუღარებელი“, „ყველაზე უმჯობესი“ ანუ „სწორულყოფი კარაბადინი“. საინტერესოა 900 წლის წინანდელი, მეკრნალობის და სამკურნალო დანიშნულებების მომზადების წესები და მეთოდები, რომლებშიც უთუოდ არის მეცნიერულ-რაციონალური მარცვალი.

ქართული კლასიკური მედიცინის ისტორიის სისტემატიზებას საფუძველი შედარებით გვიან ჩაეყარა, კერძოდ, XX საუკუნის 30-იან წლებში ეს გააკეთა მედიცინის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარმა ლადო კოტეტიშვილმა. მისივე რედაქციით 1936 წელს — ცალკე წიგნად გამოიცა XIII საუკუნის დასაწყისით დათარიღებული, არაბულიდან ქართულად ნათარგმნი ზოგადადობის „წიგნი საბეჭდო“, რომლის წინასიტყვაობის ქვესათაურში „მედიცინა ძველს საქართველოში XIII საუკუნემდე“, ლადო კოტეტიშვილი წერს: „საეპიმო წიგნები შეიცავენ, ვრცლად თუ მოკლედ ზოგად საეპიმო საკითხებს, როგორც არის ანაბოლია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, დიეტეტიკა, შემდეგ ავადმყოფობებს, მათ კლასიფიკაციას, მეკრნალობას; შიგნით მოცემული წამლების დამზადება და სხვა, „კარაბადინები“ კი შეიცავენ მხოლოდ ავადმყოფობის სახელწოდებას და მის მეკრნალობას და წამლეულობის დამზადების წესებს“ (გვ. 30-31) შემდეგ კი 33-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ნათუთა, რომ აქ წამლეულის დამზადებასთან გვაქვს საქმე... ამ გავებით კარაბადინით მეკრნალობა ბევრად უფრო ხალხურია, ვიდრე „საეპიმო წიგნებისა“, რომელიც უფრო მეცნიერულ ხასიათს ატარებენ და გულ-

მოდგინდ იცავენ მედიცინის კორიფების — ჰიპოკრატეს, გალენის, ავიცენას და სხვა ძველ ექიმ ფილოსოფოსთა სამკურნალო იდეებს... მაშასადამე კარაბადინი არაბული სიტყვაა და ნიშნავდა ფარმაკოპეას ანუ წამლეულის „წესების შემკველ წიგნს“.

აქვე მოცემულია სომეხი მკვლევარის ოვანესოვისა და გერმანელ კურტ შპრენგელის მასალების შეფარდებითი ანალიზი, რომლის საფუძველზე ლადო კოტეტიშვილი ასეთ დასკვნამდე მიდის: „აქედან ირკვევა, რომ ამ ხასიათის წიგნებს ირანულად და სომხურად „ახრბადინი“ ჰქვიათ, არაბულად და ქართულად კი „კარაბადინი“. რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ეს სიტყვა უშუალოდ არაბულიდან არის შემოტანილი. ეს გარემოება ამტკიცებს არაბეთისა და საქართველოს უშუალო მეცნიერულ-კულტურულ კავშირს... ეს მეტად მნიშვნელოვანი და დასაბუთებული განცხადებაა.

ცნობილია, რომ XII საუკუნეში, მეფე როჯერმა იტალიის ქალაქ ნეაპოლში მოაწყო რამდენიმე აფთიაქი, ხილი მისმა შვილოშვილმა ფრიდრიხ მეორემ 1224 წელს გამოსცა პირველი საფთიაქო კანონმდებლობა. ლაპარაკობდა რა ქანანელის „უსწორო კარაბადინის“ შესახებ, ლადო კოტეტიშვილი 1940 წელს წინასიტყვაობაში წერდა: „ქართული საეპიმო ძეგლების საერთო თარიღი საუკუნუნახევრით უკან გადაიწია (მას მხედველობაში ჰქონდა მისივე პირველი გამოკვლევა ზოგადადობის „წიგნი საეპიმო“ XIII საუკუნის ძეგლი, 1936 წლის მისივე გამოკვლევათა და რედაქციით — ს. ს.) და დაუკავშირა იგი საქართველოს პოლიტიკური აღორძინების, დავით აღმაშენებლის ეპოქას“. ესეც ფრიად მნიშვნელოვანი განცხადებაა. დავითი 1089 წელს გამეფდა. საუარაუდოა, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი წიგნი დაახლოებით 1095-1100 წლებში, ან დავითის მეფობის შუა წლებშია დაწერილი. ელემენტარული ლოგიკით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ სულ ცოტა 110-120 წლით წინ უსწრებს ნეაპოლში 1224 წელს გამოცემულ ოფიციალურ საფთიაქო საკანონმდებლო წიგნს! ეს თა-

რილი კი ქართული ფარმაკიის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. აქვე გაიხსენით მორე მომენტები: ვარძიის უნიკალური კომპლექსის მშენებლობა 48 წელს გრძელდებოდა. იგი თამარ მეფემ 1204 წელს დაასრულა, სადაც 800 წლის წინათ მოქმედებდა ავთიაჟი — წამლების სახლი. ნეაპოლში ავთიაჟი XII ს-ში გახსნილა. აქაც თარიღობრივი უპირატესობა გვაქვს, როგორც წერილობითი წყაროებით, ასევე ფაქტობრივი მასალებით ირყევა, რომ ვარძიაში მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ავთიაჟი ყოფილა, (რომლის შესახებ 1952 წელს პირველი მეცნიერული ცნობა დოქ. ზურაბ შენგელიამ მოგვყარა) მაგრამ ამაჟამად ჩვენთვის, საინტერესოა ქანანელის ხელნაწერი — წიგნის კომენტარი.

ქართულმა მედიცინამ X-XI საუკუნეებში განსაკუთრებულ სახე მიიღო სამკურნალო ნედლეულის მიგნობისა და მისი მიზანდასახულად გამოყენების თვალსაზრისით. რასაც, როგორც ჩანს, უპირატესობა ენიჭებოდა ამ ეპოქაში. სწორედ აქედან უნდა გამოვტანოთ შესაბამისი დასკვნა წამლის ფორმების სხვადასხვა სახეობისა და ნაირფეროვნების შესახებ, იმდროინდელ მკურნალობაში, რომელიც დღესაც გვანაცოფრებს საოცარი მიგნებით. სწორედ X-XI საუკუნეებში მომზადდა ნიადაგი, რომ შექმნილიყო ასეთი დიდმნიშვნელოვანი მეგლი. უპირველეს ყოვლისა, ქანანელის „უსწორო კარაბადინი“, ქართულ მედიკოსთა სახელმძღვანელო თავისებური საკანონმდებლო წიგნი-ფარმაცოპეა გახლდათ! ვინაიდან მასში მოცემულია მრავალსაქეტიანი სამკურნალო რეკომენდაციები. წიგნს წითელ ზოლად მიჰყვება დედაზრი, მრავალფეროვან წამალთა მომზადებისა და მისი სამკურნალო მიზნით გამოყენების შესახებ, ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ კემშარიტად ქართული, ეროვნული სამედიცინო წიგნია, თუმცა იგრძნობა ზოგიერთ დეტალს და ტერმინოლოგიაში არაბული სამედიცინო თვალსაზრისის გავლენა. ეს გასაგებია, ვინაიდან შუა საუკუნეებში არაბებმა არა მარტო ქართულ სამედიცინო აზროვნებაზე, არამედ მსოფლიო ცივილიზაციაზეც კი მოახდინეს ზეგავლენა!

ქანანელის ვინაობის შესახებ მცირე ბიოგრაფიულ ცნობები მოგვკავებდა, არის მხოლოდ ხელნაწერის 36-ე ფურცლის არმოაზე არა დენდის ხელით გაკეთებული შემდეგი წარწერა: „ღმერთო შეიწყალე ფრად ცოდვილი დანდუბი ყოვლად წმინდა მძლავრისი სატოსი, ნუ მკითხავ ჩემ ცოდვისას. ვინც ესე წაიკითხოთ ცოდვისა ქანანელს (შენიღბას) უბრძანებდით“— წარწერა შუა საუკუნეების მხედრულითაა გაკეთებული, ვინაიდან ავტორის ვინაობა საეჭვოა, ლაღო კოტეტიშვილი ასეთ კომენტარს უკეთებს: „თვითონ ქანანელი კი ავტორი, ან უახლოესი გადაწერილი უნდა იყოს ამ ძეგლისაო“. რა საიდუმლოებითაც არ უნდა იყოს მოსილი ავტორის ვინაობა, ამ წიგნის სახით ჩვენ ხელთა გვაქვს ქართული სამედიცინო აზროვნების უნიკალური ნიმუში, რომელიც მაღალი სამედიცინო განალებების მქონე პიროვნების მიერ არის დაწერილი. წიგნიდან ნათლად ჩანს, რომ მისი ავტორი თავისი ეპოქის ფრად განათლებული, სამედიცინო საქმის მცოდნე, ერუდირებული, მოაზროვნე სპეციალისტი ყოფილა. „უსწორო კარაბადინში“ ყურადღებას იმსახურებს დაეადებათა სა-

წინამდებელი სამკურნალო ფორმების ნაირსახეობა. აქციაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველოში წამალმეცნიერება X, XI, XII საუკუნეებში მაღალ დონეზე იყო.

ფრად საინტერესოა, იცნობდა თუ არა, შოთა რუსთაველი ქანანელის ხელნაწერს? არის ამის შესახებ მთელი რიგი არგუმენტირებული მტკიცებანი, რომლებიც ამ ორი წყაროს ურთიერთშეფარდებისას ვლინდება. მთ შორის, ჩვენ შევხვებით მხოლოდ ორ დეტალს: ქანანელის „უსწორო კარაბადინის“ 369 გვერდზე მოცემულია პიპერტონული დაავადების სამკურნალო ასეთი რეკომენდაცია: „თუ სისხლისაგან იყოს, მისი წამალი: უწინ ხელი გაუხლს და მერე თავის ძარღვი გაუხსნენ და ამხედ გავრთხილდი, რომე სინაჲდი გამრთელდებოდეს ამა ძარღვებსა გაუხსნიდი. ვასახუნელსა წამალს ნუ ეშურებები, ამაღ რომე, ხელის ვახსნა და სისხლის გამოშვება უფრო მარე არის“. ახლა გაიხსენით მომენტი „ევეფხისტყაოსნიდან“, როცა ტარგილი შეუძლოდა:

„აკაც მოვიდა მეფესა: სწადსო ამბისა სნიგება,  
მოყვანა უთხრა, უბრძანა: ქანაც სისხლისა დინება“  
და შემდეგ  
„მე ვაძარე ხელი გაიხსენ: დაიწყო მომჭობინება“  
(366).

პიპერტონული კრიზის დროს სისხლის გამოშვება დღესაც ნიშანდობლივი სამკურნალო მანიპულაციაა. ანალოგიურია აგრეთვე ქირურგიული პირველი ამპუტაციისა და ისრით დაჭრილის მკურნალობის მეთოდი.

აქედან ნათელია, რომ შოთა რუსთაველი იცნობდა თავისი 100 წლით აღრინდელი წინამორბედის — ქანანელის სამედიცინო რეკომენდაციებს, ვინაიდან აქ აშკარად

კ. გურულა.

ზახა ფანაკერტლი-ციკოშვილი





იგრძნობა აზრისა და შინაარსის ურთიერთკავშირი. რუს-თაველი მკოდნა აგრეთვე ინდოეთის, არაბეთის, ისრაელის, ძველი ეგვიპტის, საბერძნეთის, რუსეთის, სპარსეთის და საფრანგეთის სამედიცინო წყაროებისა და ნიმუშებისა. ასტრონომია და მეცნიერ ფილოსოფოსთა გვერდით ასხენებს მკურნალ ექიმებს და მათ განმანათლებელ „ასპირანთს“ უწოდებენ.

ყინწვისის ეკლესიის (XII ს.) კედელზე თითქმის დაუზიანებლად შენახული ფრესკა, რომელზეც შუა საუკუნეების ქართველი მედიკოს-ენციკლოპედისტის, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის გამოსახულება შემორჩენილი. კედელზე პორტრეტის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მოხატულია სამკურნალო მცენარეები, რომლებიც ბროწეული და დამამინებელი ყაყაიო-ზაშაში უნდა იყოს. სამკურნალო მცენარეები ტბარის კედლის დამშვენება ვეაფიქრებინებს, რომ ყინწვისის ტბარის სამედიცინო განთავსების მისაღები დაწესებულება უნდა ყოფილიყო, რომლის ბრძენთათვისა და მკურნალად წერილობით წყაროებში ხშირად იხსენიება ზაზა. 1945 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის წევრმა თ. ჭყონამ ქ. გორკის სახელმწიფო არქივში აღმოაჩინა ქართული სამედიცინო აზროვნების იშვიათი ძეგლი — „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (ფონდი Q № 877). ხელნაწერში არაერთხელ არის ნახსენები მისი ავტორი ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი. ასე მაგალითად: „ქრისტე ღმერთო, აღდეგ ორთავე შინა ცხოვრებათა ბრძენთათვისა ფანასკერტელი ზაზა, ამინ“... აქ ლაბარაკია „სატაპრო მედიცინაზე“ და „ორთავე შინა ცხოვრებაზე“ „საქაოზე“ და „საიკიოზე“. ზაზას ერთერთ წინაპარს სახელად რქმეგია ციცი და ფანასკერტელის გვარში გამოტობება ციციშვილებსა აქედანვე წარმოშობილა. ამიტომ ზაზა ქართული მედიცინის ისტორიაში იხსენიება ფანასკერტელი-ციციშვილის გვარით. ფანასკერტელი-ციციშვილები ფეოდალურ საქართველოში სოციალიზაციური მდგომარეობით იდგევაროვანი წარჩინებული არისტოკრატიის წარმომადგენლები ყოფილენ დღემდეა შემორჩენილი ციციშვილების შთამომავლობის საგვარეულო-ღერბი.

დიდად მნიშვნელოვანია ვახტანგ VI-ის საშვილიშვილო ღვაწლი, რომლის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად ჩვენამდე მოაღწია ამ იშვიათმა ხელნაწერმა და მისმა ანდერძმა: „ქ. ჩვენ საქართველოს გამგებელმან, ბატონიშვილმან ნატრონიან ვახტანგ თფთფულად ფურცლად მოშორებული კარაბადინი ესე შევაწყოვინე და შევაკრევიანე საქსრად და სახარებლოდ კაცთათა და საქსრად ყოველთა კ-ს ტუხ“... ეს მომხდარა 1709 წელს. მაგრამ პალოგრაფიული, თუ სხვა არაერთი დამაჯერებელი და უტყუარი ნიშნის მიხედვით, კომპეტენტური სპეციალისტების მიერ ხელნაწერი XV საუკუნით თარიღდება. ასე რომ ვახტანგ VI-მ. ფსადლებელი ღვაწლი დასდო, ქართულ საშვილიშვილო აზროვნებას, ვინაიდან ამ იშვიათმა დოკუმენტმა სწორედ მისი წყალობით მოაღწია ჩვენამდე. მსხვერპლთა ერთობლივად მკურნალ რუსეთთან პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის სწორი ორიენტაცია და მართლაც რუსეთის კულტურის წიაღში ჰყოფ

საიმედო თავშესაფარი ამ ხელნაწერმა, რომელიც ქართული სამედიცინო ხელნაწერებიდან მეტყველებს თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი და სრულყოფილია მისი სახითა ჩვენამდე მოღწეული. მისი ავტორი, ზაზა ამ დროისათვის, 50 წელს მიტანებული, დაკვირვებული, გონიერი კლინიკისტი. მისი სამედიცინო მეცნიერული შემკვიდრება ქართულ ეროვნულ ნიდავგზეა დაფუძნებული. იგი კარგად იცნობდა მისი წინამორბედების: ქანანელის, ხოჯაყოფილის, ბერძენი ჰიპოკრატეს, რომელი გალენის და მსოფლიოს მედიცინის სხვა კლასიკოსთა შრომებს. „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“ წინამორბედა გამოცდილების გათვალისწინებით მოცემული მრავალასპექტიანი სამკურნალო რეკომენდაციები და წინა პლანზე წამოყვანილი დაავადებათა საწინააღმდეგო სამკურნალო წამლის ფორმების ნაირსახეობა. ცნობილი მკვლევარები, პროფესორები: ი. აბულაძე და მ. სააკაშვილი 1950 წ. წერდნენ: „კარაბადინი“ — „წამლეულობის წიგნი — ფარმაკოპეია, ფარმაცევტული პრეპარატების დამზადების საშუალებათა აღწერა არის.

„სამკურნალო წიგნი კარაბადინი“, შესისწავლეს, გამოკვლევები, შენიშვნები“ და საიებლები დაუთრეს პროფესორებმა: მიხეილ სააკაშვილმა და მიხეილ შენგელიამ. ინტერესმოყვებული არ არის შეფარდებით დახასიათება ქანანელის „უსწროო კარაბადინის“, ხოჯაყოფილის „წიგნი საქიოსისა“ და ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი კარაბადინისა“, რათა ვარკვეული წაროდგენა ვიქინიოთ. ხანგრძლივი დროის 400 წლის მანძილზე მკურნალობის როგორი პროგრესული მეთოდები დაინერგა ქართულ სამედიცინო პრაქტიკაში და აზროვნებამ? ამ მხრივ აღინიშნება საგანგებო პროგრესი მისტიციზმის ელემენტებისაგან განთავისუფლების ცდისა და მკურნალობის მეთოდებზე მეთოდების დაინერგვის საქმეში, რაც ემყარება გამოცდილებას და ექსპერიმენტულ ძიებას. ზაზა თავის წინამორბედებთან შედარებით, გაცილებით მრავალასპექტიანი ბრძენი და დაკვირვებული მკვლევარია! იგი უწყვეტ აცთებებს დისლოკაციას და დაავადებათა კლასიფიკაციას. თავისი წინამორბედების წერილობით წყაროსთან შეფარდებით, ზაზას „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“ გამოჩნდა წამლის ახალი დამატებითი ფორმები, მაღალოების სახესხვაობა. სამკურნალო საშუალებებით, მოცულობითაც, და, რა თქმა უნდა, შესაბამისი შინაარსითაც, „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“ დაახლოებით შავჯრ აღმეტება XI საუკუნის ხელნაწერს, ქანანელის „უსწროო კარაბადინის“ (ფ. Q—26), თითქმის ორჯერ ხოჯაყოფილის „წიგნი საქიოსისა“. ფონდი Q 1274.

შუა საუკუნეების ქართული სამედიცინო ხელნაწერებიდან მნიშვნელოვანი ძეგლია XVI საუკუნის წერილობითი წყარო, ქართლის მეფე ლუარსაბის უმცროსი ვაჟის დავით ბატონიშვილის „იალიგარ დაული“, რომელიც, ამჟამად ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფონდი Q № 270). ეს წიგნი შესისწავლა, გამოკვლევები, წინასიტყვაობანი და განმარტებითი ლექსიკონი დაუთრეო ლალო კოტეტიშვილმა. „წი-





გნში ფართოდ არის მოცემული პრაქტიკული ღონისძიებანი და მკურნალობა, მოცემულია აგრეთვე, დავით ბატონიშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი მასალები, რომელიც პოლიტიკური უკუღმართობის გამო 1579-1585 წლებში სტამბოლში ცხოვრობდა. სწორედ ამ პერიოდში უნდა იყოს დაწერილი ეს წიგნი. იგი ქართული სამედიცინო აზროვნების ქრონოლოგიური განვითარების მაცენაა. ამ წიგნის პირველი განყოფილება ადამიანის ჰიგიენასა და ფიზიოლოგიას ეხება, მეორე განყოფილებაში ძირითადად ლაპარაკია დიეტეტიკაზე და სხვადასხვა წამლის ფორმებზე, მესამე განყოფილებაში ავადმყოფობანი და მათი მკურნალობა წინა პლანზე წამოწეული. გამახვილებულია ყურადღება პროქტოლოგიაზე და ფსიქოთერაპიაზე. აქ, უკვე ავტორის მიერ მოცემულია ძირითადად ქართული სამედიცინო აზროვნების სინთეზი ირანული და თურქული სამედიცინო ლიტერატურის გავლენით, თავისუფლდება ან, იგი ბერძნული და არაბული მკურნალობის მეთოდებისაგან. წამლის ფორმების სიმრავლიდან წიგნში დამატებით აღინიშნება შარბათების სახით ტბილი დიეტეტიკური მურაბების გამოყენება, როგორც დიეტეტიკის (ნორმალური კვების), ასევე მკურნალობის თვალსაზრისით, რასაც ლადო კოტეტიშვილი კომენტარისას უწოდებს „ჩვენი განსწავლული წინაპრების ბრძნულ, გონებათმახვილობას“, და აცხადებს „ძველი ქართული მედიცინა ირგანული ნაწილია ქართული კულტურისა“.

